საერთო გაზეთი

№16 (369) • 11 მაისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

დიდი შანტაჟი

ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან რომ წავიდეს, მეორე დღეს ქვეყანაში ისეთი ომი ატყდება, ქვა ქვაზე არ დარჩება!

პოლიტიკური „ბოტანიკა“ ნაციონალური ფლორითა და ფაუნით

იოსებ ჯუღელი:

„ნაციონალი“ ირაკლი აბესაძე საკრებულოში კი არა ციხეში უნდა იჯდეს!

ეროვნული ლაქნილი

სოსო ცინცაძე:

რამ გააბედნიერა მინისტრი თინათინი, როცა არავინ იცის სამხედრო „პოდიუმზე“ აშშ-ს ტანკების „პაკაზის“ შემდეგ რას მოიმოქმედებს გაბრაზებული რუსეთი?

კობა ბუჩუკური:

თუ გაკეთებული საქმეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებაა!

შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილის ხელის ბიჭად იქცა, რომელიც დადის და საქართველოს მთელ მსოფლიოში აბეზღებს

მორიგი ნარკოტრაგედია „ზექართულ ბომონდსა“ და „ზექართულ ელიტაში“

ვახტანგ ხარჩილავა:

დიდი შანტაჟი საქართველოს წინააღმდეგ

ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან რომ წავიდეს, მეორე დღეს ქვეყანაში ისეთი ომი ატყდება, ქვა ქვაზე არ დარჩება!

„ენდიაის“ და „აირაის“ სოციოლოგიური კვლევები, სტივ რასელის მოხსენება აშშ-ს კონგრესში, ევროპის სახალხო პარტიის განცხადებები, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერების კატეგორიული ტონით მოწოდებული „დასკვნები“, რომ „ნაცმოძრაობა“ აუცილებლად გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში, „დამოუკიდებელი“ და „თავისუფალი“ ტელეკომპანიის „რუსთავი-2“-ის, აგრეთვე სხვა „დამოუკიდებელი“ ტელეკომპანიების თუ ბეჭდური მედიის აშკარად დესტრუქციული ხასიათის გადაცემები თუ პუბლიკაციები მთლიანობაში ქმნის სურათს, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ დიდი შანტაჟი საქართველოს წინააღმდეგ, რომლის მიზანია კარგად ორგანიზებული მასირებული ფსიქოლოგიური შეტევის გზით დათრგუნოს და გატეხოს საქართველოს მოსახლეობა, დაარწმუნოს და დაიჯეროს იგი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნება – ეს არის ფატალური გარდაუვალობა.

მუდმივმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ თავისი შედეგები გამოიღო – სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც შიშით კითხულობენ: – მართლა დაბრუნდება სააკაშვილი? მართლა გაიმარჯვებს „ნაცმოძრაობა?“

სამწუხაროდ, ამ შიშით და შეშფოთებით სავსე კიტხვებზე სათანადო რეაგირება და დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები არ ჩანს.

არც იმის ახსნას და გაანალიზებას ცდილობს ვინმე, რა არის ეს ყველაფერი, რას ემსახურება და რა მიზნებს ისახავს „ნაცმოძრაობის“ მიერ წარმოებული ეს ტოტალური შეტევა ადამიანების ცნობიერებაზე, მათ ფსიქიკაზე?

პასუხები, რომლებიც აქაიქ მაინც გაიჟღერებს ხოლმე, იმდენად მორიდებული, იმდენად სუსტი და უღიმღამოა, რომ ასეთი პასუხის გაცემას შეიძლება პასუხისგაუცემლობა სჯობდეს.

გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობას“ შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი და მათ თავხედობას, მათ უტიფრობას, მათ უსირცხვილობას საზღვარი არ აქვს, მაგრამ ნუთუ ასე ძნელია დამნაშავეს დამნაშავე უწოდო და მისი დანაშაულის დამამტკიცებელი უამრავი დოკუმენტური მასალიდან რამდენიმე მაინც აუფრიალო ცხვირწინ?

მე თქვენ გეტყვით და, ასეთი მასალები სანთლით არის საძებარი და მათ მოპოვებას დიდი შრომა და გარჯა ჭირდება.

„ნაცმოძრაობამ“, რომელსაც ეხერხება ყველანაირი სიტუაცია თავის სასარგებლოდ და თავის სახეიროდ მოატრიალოს, კოაბიტაციაც კი, რომელიც, ცხადია, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთშემწყნარებლობის პრონციპებს უნდა ემყარებოდეს, მან, ფაქტობრივად, თავის სასარგებლოდ მოირგო – „ნაცმოძრაობას“ უფლება აქვს ცილი დასწამოს, ლანძღოს, ათასგვარი ცრუ ბრალდება წაუყენოს ხელისუფლებას, ხოლო ხელისუფლება კი კუთხეში უნდა იდგეს თავჩაქინდრული, ხოლო თუ გაბედავს და ხმას ამოიღებს ცილისმწამებლის წინააღმდეგ, ეს თურმე ხელისუფლების მხრიდან ოპონენტის პოლიტიკური დევნა ყოფილა.

რანაირი და სადაური კოაბიტაციაა ეს?

უტიფრობის „კლასიკური“ მაგალითი იყო სააკაშვილის გამაოგნებელი კომენტარი ფარული კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით.

– „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის მანძილზე არცერთი ასეთი კადრი არ გაუვრცელებიაო, – თავმომწონედ აცხადებდა სააკაშვილი, მაგრამ იმას არ ამბობდა, რომ ფარულად გადაღებული 26 ათასი ფაილი სწორედ „ნაცმოძრაობის“ მოღვაწეობის დროს იქნა გადაღებული.

არც ამ შემთხვევაში უთქვამს ვინმეს სააკაშვილისთვის, რომ, მართალია, ეს კადრები არ გასაჯაროებულა, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ მათ „წარმატებით“ იყენებდა ადამიანების დასაშანტაჟებლად.

მიზანში ამორებულ პირებს პერსონალურად „აცნობებდნენ“ ხოლმე, რომ მათ შესახებ ასეთი და ასეთი სახის ფირები არსებობდა, რის შემდეგაც ამ ადამიანებს ისე იყენებდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ – ზოგს ქონებას ართმევდნენ, ზოგს პოლიტიკური აქტიურობის ხალისს უკარგავდნენ, ზოგს ცრუმოწმედ იყენებდნენ, ზოგს ჩამშვებად და ინფორმატორად აქცევდნენ და ა.შ. და ა.შ.

„ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მმართველობის სტილს თუ გავიხსენებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მრავალრიცხოვანი შტატებით დაკომპლექტებული და ტექნიკურად შესანიშნავად აღჭურვილი „კინოინდუსტრიის“ დირექტორიც და მთავარი რეჟისორიც სწორედ სააკაშვილი იყო და მისი დასტურის და თანხმობის გარეშე ერთ კადრსაც ვერ გადაიღებდა ვერავინ.

აი, ასეთი კაცი დღეს ხელისუფლებას იქეთ სდებს ბრალს და არჩევნების შემდეგ ჩამოსვლითაც გვემუქრება.

სამწუხაროდ, არც ეს ამბავი გამხდარა საყოველთაო განსჯის და დიდი პროტესტის საგანი, რაც იმას ნიშნავს, რომ შანტაჟი და პროვოკაციები სააკაშვილის და „ნაციონალების“ მხრიდან კვლავ გაგრძელდება.

ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დიდ შანტაჟში არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტები და პოლიტიკური ძალები აქტიურად არიან ჩართულნი.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც „ენდიაის“ და „აირაის“ სოციოლოგიური კვლევები, რომლებსაც სინამდვილეში არაფერი აქვთ საერთო სერიოზულ კვლევებთან და რომლებიც აბსოლუტურად დამახინ-

განა მთელი ქვეყნის მტრობა არ არის, როდესაც იმ კაცის ანგარიშების გაყინვას და დაყადარებას ითხოვ, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის და თუ ქვეყანას გაუჭირდა, შველას და დახმარებას ისევ მისგან უნდა ველოდოთ და არა ამ ცრუქაქუნა და არაფრისმაქნისი პარაზიტებისგან, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ჯებულად წარმოაჩენენ საზოგადოების განწყობას.

იმდენად არაადეკვატური, იმდენად ხაზგასმულად ცინიკური და მიკერძოებულია ეს კვლევები, რომ ჩნდება სერიოზული ეჭვი – ხომ არ არის ეს კვლევები „ნაციონალური მოძრაობის“ შეკვეთით, მისი კარნახით შესრულებული „დოკუმენტი“, რომელიც ერთგვარი „შპარგალკის“ თუ ინსტრუქციის როლს ასრულებს მოახლოებული არჩევნების წინ და პირდაპირ მიანიშნებს ხელისუფლებას – არჩევნებზე დაახლოებით ის შედეგები უნდა დაიდოს, რაც ამ „კვლევებში“ წერია, თორემ...

სიტყვა თორემ, მართალია, ამ „გამოკვლევებში„ არ წერია, მაგრამ, სამაგიეროდ, ის ჟღერს სხვაგან, სხვა პერსონების და სხვა ინსტიტუტების განცხადებებში.

გავიხსენოთ თუნდაც კონგრესმენ სტივ რასელის მოხსენება, რომელიც აკო მინაშვილის და ირმა ნადირაშვილის მიერ დაწერილი ტექსტის თარგმანს უფრო ჰგავს, ვიდრე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს კონგრესმენის აწონ-დაწონილ, დიპლომატიური ნორმების პატივისცემით გაჯერებულ ნაბრეკს.

არც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, არც ბიძინა ივანიშვილი, არც ქართველი ხალხი არ იმსახურებს იმ ტობს, რომელიც ამ მოხსენებას ულტიმატუმის და უცხო ქვეყნის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის ელფერს აძლევს.

უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ რასელის ეს მოხსენება ქართველი პოლიტიკოსების ერთი ჯგუფის მიერ მიწოდებული „დანოსის“ გადამღერებაა და მას ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის, მიმართ პიროვნული ზიზღი და სიძულვილი უდევს საფუძვლად.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ერთი კაცისადმი პიროვნულ სიძულვილს მთელ ქვეყანას გადააყოლებენ ხოლმე შურისძიების და პატივმოყვარეობის გრძნობას აყოლილი ვაიქართველები.

განა მთელი ქვეყნის მტრობა არ არის, როდესაც იმ კაცის ანგარიშების გაყინვას და დაყადარებას ითხოვ, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის და თუ ქვეყანას გაუჭირდა, შველას და დახმარებას

ისევ მისგან უნდა ველოდოთ და არა ამ ცრუქაქუნა და არაფრისმაქნისი პარაზიტებისგან, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს.

მთლიანად შანტაჟის რეჟიმზეა გადასული „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“, რომელიც დილიდან საღამომდე ერთ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, უტევს „ნაცმოძრაობის“ მიერ მოსყიდული და

მის ჭკუაზე გაწვრთნილ-დაგეშილი ჟურნალისტებისა და ყველაფრის მკადრებელი ჩვეულებრივი ტაკიმასხრების გუნდით.

მოკლედ რომ ვთქვათ, შანტაჟზე, ცილისწამებაზე, პროვოკაციაზე, ცრუ ბრალდებებზე აგებული ეს უზარმაზარი მახინა, თავისი „ნაცმოძრაობით“, ე. წ. ოპოზიციური პარტიებით, რასელებით და დოლებით, „აირაით“ და „ენდიაით“, „რუსთავი-2“-ით და მის თარგზე აწყობილი სხვა ტელეკომპანიებით და რადიოარხებით, მთლიანად ყვითელი ან ნახევრად ყვითელი გაზეთებით, ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებით, ერთ კაცს, ერთ ადამიანს, ერთ ბიძინა ივანიშვილს ებრძვის.

რაშია საქმე? რატომ ხდება ასე?!

რატომ ხდება და იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ბედი, ამ ერთ კაცზეა მიბმული.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვინდა თუ არ გვინდა ეს, რეალობაა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის ერთადერთი გარანტი დღეს ბიძინა ივანიშვილია.

არაფერს არ ვაზვიადებ, არაფერს არ ვაჭარბებ, უბრალოდ, სიმართლეს ვამბობ, რომლის თქმა და რომლის გაგება დღეს ბევრს უჭირს.

ეს ისეთი სიმართლეა, რომელსაც გულის სიღრმეში ბიძინა ივანიშვილის დაუძინებელი მტრებიც და მისი ყველაზე რადიკალური ოპონენტებიც კი დაეთანხმებიან, თუმცა ხმამაღლა ამის აღიარებას როგორ გაბედავენ?

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ამდენი უმადურობით, ამდენი დაუმსახურებელი შეურაცხყოფით გულნატკენ ბიძინა ივანიშვილს ერთ დღეს ყელში რომ ამოუვიდეს ეს ყველაფერი და გვითხრას: – აჰ, მე გიშლით ხომ ხელს ქვეყნის აყვავებასა და გაფურჩქვნაში? კი, ბატონო, მე გაგეცლებით და აწი თქვენ იცითო...

ეს თუ მოხდება, მეორე დღეს საქართველოში დიდი ომი დაიწყება – ომი კალაუფლებისთვის, ომი სახელმწიფო თუ კერძო ქონების დაუფლებისთვის, ომი ქვეყნის პოლიტიკური კურსის კორექტირებისთვის, ომი შურისძიების და სამაგიეროს გადახდისთვის და ა.შ.

მოკლედ, ეს იქნება ისეთი მასშტაბის ომი, რომელიც საბოლოოდ შეიწირავს საქართველოს და ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ბიძინა ივანიშვილის წასვლით საქართველოში ზუსტად განეორდება ის ტრაგედია, რაც ზვიად გამსახურდიას გაძევებას მოჰყვა და რის შესახებაც საოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა თვითონ გამსახურდიამ.

ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ 25 წლის წინათ დაწყებული ის შემზარავი ომი დღემდე გრძელდება.

იმ ომში ქართველთა ერთი ნაწილი საკუთარ ქვეყანას დამპყრობელივით შეესია და მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ძირი გამოუთხარა.

საკუთარი ქვეყნის დამპყრობელი, საკუთარი ქვეყნის ოკუპანტი ძალა იყო და არის „ნაცმოძრაობაც“.

აი, ამ ანტიქართულ ძალაზე გაიმარჯვა ბიძინა ივანიშვილმა და, ცხადია, მისი ბრძოლის ველიდან გასვლა და დამარცხება საქართველოს დამარცხებას ნიშნავს.

ძნელი მისახვედრია ეს, ძმებო, ქართველებო?

ერიჰა, პალიკო კუბლაშვილი და გოგა ხაჩიძე „გირჩიდანაც“ მიდიან და პოლიტიკიდანაც?

როგორც კონფიდენციალურმა წყარომ გვაცნობა, „ნაცმოძრაობის“ წყალი პოლიტიკურ ორგანიზაცია „გირჩსაც“ გადაესხა და რღვევის პროცესი სულ მალე ამ ორგანიზაციაშიც დაიწყება.

წყაროს მტკიცებით, მას აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში, არაუგვიანეს ერთი კვირისა, „გირჩს“ აუცილებლად დატოვებენ პალიკო კუბლაშვილი და გოგა ხაჩიძე, რითაც „გირჩის“ ბირთვი, ფაქტობრივად, დაიშლება და მარტო დარჩენილ მთავარ გირჩელს, ზურაბ ჯაფარიძეს, ახალი „კურკების“ მოძიება მოუწევს, რომ „გირჩმა“ გირჩის ფორმა და შინაარსი როგორმე შეინარჩუნოს.

როგორც წყარომ გვითხრა, პავლე კუბლაშვილი და გოგა ხაჩიძე არამარტო „გირჩიდან“ არამედ საერთოდ მიდიან პოლიტიკიდან და, სავარაუდოდ, ბიზნესში გადაინაცვლებენ.

ისეთი რა თვალი ეცათ ამ „ნაცმოძრაობას“ და მის განაყოფ პარტიულ გირჩებს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაშლა-დაქუცმაცების სენი შეეყარათ?

ასეა თუ ისეა, როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობა“ სულ ტყუილად ეკაჩავება „ქართულ ოცნებას“, რომელიც მშვიდად ადევნებს თვალს მის მამლაყინწურ გამოხდომებს. ამასობაში კი „ნაცმოძრაობას“ გირჩები ცვივა და ცვივა.

ასე თუ გაგრძელდა, „ნაცმოძრაობისგან“ მალე ოდესის ბულვარზე გადარგული ერთი ფოთოლშემოცლილი და გირჩებდაცვენილი პიტალო ხე დარჩება, სახელად მიშა...

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა...

„რა ინერციაზე მელაპარაკებით, ბატონებო, როცა ასეთი მაჩვენებლებია...“

გადაცემა „არჩევანი“
დიმიტრი ქუმსიშვილი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
ჟურნალისტები:
გიორგი გაბუნია და
აკაკი გოგიჩაიშვილი
04.05.2016
(ფრაგმენტები სატელევიზიო ინტერვიუდან)

– ბატონო დიმიტრი, თქვენი განცხადების ციტირებას მოვახდენ: „ვხედავთ ახალ სამუშაო ადგილებს, ვხედავთ რეალურ ზრდას ეკონომიკაში, რაც ყველა ჩვენგანის ოჯახზე აისახება“. პარალელურად არსებობს სოციოლოგიური კვლევების მონაცემები, სადაც ადამიანები უმუშევრობას ასახელებენ მთავარ პრობლემად, შემდეგ მოდის სიღარიბე და ა.შ. რატომ ვერ ხედავენ ისინი იმ პროგრესს, რომელზეც თქვენ საუბრობთ?

– მოდით, დავიწყოთ უმუშევრობით და მე მინდა, დაგისვათ კითხვა: თქვენ თუ იცით, რამდენი პროცენტი იყო უმუშევრობის დონე 2012 წლის ბოლოს და რამდენი მოქალაქე იყო უმუშევარი? მე გეტყვით: 2012 წლის ბოლოს უმუშევარი იყო მოსახლეობის 15% და ეს ნიშნავს, რომ 300 000 უმუშევარი გვყავდა. 2014 წლის ბოლოს უმუშევრობა განისაზღვრა 12,5%-ით – ეს იყო მინიმუმი ჩვენს ისტორიაში და შესაბამისად, უმუშევრობა შემცირდა 2,5%-ით, თუმცა, რა თქმა უნდა...

– ეს არის 33 000 ადამიანი, თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, ამ 33 000 ადამიანის სამუშაო ადგილი რა სექტორში შეიქმნა?

– თუ შეიძლება, დამასრულებინეთ, იმიტომ რომ, მე დეტალურად მინდა გავყვე, თავიდან ბოლომდე, როგორც ეკონომიკურ ზრდას, ისევე სექტორებს და სულ დეტალურად მინდა მოგახსენოთ. პირველ რიგში, მინდა, რომ ეკონომიკურ ზრდაზე ვილაპარაკოთ და მე აქ მაქვს სლაიდი, რომელიც გვიჩვენებს 2004-2012 წლებში საქართველოში და ჩვენს ჯგუფში, ასე ვთქვათ, მეგობარ ჯგუფში არსებულ ზრდებს. აი, თქვენ თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ 2004-2012 წლებში აზერბაიჯანში იყო 13,7%, სომხეთში – 6,5%, საქართველოში – 6,5%, თურქეთში – 5 % და ა. შ. სულ ყველანი, აი, ეს ქვეყნები, ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკურად, ჩვენ ვართ სავაჭრო პარტნიორები და შესაბამისად, ერთმანეთის ეკონომიკური მდგომარეობა აუცილებლად აისახება ჩვენზე. 2013-2015 წლებში ჩვენთან ზრდა არის 3,6 %, თურქეთში – 3,6%, სომხეთში – 3,3% და აზერბაიჯანში – 3,2 %. ასევე, მინდა გითხრათ, რომ რუსეთში არის მინუს 0,6 %, ხოლო უკრაინაში არის მინუს 0,5 %. ამიტომ, როდესაც ჩვენ ეკონომიკურ ზრდაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება რომ ქვეყანა, მით უმეტეს, ღია ეკონომიკით, განვიხილოთ ასე დამოუკიდებლად და ვთქვათ, რომ, აი, ჩვენს ქვეყანაში რაღაცა ხდება და ჩვენს გარშემო მდგომარეობას არ ვითვალისწინებთ. მინდა, ასევე, შედარებითი ანალიზი გაგიკეთოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ბოლოს, აუცილებლად მივალ ლოგიკურ დასასრულამდე, რომელიც თქვენ გაინტერესებთ. 2009-2012 წლებში, მაშინ როდესაც ჩვენ 4 მილიარდი დახმარება გვქონდა საზღვარგარეთიდან, საშუალოდ, ყოველწლიურად პირდაპირი ინვესტიციები შემოდიოდა 872 მილიონი დოლარი, ახლა რომ ვნახოთ 2013-2016 წლების საპროგნოზო, ჩვენ ველოდებით, რომ, საშუალოდ, ეს იქნება მილიარდ 418 მილიონი წლიურად და ეს არის ზრდა 62 %-იანი. მეტს გეტყვით..

მოდი გავყვეთ, 2013 წელს ჩვენ გვქონდა 941 მილიონი, შემდეგ 2014 წელს გვქონდა მილიარდ 758 მილიონი, 2015 ჩვენ გვქონდა მილიარდ 351 მილიონი და წელს ჩვენ ველოდებით, რაც დათვლილი გვაქვს მილიარდ 600 მილიონს, მაგრამ, დავუშვათ, რომ მილიარდ 600 მილიონი ვერ შესრულდა და შესრულდა მილიარდ 350 მილიონი, რაც იყო შარშან, 2015 წელს. ამ შემთხვევაშიც კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო წლიური მაჩვენებელი 54% ით მეტია.

ახლა, მე მინდა, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე გადავიდე და მოგახსენოთ შემდეგი ციფრები: 2006-2012 წლებში, წინა ხელისუფლება, საშუალოდ, წლიურად, ავტობანზე ხარჯავდა 116 მილიონს. ჩვენი ხელისუფლების პერიოდში, 2013 წლიდან 2015 წლამდე, საშუალოდ, ჩვენ ვხარჯავთ 280 მილიონ ლარს, მაგრამ, აქვე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ 2006-2012 წლებში, ერთი კილომეტრი გზის დაგება ჯდებოდა 11,5 მილიონი ლარი, როდესაც ჩვენი ხელისულების პერიოდში, იგივე ერთი კილომეტრის დაგება, ჯდება 9,9 მილიონი ლარი და ეს ნიშნავს, რომ 14%-ით არის გაიაფებული. მეტსაც გეტყვით, წინა ხელისუფლების პერიოდში, ყოველწლიურად იგებოდა 10 კილომეტრი გზა, მაშინ როცა ჩვენი ხელისუფლების პირობებში, იგება 28 კილომეტრი გზა.

– ბატონო დიმიტრი, ციფრებზე ვსაუბრობთ ისევ და მოსახლეობას მხოლოდ ციფრები არ აინტერესებს...

– უკაცრავად რა, უნდა გავიდე ბოლოში, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, არავის გაუკეთებია ანალიზი და მინდა ამის ანალიზიც გავაკეთოთ. სოფლის მეურნეობაში, წლების მანძილზე, საქართველოში, 2004 წლიდან 2012 წლამდე, იყო კლება, საშუალოდ, ეს არის მინუს 1,7%, მაშინ, როცა ჩვენი ხელისუფლების პერიოდში, გვაქვს ზრდა – 5,3 %-ით.

– რასთან შედარებით? მთლიან შიდა პროდუქტში წილი მცირდება სოფლის მეურნეობის...

– რას მელაპარაკებით. აი, კონკრეტულად გეუბნებით, წლების მანძილზე რა ხდებოდა საშუალოდ და რა ხდება ახლა. სოფლის მეურნეობაში ასევე, მინდა მოგახსენოთ ისევ კონკრეტული ციფრებით, იხვნებოდა 260 ათასი, ახლა იხვნება 307 ათასი, ირიგაცია, მელიორაცია ჰქონდა 45 000, ეხლა აქვს 105 000-ს. ზრდა გვაქვს 133%. მშენებლობის ნაწილში...

– საქსტატის მიხედვით, შეიძლება თქვენ უფრო ახალი ინფორმაცია გაქვთ, არ ვიცი, მაგრამ საქსტატის მიხედვით, ნათესი ფართობები არის შემცირებული და ციფრებს რომ თავი დავანებოთ, ადამიანებს, ხომ არ დაპირებიხართ რომ 4 წლის შემდეგ, გამოხვიდოდით ფურცლების ფრიალით და ციფრებს მოუყვებოდით, ადამიანებს ხომ თავად უნდა ეგრძნოთ ეკონომიკური გაუმჯობესება...

გვიპასუხოთ კითხვაზე ის 33 000 ადამიანი, რომელიც დასაქმდა – რა სექტორში დასაქმდა.

– აუცილებლად, ეხლავე გაჩვენებთ მაგ გრაფიკს, იმიტომ რომ მაქვს ეგ გრაფიკი. ჯერ ტურიზმზე მოგახსენებთ, მილიარდ 936 მილიონი დააგენერირა ტურიზმმა და 2012 წელთან შედარებით 37%–ით არის შემოსავლები გაზრდილი და ასევე, მინდა გითხრათ, რომ ერთ საერთაშორისო ვიზიტორზე დანახარჯები, რომელსაც ის ხარჯავს, ასევე, გაზრდილია 537 ლარიდან 544 ლარამდე და 2012 წელთან შედარებით მგზავრთა ნაკადი გაზრდილი 61 %-ით.

– თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენით გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ველარ იხდის კრედიტს?

– მაგასაც გეტყვით, იმიტომ რომ არააღსულებადი სესხების მონაცემებიც, რა თქმა უნდა, მაქვს. მაგრამ ჯერ ამ თემას დავასრულებ: იპოთეკური სესხები დოლარში 2012 წელს იყო 12.5%, 2015 წელს დოლარში 8,5 %ია. პირდაპირ ეკონომიკაზე მინდა ვისაუბრო და მინდა, ჩვენს მოსახლეობას დავანახო, თუ როგორ აისახება ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაზე.

– პროცენტის კლება იქნებ მოთხოვნის ვარდნის ბრალია?

– 2012 წლის სექტემბრის შემდეგ, ბიზნეს სექტორზე გაცემული სესხები არის 90%-ით გაზრდილი, 8 მილიარდიდან 15 მილიარდამდე, ანუ ორჯერ არის გაზრდილი. გადაამოწმეთ ეს ინფორმაცია და ნახეთ. ყველაზე შთამბეჭდავი მატება არის აგრო-სექტორში, სადაც 6,5 არის გაზრდილი სესხის რაოდენობა, 7 არის გაზრდილი სესხები, ასევე, სასტუმროებზე, 68 მილიონიდან 485 მილიონამდე. რა ინერციაზე მელაპარაკებით, ბატონებო, როცა ასეთი მაჩვენებლებია, ხალხი ბიზნესს არ აკეთებდა, აღარ უნდოდათ ბიზნესის კეთება, რომელ ბიზნესზე მელაპარაკებით. აი, ეს არის იმის კონკრეტული მაჩვენებელი, რომ ბანკებმაც დაინახეს, რომ ქვეყანაში შეიძლება ბიზნესი გააკეთოს ბიზნესმენმა და ბიზნესმენებმაც დაინახეს, რომ სესხის აღება შეუძლიათ.

– ბატონო დიმიტრი, ეს ციფრები ნიშნავს თუ არა იმას, რომ ის დაპირებები, რომელიც გასცა „ქართულმა ოცნებამ“, შესრულებულია?

– მე მინდა გავაგრძელო და გაჩვენოთ საწამოების ნუსხა. ყოველთვის კითხულობთ, სად არის ის საწამოები, რომელიც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, აი, აქ ეს გრძელი ჩამონათვალია საწარმოების, (აჩვენებს საწარმოების გრძელ ჩამონათვალს). და აი, აქ არის, კიდევ ძალიან დიდი ამონაბეჭდი, ასევე, მიკრომეწარმეობიდან, რომელიც არის კონკრეტულად ჩვენი დახმარებით შექმნილი.

ნახეთ, როგორ არის, მოსახლეობის კმაყოფილება–არაკმაყოფილებამდე სანამ მივალთ, მე მინდა, დავასრულო ჩემი სათქმელი, იმიტომ, რომ მოსახლეობისთვის ჩვენ გაცილებით მეტი გვინდა. მე მინდა, რომ ამ ქვეყანაში იყო 2 %-იანი უმუშევრობა, რაც ნიშნავს იმას, რომ დღეს, თუ 250 000 კაცი არის უმუშევარი, მე მინდა, რომ იყოს 42 000 უმუშევარი და ნაკლები. აი, ეს არის ჩემი სურვილი რეალურად.

– თუ ისინი დასაქმდნენ საჯარო სექტორში და ჩვენი გადახდილი გადასახადების ხარჯზე, ეს არ არის კარგი, ამაზე ვსაუბრობთ...

– სირცხვილია ამაზე საუბარი, 26 მილიონი დაჯდა ათონელზე რომ სასახლეა, რომელი შენობა ავაშენეთ ჩვენმა ხელისუფლებამ 26 მილიონის ტოლფასი? შეადარეთ, ჩემს წინამორბედ მინისტრს 15 თუ 17 ათასი ჰქონდა ხელფასი, რაზე მელაპარაკებით? თქვენ გაქვთ პოლიტიკური დღის წესრიგი და თქვენ ხართ მხარე ამ შემთხვევაში, ამიტომ, მე შევეცდები, მაქსიმალურად გამოვიყენო დრო და მოსახლეობას სრულად მივცე ინფორმაცია, რომელიც მაქვს. თქვენ ბრძანეთ, სად არის ის საწარმოებიო და რამდენიმე მაინც გვაჩვენეთო და აი, მინდა, რომ გაჩვენოთ.

– თუმცა დაპირებები ქარხნებს შეეხებოდა და არა საწარმოებს, ბატონო დიმიტრი...

– რას ნიშნავს ეს, ახალი ტერმინი გაქვთ? საწარმო არ არის ქარხანა? აი, გაჩვენებთ ფოტომასალებს, აი, ესეც ახალაშენებულია, ესეც... (აჩვენებს ფოტოებს, სადაც ადგილები და შენობები მასზე საწარმოს აშენებამდე და აშენების შემდეგაა გადაღებული, ზოგზე საწარმოს გარე ხედია ნაჩვენები, ზოგზე დანადგარებიც).

და რამდენია ასეთი საწარმო, ბატონო დიმიტრი, თქვენ ათასებზე საუბრობდით...

– ასეთი მაქვს აქ ძალიან ბევრი, აი, კიდევ ერთი, და კიდევ ერთი – აი, აქ მეტალოპლასტმასს უშვებენ, თუ არ ვცდები.. ალო... ალო... გაითიშა კავშირი?

(„რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში, გადაცემა „არჩევანში“ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირდაპირი ჩართვა გაითიშა...)

თამო კეშელავა
555 46 08 04

არჩევნების წინ შეიძლება ისეთი მამხილებელი მასალები დაიდოს, „ნაცმოძრაობის“ თავკაცებს საარჩევნოდ კი არა, გასაქცევ-დასამალად გაუხდეთ საქმე

რამდენიმე დღის წინ ხმა გავრცელდა, ზურაბ ადეიშვილმა მოულოდნელად და სასწრაფოდ დატოვა უკრაინა და სავარაუდოდ, კვლავ ევროპას შეაფარა თავიო. მაშინვე გამოითქვა მტკიცებულებითი ფორმის ვარაუდი, „ადეიშვილი ის მამალი ვირთხაა, რომელიც პირველი გრძნობს გემის ჩაძირვის მოახლოებას, რაღაც, ძალიან სერიოზულშია საქმეო.“ ცოტა გასაკვირი კი



იყო – რა ამბავსაც მისი „მოხევა“ მოჰყვა, კონკრეტულად და პირადად ადეიშვილს არ ეხებოდა, თუ გაქცევაა, სულაც სანდრა რულოვსი და მიხეილ სააკაშვილი უნდა დამალულიყვნენ და აუცილებლად სხვა კონტინენტზე (ან სხვა პლანეტაზე). იგულისხმება, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის პირადი საუბრების მიყურადების შედეგად გამოქვეყნებული ე.წ „უკრაინული ვიკილიქსის“ ის მონაკვეთი, რომელიც ადამიანების ორგანოებით უკანონო და დანაშაულებრივ ვაჭრობას ეხება და სააკაშვილის მიერ, ფაქტობრივად, დანაშაულის პირდაპირი აღიარებაა „სანდრა თუ არ გააკეთებდა ამ ბიზნესს, სხვა მიხედავდაო.“ მოკლედ რომ ვთქვათ, მაშინ გაურკვეველი დარჩა რატომ დატოვა „ვირთხამ გემი“.

ახლა, როდესაც პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა კომენტარის სახით საზოგადოება გაარკვია მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილის, დავით ჩხატარაშვილის ჩვენებაში, ადეიშვილის უკრაინიდან გაქცევა ლოგიკაში ჩაჯდა. ფაქტობრივად, დანაშაულის უშუალო შემსწრემ, შესაბამისად, მოწმე ჩხატარაშვილმა დანაშაული აღიარა და ხელი დაადო ზურაბ ადეიშვილს.

ბატონი პროკურორის თქმით, იმ თათბირზე, რომელზეც მოწმე ჩხატარაშვილმა ისაუბრა, ზურაბ ადეიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება რომ მომხდარიყო დანაშაულის პროვოცირება და ინსცენირება, თითქოს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კი ხდებოდა ცემა-წამება და არაადამიანური მოყრობა, მაგრამ ეს ხდებოდა ოპოზიციური ძალების შეკვეთით, რათა სახელი გატეხოდა იმდროინდელ ხელისუფლებას. ამით, ერთგვარად გაუსუფთავდებოდა სისხლიანი ნიღაბი „ნაცჯალათებს“ და სისტემაც „ნამუსმოწმენდილი“ წარმოჩინდებოდა. , ლადო ბედუკაძე კი, რომელმაც მართლაც საკუთარი (არა მხოლოდ) ამთავითვე აღვნიშნოთ, რომ ადეიშვილის მორიგი გაქცევა-დამალვით კიდევ ერთხელ იკვეთება ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურები იმდენად დაცხრილულია „ნაცმოძრაობის“ თანამზრახველი თანამშრომლებით, საცერივით გასდის ინფორმაცია.

კადრები, რომელზეც საუბარია, თუ არ იცის მისმა მაყურებელმა, რომ დადგმულია, ამაზრზენი საყურებელია. სხვა საკითხია მასში მონაწილე „მსახიობები“, ერთის მხრივ პატიმრები: წოწორია და გრიგორიანი, მეორეს მხრივ სასჯელაღსრულების სისტემის ახალგაზრდა, მოძალადე თანამშრომლები.

როგორც გაცხადდა, ეს ავადმყოფური ფსიქიკის ნაყოფი-სცენა დაიგეგმა ზურაბ ადეიშვილის მიერ და განახორციელა დავით ჭაკუამ, რაც შემდგომში უკვე საზოგადოებამ იხილა. ამჟამინდელი გამოძიებით ნათელი გახდა ვის და რა დანაშაულებრივი როლი ჰქონდა ადეიშვილის მოფიქრებულ, ოპოზიციის („ქართული ოცნების“) მაკომპრომატერებელ დოკუმენტად გასასაღებელ მოკლემეტრაჟიან ფილმში.

დროში ოდნავ უკან გადავინაცვლოთ, როდესაც ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილი დააკავეს, „კუდ-ის“ ყოფილი მაღალჩინოსანი (და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე პირი), ადეიშვილივით ასევე ქვეყნიდან გაქცეული დათა ახალაიას მოადგილე. „გაკვირვებული“ იყო „ნაც-დურდო“ სერგო რატიანის სახით და მიედ-მოედებოდა დამფრთხალი: „გასაკვირია, რატომ დაიჭირა საგამოძიებო უწყებამ ვაჟა ლელუაშვილი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ამ ხელისუფლების („ოცნების“) ინტერესების გამტარებელი იყოო...“ აქეთ რომ სერგო რატიანი დარჩა გაკვირვებული, იქიდან გოკა გაბაშვილმა დააგვირგვინა, „ვაჟა ლელუაშვილი 2012 წლიდან „ქართულ ოცნებასთან“ დაპატიმრების შიშით თანამშრომლობს, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, ფაქტიური მმართველი და არაფორმალური ხელმძღვანელი იყო გარდაბნის არჩევნებზე და 2013 წელს ძალიან აქტიურად იყო პირადად ჩართული „ქართული ოცნების“ მხარეს ოპოზიციური დეპუტატების გადაბირების საქმეშიო.“

ასე იყო თუ ისე, სრულებით არ არის საინტერესო, მითუმეტეს, რომ ეს არაფერს ცვლის იმ თემაში, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების 9-წლიანი მმართველობის დროს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებები ჰქვია. ფაქტი ის არის, რომ ვაჟა ლელუაშვილის დაკავებამ გვარიანად ააფორიაქა ძალიან ბევრი ვინმე, ხოლო რატომ, ფაქტობრივად თვითონ თქვეს, დაკავებულ ლელუაშვილს იმდენი ინფორმაცია აქვს იმდენ ვინმეზე და რამეზე, ღირებულია მისი თანამშრომლობა როგორც გამოძიებასთან, ისე ხელისუფლებასთან.

ვაჟა ლელუაშვილი (ან ის პირები, რომლებიც დააკავეს) რა „სამუშაოსაც“ ასრულებდა (ფარულ გადაღებებს აწარმოებდა თუ ვინმეს „ბიზნესებსა“ და მიწებს სტაცებდა“, ან საკუთარ თანამშრომლებს (როლანდ შინდელიშვილი) მილიონ დოლარს „აწერდა“. ბოლოს „კუდ-მა“ „სოდ-ს“, ერეკლე კოდუას დააჭერინა), ყველა შემთხვევაში იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სისხლიანი და ბოროტმოქმედი ჯაჭვის შემქმნელი რამდენიმეკაციანი ბანდისგან გამოჭედილი ერთი რგოლი, რომელიც თავის მხრივ ქვედა რგოლებს ქმნიდა.

კაცმა რომ თქვას ლელუაშვილის პოზიციიდან და განვლილი ცხოვრების საფეხურებიდან გამომდინარე, ვითომ რატომაც არა და ვერ უნდა ითანამშრომლოს ყოველგვარის სიმპათიების გარეშე ამჯერად ამ ხელისუფლებასთან? კაცი, რომელმაც საბჭოთა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით და „მოქალაქეთა კავშირიდან“ რომ დაიწყო, როგორც ამბობენ „მამალაძის მეჯინიბეობიდან“ ჩუმი ფუთფუთი, სააკაშვილის „კუდი-ს ტვინად“ იქცა და ამდენ ხელისუფლებაზე გადამხტარი იმას ვეღარ განსაზღვრავს მისთვის რა არის ამ ეტაპზე მომგებიანი და სასარგებლო? ყველას არ აქვს უნარი, სიტუაციას მოერგოს და საჭირო იყოს ამა თუ იმ ხელმძღვანელისთვის – აქვს ამ კაცს ეს უნარი და ვითომ, რატომ ჩაიხშობს? თუ, ჩხატარაშვილზე ნაკლებად აქვს „ამბების“ გადმოცემის უნარი? ერთიცაა, სულაც არ ფიქრობს, ალბათ, რომ მის წონა ოქროს შეკრებენ მისი ბოლოპარტიელი მეგობრები და ძალიან მალე ციხის ზედამხედველი დაუძახებს: ლელუაშვილი, ს ვეშჩამი!

კიდევ ერთი საინტერესო პერსონა მოჰყვა ბადეს – ნუნუ გინტური, არა ერთი დაზარალებულის მტკიცებით ის ნოტარიუსი, რომელიც მოქალაქეებისთვის წართმეულ ქონებას „ნაცებს“ უფორმებდა დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს; ამასთანავე, ციხეშიც შედიოდა შუაღამისას და წილის „გაჩუქებაზე“ აწერინებდა ხელს პატიმრებს. კარგა ხანს აფარა ხელი მოსამართლე გიორგი სულაკაძემ გინტურს, იმდენ ხანს, რომ ხალხი ხელჩაქნეული იყო, სანამ კოტე კუბლაშვილი მთავარი მოსამართლე იქნება, არაფერი ეშველება სამართლიანობასო; მოსყიდული ჰყავს პროკურატურაც და „პროკრედიტბანკიც“ რომელიც სესხებს გაურკვეველ ვითარებაში, გაყალბებული საბუთების საფუძველზე იძლეოდაო; „ნაცებს“, თუ ვინმეს რამე ქონება აქვს, სულ ამ ქალის ხელით აქვთ მითვისებულიაო. ნუნუ გინტური ნოტარიუსი კი არა, ის ყაჩაღია, რომელთან ურთიერთობაც ყველასთვის ციხის კართან დასრულდაო...

კარგა ხანს ეჭიდავა კანონს გინტურის მხარე და როგორც იქნა, საქართველოს ფინანსთა საგამოძიებო სამსახურმა ნოტარიუსი გინტური და მისი თანამონაწილე ბრალდებულების სახით სისხლის სამართლის პასუხგებაში მიეცნენ. კონკრეტულ საქმეზე, რომელზეც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი სამ წლამდე პატიმრობას გულისხმობს, სხვა თემაა, ჩვენ ის ვიკითხოთ, რას იტყვის გინტური, თუ გამოძიება მართლა დაინტერესდა და ჰკითხა „რაღაც-რაღაცების“ შესახებ?

როგორც ამბობენ, გამოძიებისთვის გინტურს უთქვამს, ოღონდ თავი დამანებეთ, არ დამიჭიროთ და სულ დაწვრილებით მოვყვები რაც გაინტერესებთო. საინტერესო კი, მართლაც ძალიან ბევრი აქვს მოსაყოლი, ისეთები, ყველაფერს რომ მისი ბეჭედი არტყია და მისი ხელმოწერა ამშვენებს.

ჩხატარაშვილისა არ იყოს, ვითომ, გინტური რატომღა არ მოყვება ვისი მითითებით ჰქონდა გზა ხსნილი საპატიმროებში შუაღამისას სანოტარო ბეჭდით ჩანთაში სასიარულოდ? მოყვება კიდეც (თუ ჯერ ვერ ჩაეტია დროში და ამიტომ არ მოუყოლია სრულად) და დაიფიცებს კიდეც, მე დამნაშავე არ ვარ, ამა და ამ პირმა მაიძულაო...

უცბად, „რატომღაც“, ამ ბოლოდროინდელი ამბებიდან ეს სამი ადამიანი გაახსენდება კაცს, თორემ რამგენი გინტურ-ჩხატარაშვილ-ლელუაშვილი იყო და მათგან რამდენი ფიქრობს, რატომ ჩავყვე მოუსავლეთში ვიღაცას, ერთი, იმის ჭკუაც არ ვატირეო? – რა ვიცით.

ასე რომ, სანამ საარჩევნო სიტუაცია კარგად არ შევა ძალაში და ბოლოს, არ ჩათავდება, სავარაუდოდ, საინტერესო „საგამოძიებო გამოფენები“ ელის ხალხს. სავარაუდოდ, ხალხის ძირითადი მოთხოვნა „აღდგეს სამართლიანობა!“ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აღდგება, ნაწილისა – დაიწყება, დანარჩენი ნაწილისა – ანონსად გამოცხადდება.

გიორგი ჩხეიძე

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ „ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲐ“ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲣᲜᲘᲗ

ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝᲓ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ!“,

რას ემსახურება საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, ის „მწვავე“ საპროტესტო აქციები, რომლის ინიციატორებადაც აბესაძე-მელიას ტანდემი გვევლინება? მათ ბოლო ხანს სხვა ე.წ. ცნობადი სახეებიც შეუერთდნენ, მაგალითად „მარადმწვანე პროტესტანტი“ ალეკო ელისაშვილი, რომელიც რატომღაც პოსტფაქტუმ გამოხატავს ხოლმე უკანონობისადმი უკმაყოფილებას. „ჰამქარბაში“ ნაციონალების მმართველობისას ერთი პერიოდი კი აპროტესტებდა აბანოთუბანში კლდეს ანგრევენო, მაგრამ მერე საეჭვოდ გაისუსა. იმ პერიოდში თურმე ბოტანიკური ბაღის ტერიტორიასაც ყიდდნენ ნაწილ-ნაწილ „კოლეგავ“ და ამას რატომღა არ აპროტესტებდი? იმიტომაც არის, რომ საზოგადოების გარკვეული, უფრო სწორად, ძალიან მცირე ნაწილის გარდა, რომ აღარავის სჯერა შენი გულწრფელობის. იმასაც მიაღწია ამ ბატონმა, რომ უკვე კოლეგებიც „აშაყირებენ“, მაგალითად გელა ზედელაშვილი, საპროტესტო აქციაზე 20 კაცზე მეტი ვერ მიიყვანაო. ეს „პარტიზანი მებაღეებიც“ მაინც და მაინც ხელისუფლების შეცვლის მერე რატომ გამოჩნდით, თბილისის შემოგარენი სანამ ხრიოკს არ დაამსგავსეს ნაციონალებმა, მანამდე არ გაწუხებდათ ეკოლოგიის პრობლემა? რა ვქნა, არ მჯერა არცერთის გულწრფელობის და თქვენი პროტესტი ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი მგონია, რისი არგუმენტებიც საკმარისზე მეტი მაქვს, ოღონდ ამის შესახებ სხვა დროს. ახლა ჯობს ბოტანიკური ბაღის მოქმედ და ყოფილ ხელმძღვანელებს მოვუსმინოთ.

გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ბაოტნიკური ბაღის დირექტორი **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲓᲐᲠᲩᲘᲫᲔ**.

- არაერთხელ მითქვამს, რომ ბოტანიკური ბაღის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არის უსაფუძვლო, უბრალოდ, საზოგადოების ნერვებზე თამაშია და მეტი არაფერი. დავიწყოთ იმით, რომ ბაღის საზღვრები, ისტორიულად არასდროს ყოფილა კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცეული, იგი გარკვეული საჭიროებიდან, ზოგჯერ კი სამწუხაროდ არასაჭიროებიდან გამომდინარეც იცვლებოდა. 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე ბაღის საზღვრის კორექტირება დაახლოებით შვიდჯერ მოხდა, მაგრამ ამ ბოლო ცვლილების გარდა, სხვას არ გამოუწვევია საზოგადოების გარკვეული ნაწილის არანაირი ინტერესი, მით უმეტეს, რომ ეს ცვლილებები ახლანდელივით ბაღის სასარგებლოდ, ფართის უცვლელად კი არა, ბაღის ტერიტორიის შემცირებით მოხდა. დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია საჯარო რეესტრიდან გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და თავად დარწმუნდება, იმასაც გაარკვევენ თუ ვისზე გასხვისდა წინა წლებში ბაღის ტერიტორიები. ამით უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ბოტანიკური ბაღის რამდენიმე ნაკვეთი აღარ არის მის შემადგენლობაში, დაკარგულია ჩვენი საცდელი ნაკვეთები, სანერგეები, რომელიც ბაღის ტერიტორიის გარეთ არსებობდა. მართალია, საზოგადოებას ეს თემა აინტერესებს, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. დღეს მოხდა საზღვრის კორექტირება ბოტანიკურ ბაღსა და ბაღის მომიჯნავედ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას შორის, რომელიც კომპანია „ფინსერვისს“ 2007 წელს გარკვეული პირობებით გადაეცა საკუთრებაში. სხვათა შორის, ამ გადაცემიდან მალევე (ერთი წლის თავზე) გახდა საჭირო ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის საზღვრების დაზუსტება, ვინაიდან საზღვარი ტექნიკურად იქნა გატარებული, ბაღის პირველადი აზომვითი ნახაზები შეიძლება ითქვას, რომ იყო საკმაოდ არაზუსტი. ასე რომ, ეს თემა უცხო არ იყო არც „ფინსერვისისთვის“, არც დედაქალაქის მუნიციპალიტეტისთვის და არც ჩვენთვის, ყველა საქმის კურსში ვიყავით, რომ საზღვარი არ იყო გატარებული ბაღისთვის ბუნებრივი გავრცელების რაღაც ზომაზე, უბრალოდ ტექნიკურად იყო გავლებული. ბაღის კუთვნილი ტერიტორიაზე, რომელიც ახლა უზეშად რომ ვთქვათ, გაიცვალა, არ გვქონდა ფიზიკურად წვდომა ბაღის ძირითადი ტერიტორიიდან, უნდა გადაგვეკვეთა „ფინსერვისის“ კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორია და ისე უნდა მივსულიყავით იმ ტერიტორიამდე, რომელიც ჩვენთვის რაიმე განსაკუთრებულსა და ღირებულს არ წარმოადგენს, როგორც სამეურნეო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. იქ არც კოლექცია გაგვაჩნდა, არც ინფრასტრუქტურა და ა. შ. კომპანია „ფინსერვისმა“ მოითხოვა საზღვრის დაზუსტება და კორექტირება, ჩვენთვის ფაქტობრივად გამოუყენებელ ტერიტორიის სანაცვლოდ კი ალტერნატიული სივრცე შემოგვთავაზა. როცა ხსენებული საკითხი დღის წესრიგში დადგა, მოგვმართა დედაქალაქის მერიამ, რადგან მუნიციპალიტეტია იმ მიწის მესაკუთრე, ბოტანიკური ბაღი მხოლოდ მოსარგებლეა ამ ტერიტორიის არსებობის ვადით, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვიღებთ გადაწყვეტილებას ბაღის ტერიტორიის გასხვისებასა, იჯარით გაცემაზე და ა.შ. მუნიციპალიტეტმა მოგვმართა, როგორც უზურფრუქტორს, თუ რა მოსაზრება გვქონდა საზღვრის კორექტირებისას აღნიშნული ტერიტორიის კონფიგურაციაზე, ჩვენ თვენახევარი ვიმსჯელეთ, შევისწავლეთ ჩვენი ტერიტორიის პოტენციალი, სამომავლოდ ბაღისთვის სარგებლიანობის შესაძლებლობა, ხსენებული ტერიტორია 50 წელზე ცოტა მეტია ბაღის შემადგენლობაშია და როგორც გითხარით, პრაქტიკულად გამოუყენებელი იყო. ასევე შევისწავლეთ ის ტერიტორია, რომელიც კორექტირების შედეგად უკვე ჩვენს საზღვრებში იქნებოდა მოქცეული, ავწონ-დავწონეთ მისი შესაძლებლობა, როგორც ტურისტული, ისე სამეცნიერო და კოლექციის გაზრდის თვალსაზრისით და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული ცვლილებები სასიკეთო იყოს ბაღისთვის. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს ამ გადაწყვეტილებაზე, პასუხისმგებლობას არ გავურბივართ, რადგან ჩვენთვის მთავარი ისაა, რაც ბოტანიკური ბაღისთვისაა უკეთესი. ახლა უკვე ბაღის საზღვრის შიგნით მოქცეულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გამართული სარწყავი სისტემა, შეტანილია ნოყიერი ნიადაგი, დარგულია ხეხილი და ა.შ., რაც ყველაზე მთავარია, ეს ტერიტორია უშუალოდ ემიჯნება ბაღის ცენტრალურ ნაწილს, ზემოდან გადმოჰყურებს ე.წ. პარტერს და ბუნებრივია, ჩვენი ინტერესშია ამ ტერიტორიის ბოტანიკური ბაღის საზღვრებში მოქცევა. რაც შეეხება იმ საკითხს, რამდენად კანონიერად, პროცედურების სრული დაცვით მოხდა საზღვრების კორექტირება, ამ პროცესშიც ჩვენი როლი მეორეხარისხოვანია, რადგან ამ პროცედურებს ჩვენ არ წარვმართავთ, ეს მიწის მესაკუთრის, ანუ თბილისის მერიის და ბაღის მოსაზღვრე ტერიტორიის მფლობელის „ფინსერვისის“ ურთიერთმოლაპარაკების საქმეა, ქალაქის თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს პროცედურების სწორად წარმართვა. ოპონენტები იმ თემით აპელირებდნენ, რომ თითქოს „ფინსერვისისთან“ გაცვლილი ტერიტორია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელი იყო,ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ბოტანიკურ ბაღს 2007 წელს კულტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ოღონდ კონკრეტულ სივრცეზე და ამ ტერიტორიის კონფიგურაციაში არ ჯდება საკმაოდ ბევრი ტერიტორია. მინისტრის ბრძანებით, 81 ჰექტარ ტერიტორიას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ბოტანიკური ბაღის ფართობი კი დღეს 97 ჰექტარია, ანუ ბაღის გარკვეული სივრცეები არ შედის კულტურული მემკვიდრეობის ზონაში. ამ საკითხს ნათელი მოჰფინა მერიამ გამოიტანა რა სათანადო დოკუმენტაცია, აქედან გამომდინარე, თემაც პრაქტიკულად ამოწურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მერე 29 ჰა ფართობის საკითხი გახდა „აქტუალური“, რომელიც აბსოლუტურად მოწყვეტილია ბოტანიკური ბაღის თემას. საქმე ეხება კონკრეტული პროექტს, რომელსაც მერიის კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს, ვგულისხმობ კრწანისი-შინდისის გზის რეაბილიტაციას. იქ გარკვეულ ტერიტორიებზე ხეების მოჭრის თავიდან აცილების მიზნით, შეიცვალა გარკვეული მარშრუტი, უკეთესი ალტერნატიული პროექტი დაიდო და კონკრეტული სარეკრიაციო სივრცე გამოთავისუფლდა, სადაც განვითარების შესაძლებლობა გაჩნდა. გეკითხებით, აქ საერთოდ რა შუაშია აქ ბოტანიკური ბაღი? ამ საკითხის წინ წამოწევა და მასში ბოტანიკური ბაღის თემის გახვევა, რომ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, ვფიქრობ, საზოგადოება კარგად ხვდება, პოლიტიკურ დისკუსიაში შესვლას კი ნამდვილად არ ვაპირებ. როგორც გითხარით, ჩვენი ამოცანა იყო მომხდარიყო ბოტანიკური ბაღის საზღვრების კორექტირება მისთვის რაც შეიძლება სარგებლიანი პირობებით და ჩვენ ამას მივაღწიეთ. სხვა ყველაფერი, რასაც მავანნი ცდილობენ აჟიტირებისთვის გამოიყენონ, ბუნებრივია ჩვენი კომპეტენციის გარეთ დგას, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ ბევრი რაღაც შენდება, რაღაც იყიდება, საზღვრებიც იცვლება, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲓᲐᲠᲩᲘᲫᲔ

- ამ ე.წ. პროტესტანტთა ემოციები, რომლებმაც უკვე კომიკური სახე მიიღო, კომპანია „ფინსერვისს“ ხომ არ უკავშირდება? ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან რაღაც არ მახსოვს მათი ასეთი მწვავე პროტესტი, როდესაც მასიურად იჩეხებოდა ხეები მთელი საქართველოს მასშტაბით.

„ფინსერვისი“ 2000-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და გარკ-

ნინო გოცაძე

ნანა წულუკიძე

ვეულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდა. როცა ბოტანიკური ბაღის თემაზე ვსაუბრობთ, ცალსახად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ორი საკითხი, რადგან სამწუხაროდ, არის მცდელობა ერთმანეთთან დააკავშირონ, ბაღის ტერიტორიის საზღვრის კორექტირების შედეგად ტერიტორიების ასე ვთქვათ, გაცვლა და ფონდი „ქართუს“ მიერ, ბოტანიკურ ბაღებისთვის გაწეული დახმარებები დედაქალაქსა და ბათუმში. აქცენტი კეთდებოდა, რომ თითქოს ეროვნულმა ბოტანიკურმა ბაღმა თავი ვალდებულად ჩაითვალა „ფინსერვისის“ შემოთავაზება მიეღო, რადგან ეს კომპანია დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის სახელთან, ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საქმეში, თურმე ამიტომ დავთანხმებულვართ ტერიტორიების გაცვლას. რატომღაც იმას არავინ ახენებს, რომ „ფინსერვისს“ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა, უკვე მილიონობით ლარი ინვესტიცია აქვს განხორციელებული, რაც ჩვენთვის სრულიად გამოუყენებელი ტერიტორიის სანაცვლოდ გადმოგვეცა. ეს ორი თემა ერთმანეთთან კავშირში თუნდაც იმიტომ არ არის, რომ ფონდი „ქართუ“ ბოტანიკურ ბაღებს 2000-იანი წლების დასაწყისიდან აფინანსებს, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ბაღებს ყველაზე მეტად უჭირდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სამეცნიერო კადრების შენარჩუნება, რადგან სახელმწიფო მათზე ხელფასებს ვერ გასცემდა. შეუძლებელი იყო სამეურნეო საქმიანობის წარმართვაც, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფაქტობრივად აღარ არსებობდა, აღარ მარაგდებოდა, წარმოუდგენელი იყო კოლექციის შენარჩუნება, რადგან აღარ არსებობდა სარწყავი სისტემა, მუშახელი. ფონდი „ქართუ“ ამ წლების განმავლობაში გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა და ჯამში, თუ არ ვცდები 25 მილიონი ლარის ინვესტიციები აქვს ჩადებული, როგორც ბათუმის, ისე საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საზღვრის კორექტირების დაკავშირება მაინც წარმოუდგენელი და მიუღებელია. ნიშანდობლივია ერთი საკითხი, 2000-დან 2011 წლამდე „ქართუს“ მიერ ბოტანიკურ ბაღებში ჩატარებულმა სამუშაოებმა, საკმაოდ დიდი შედეგი გამოიღო, მოხდა სამეცნიერო კადრების შენარჩუნება, კოლექციის გადარჩენა და სტიმული მიეცა ბოტანიკური ბაღების განვითარებას. ბაღებს, რომლებსაც პრაქტიკულად დაკარგული ჰქონდათ იერსახე, მეცნიერებასაც რომ თავი დავანებოთ, ტურისტული პოტენციალის განვითარების შესაძლებლობა გაუჩნდათ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის საკუთარი შემოსავალი 2010 წელს 300.000 ლარი იყო, 2015 წელი კი 1.700.000 ლარით დაასრულა, რაც მხოლოდ მისი შემოსავლები იყო. ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების დაწყებამ სტიმული გააჩინა, რაც ბაღების ასე ვთქვათ, საკუთარ ფეხზე დადგომის საფუძველი გახდა. ეს პროცესები, რომელიც რამდენიმე წელია დაიწყო, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღშიც შეუქცევადი უნდა გახდეს. ბაღებმა უნდა შეძლონ საკუთარი მისიის შესრულების პროცესში, რაც შეიძლება მეტი საშუალებები გამოძებნონ საკუთარ თავში, რადგან მათ ეს პოტენციალი გააჩნიათ. უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრი მიმართულებითაა განვითარება ორივე ორგანიზაციაში, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ იდეალური მდგომარეობისგან, ანუ თანამედროვე ევროპული ბოტანიკური ბაღები როგორც საქმიანობენ. ბოტანიკური ბაღს ვიწრო გაგებით არ უნდა მივუდგეთ, როგორც ეს ბოლო დღეებში წარმოჩინდა, ეს თვითონ ბაღისთვისაა ძალიან ცუდი, რადგან ეს არის ორგანიზაცია, მარტო სამეცნიერო დაწესებულება კი არა, ცოცხალი მუზეუმია ღია და დახურულ გრუნტებში ფლორის, მცენარეთა მრავალფეროვნების სახით.

ეროვნული ბოტანიკური ბაღის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, რომ უნიჭოდ დადგმული პოლიტიკური სპექტაკლია, ვფიქრობთ, საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილიც დარწმუნდა. სახელმწიფო აუდიტის 2012 წლის დასკვნის მიხედვით, დედაქალაქის მერიამ, მხოლოდ 2009-2011 წლებში 20690 ხის მოჭრაზე გასცა ნებართვა. პატივცემულო ირაკლი აბესაძევ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ პერიოდში მერიის მაღალჩინოსანი ბრძანდებოდით, რაო, მაშინ არ ითვლებოდა ცოდვად ხის მოჭრა, ახლა მიამიტი სახით რომ გვიმტკიცებთ, აპოკალიფსი დადგაო. აქ მხოლოდ სამწლიან პერიოდზე საუბარი, მაგრამ წინა წლებში რა ხდებოდა, ვის მოვთხოვოთ ამის სტატისტიკა? რატომღაც მაშინ არავის უნახავს პატრულის ავტომანქანებზე აბობღებული ე.წ. გარემოს დამცველები, „მზის და ვარდების მხარე“ ჩინეთიდან ჩამოტანილი ქვით მოშანდაკებულ უდაბნოდ როგორ გადააქციეთო. მწვანე ნარგავების „გულმხურვალედ დამცველო“ ნაციონალებო და სამოქალაქო სექტორის „ელიტარებო“, იცით რა რაოდენობის ხე-ტყეა გაჩეხილი საქართველოში ნაციონალების მმართველობისას? თუ არ იცით „მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერს, ბატონ გია გაჩეჩილაძეს მიაკითხეთ და დაგაკვალიანებთ. ის პერიოდიც კარგად გვახსოვს, ჯერ „მწვანეები“ და მერე ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები რომ გერქვათ, როგორ მასიურად იჩეხებოდა მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთსა თუ ახმეტის რაიონში თქვენი „ხელდასმით“ უნიკალური ჯიშის ხეები. ჩვენ არც ის დაგვვიწყებია, როგორ დააკავა საგზაო პოლიციის დუშეთის პოსტზე ერთ-ერთმა „გაიშნიკმა“ მორებით დატვირთული ტრაილერების ქარავანი, რომელსაც თურქეთისკენ ჰქონდა გეზი აღებული. როგორ აჟრიამულდით თქვენს მიერ მართული მედიასაშუალებებით, აქაოდა, ადამიანის უფლებები ირღვევაო, შს მაშინდელ მინისტრ კახა თარგამაძესაც მიუხტით და ამ ინსპექტორის „ანათემაზე გადაცემა“ მოსთხოვეთ, მაგრამ მან თქვენი გულის გასახეთქად, ეს ადამიანი პირიქით, დააწინაურა.

ბოტანიკური ბაღის ე.წ. გადამრჩენებო, ეჭვი არ გვეპარება, ჩვენს რესპოდენტს, ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს თამაზ დარჩიძეს „დაინტერესებულ პირად“ ჩათვლით, მისი ნათქვამი არ დაიჯერებაო, ამიტომ აქვე შემოგთავაზებთ ხსენებული ბაღის ყოფილი დირექტორის, ბოტანიკის მეცნიერებათა დოქტორის **ნინო გოცაძისა** და დირექტორის ყოფილი მოადგილის **ნანა წულუკიძის** მიერ ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ განცხადებებს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ნაწილის

გასხვისების თაობაზე ატეხილ აჟიოტაჟზე და საზოგადოებამ თავად გამოიტანოს დასკვნა, თქვენ ამბობთ სიმართლეს თუ ეს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ქალბატონები.

„4 ჰექტარი; კრწანისი-შინდისის გზა; გასხვისებული მიწები და ნაცმოძრაობა. ისევ ბოტანიკური ბაღი. ისევ ჩინოვნიკების არაკვალიფიციურობა და უპასუხისმგებლობა, ისევ უადგილო, უდროო და პოპულისტური აჟიოტაჟი იმ ძალის მიერ, რომელსაც თვითონ აქვს გასაცემი კითხვებზე პასუხები, მაგრამ კითხვის დამსმელი არ გამოუჩნდათ. შევეცდები ცოტაოდენი სინათლე შევიტანო ამ ლაბირინთში“-ო, აცხადებს **ნინო გოცაძე**. შპს „ფინსერვისმა“ ბოტანიკური ბაღის ტერიტორია, რომელიც თაბორის ქედის გასწვრივ მდებარეობს და 10 ჰა-ს შეადგენს 2007 წელს შეიძინა, ანუ ნაციონალების ზეობის ხანაში, როცა სრული განუკითხაობა სუფევდა და არავის ახსოვს ირაკლი აბესაძის და ნიკანორ მელიას მიერ გიგი უგულავას კაბინეტის კარის პიკეტირება აღნიშნულის გამოო. რაც ბუნებაში არ ყოფილა, აბა, როგორ გვემახსოვრება ქალბატონო ნინო? სრულიად გეთანხმებით, რომ არც არასამტავრობებს გამოუჩენიათ პროტესტით თავი და მორალური მოსაზრებით, ამ სუბიექტებს ნამუსი არ უნდა აძლევდეს უფლებას დღეს ასეთი თავგამოდებით და ზოგ შემთხვევაში უტიფარი აგრესიულობით მოითხოვდნენ პასუხებს. ჩვენც გვაინტერესებს სადაა ნამუსი. ნინო გოცაძის განმარტებით, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია დაახლოებით ასე ნაწილდება: 57 ჰა არის საკოლექციო ნაკვეთები და საპარკე ნაწილი; არასაკოლექციო ნაკვეთები – 7 ჰა; მიუდგომელი ფერდობები, მიახლოებით 3 ჰა, ხოლო დანარჩენი 30 ჰა (ციფრები მიახლოებითაა მოყვანილი), არის ყამირი ლელვთახევისა და თაბორის ქედს შორის მოქცეული, ძნელად მისადგომი ველური ბუნება, სადაც სარწყავი სისტემის მოწყობას და კულტურული სახის მიცემას კოლოსალური თანხები ჭირდება, რაც ბოტანიკური ბაღის შესაძლებლობებს ბევრად აღემატება. ბიძინა ივანიშვილმა „ხვალ“ რომ შესთავაზოს ამ 30-40 ჰა უპერსპექტივო ადგილის სანაცვლოდ, ალტერნატიული ნაყოფიერი ფართობი ქალაქში ან მასთან ახლოს და თავის თავზე აიღოს მისი კეთილმოწყობა, ხოლო ბოტანიკური ბაღისგან მიღებულ ფართობს შეუნარჩუნოს სარეკრიაციო ზონის სტატუსი შემდგომი განვითარებით, რა არის ამაში ცუდი, მიუღებელი და კატასტროფულიო? „პირიქით, მისასალმებელია და მეტსაც ვიტყოდი – კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ეს ადამიანი, რომელიც უკვე მეორე ათეული წელია ინახავს ბოტანიკურ ბაღს და მის თანამშრომლებს, დღესაც უანგაროდ აგრძელებს ამ საქმეს!“, აცხადებს ნინო გოცაძე.

ქალბატონ ნანა წულუკიძეს აინტერესებს, რა სჭირს დღეს ბოტანიკურ ბაღს გადასარჩენი, თუ ვინმეგან უნდა გადარჩეს, ეს მელიასა და აბესაძისნაირ ბინძურ ადამიანებს ეხებათ, რომლებსაც მორი ტყუილებით, ბაღის გამოყენება სურთ არეულობისა და დაპირისპირების გამოსაწვევადო.

ნანა წულუკიძე: „სად იყვნენ არასამთავრობები ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები უხელფასოდ რომ მუშაობდნენ? მაშინ, როდესაც 2007 წელს ლანდშაფტური დიზაინის განყოფილებას 3 ჰა ჩამოაჭრეს და კერძო პირს გადასცეს? როცა უსახსრობის გამო, ენდემური კოლექციები გაქრობის პირას იყო? როდესაც ბოტანიკური ბაღი საწევროს გადაუხდელობისთვის ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო გაერთიანებიდან გარიცხეს? როდესაც გიგი თევზაძემ (ილიას უნივერსიტეტი), ჯერ მიიერთა და მერე ბედის ანაბარა დატოვა ბაღი? მაშინ, როდესაც გიგი უგულავა ნაწილ-ნაწილ გაყიდვას უპირებდა? კიდევ უამრავი ამდაგვარი ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება. რა მოხდა დღეს? ბოტანიკურმა ბაღმა 4 ჰა ასათვისებლად უვარგისი ტერიტორიის ნაცვლად, რომელიც არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, დაიბრუნა ნაციონალების მიერ 2007 წელს გასხვისებული უფრო დიდი ფართობი, რომელსაც გააჩნია ნოყიერი ნიადაგი და ხელს შეუწყობს ბოტანიკური ბაღის განვითარებას. ისე, თუ გაინტერესებთ, ზემოჩამოთვლილი პრობლემები ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახსრებით აღმოიფხვრა და არამარტო ეს. ის ზშირად ჩუქნის ბოტანიკურ ბაღს იშვიათი სახეობების ნერგებს, ბატონი ბიძინას ფონდი უხდის დღემდე ბაღის თანამშრომლებს სახელფასო დანამატს, ეხმარება პრობლემების, მათ შორის ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაში. რამდენი კვლევითი ინსტიტუტი დარჩა საქართველოში? თითებზე ჩამოსათვლელიც არა. ბოტანიკის კვლევითი ინსტიტუტი კი ფუნქციონირებს და საკმაოდ წარმატებულად. ტერიტორიაზე არსებობს რეგიონში ერთადერთი თესლის ბანკი, რომელიც ახდენს გადაშენების პირას მყოფ ენდემური სახეობების კონვერსაციას.

მივმართავ მელიას და მის თანამზრახველებს!

ჯობს, ზრდილობა ისწავლოთ და თავი შორს დაიჭიროთ ბოტანიკური ბაღისგან! ეს ყველაფერი ძალიან ცუდად შემოგიბრუნდებათ“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

კობა ბუჩუკური:

თუ გაკეთებული საქმეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებაა!

შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილის ხელის ბიჭად იქცა, რომელიც დადის და საქართველოს მთელ მსოფლიოში არცხვენს



კობა ბუჩუკური – 1994 წლიდან დუშეთის რაიონის გამგებელი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მინიჭებული აქვს სამხედრო პოლკოვნიკის ჩინი.

ჰყავს სამი შვილი.

– ბატონო კობა, ძალიან სასიხარულო ამბით – მთის კანონის მიღებასთან დაკავშირებით გვსურს საუბარი დავიწყოთ. იცნობთ ახალ კანონს? რა შთაბეჭდილებები გაქვთ? როგორც ცნობილია, თავის დროზე თქვენ გაქვთ მონაწილეობა მიღებული მსგავსი კანონის შემუშავებაში.

– როგორც მთაში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, მთის პრობლემები კარგად ვიცი. სწორად შენიშნეთ, მე გახლდით ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს

მთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კანონი დაწერა, უფრო ზუსტად, ამ 12-პუნქტიანი კანონის ჩონჩხი ჩამოვაყალიბე მეგობრებთან ერთად. მას შემდეგ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და დაიწყო კანონის დახვეწაზე მუშაობდა.

1998 წელს არჩევნების წინა პერიოდში მიიღეს კიდევაც ეს კანონი.

მინდა ისტორიას ახსოვდეს საქართველოს მაშინდელი პარლამენტარი, დეპუტატი გიორგი ბიჭაშვილი, ვისთან ერთადაც ბევრი ვიმუშავე მთის კანონზე.

სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა მთიანეთის პრობლემატიკის შემსწავლელი კომისია.

მთის კანონმა იმ პერიოდში მიიღო სახალხო განხილვის ხასიათი. დუშეთში ჩემი გამგებლობის პერიოდში მოეწყო არსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის შეხვედრა, რომლებიც მთის პრობლემატიკით იყვნენ დაინტერესებულნი. 35-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია მოვიწვიეთ. ვიმსჯელეთ, პრიორიტეტები გამოვკვეთეთ... ამას იმიტომ გიყვებით, რომ, მიმაჩნია, აუცილებელია მთის კანონის შემუშავების ისტორია იცოდეს საზოგადოებამ, რადგან მთა და მასთან დაკავშირებული რეალური და საფუძვლიანი მთის კანონი გახლავთ საქართველოს გადარჩენის ხერხემალი.

არ დააფასა ამდენი შრომა მმართველობაში შემდეგ მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ – „ნაცმოძრაობამ“ და თუ რაიმე შეიძლება არ აპატიო წინა ხელისუფლებას, მათ შორის მთის კანონის უგულებელყოფა უპირველესია.

რაც კი მნიშვნელოვანი იყო მაშინდელ კანონში – ნაციონალებმა გამოშიგნეს, გამოაცარიელეს და მთის საკითხებზე გააქტიურებული სამუშაოების საფუძველზე მთაში მოსახლეობა, მომავლის იმედით, ერთგვარად, შეკავდა.

– კონკრეტულად, რის იმედით, ბატონო კობა, რა არის პირველადი და აუცილებელი – გზა? წყალი?

– წარმოიდგინეთ, რომ არც ერთი და არც – მეორე. მთაში დარჩენისთვის გადამწყვეტი და უმთავრესია სკოლის არსებობა. ყველა მშობელი ფიქრობს, რომ შვილი განათლებული ჰყავდეს.

1998 წლის კანონმა ეს საკითხი იმით დაარეგულირა, რომ მთიან ადგილებში კლასკომპლექტები ჩამოყალიბდა.

მაშინ მოვახერხეთ, რომ სასაზღვრო საჯარისო ფორმირებები შევქმენით მთაში და დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დაიწყო ფიქრი რეგიონებში სასაზღვრო ჯარების მოწყობის პრინციპებზე.

მე ისტორიკოსი გახლავართ და შემიძლია გითხრათ, არც ერთ ქართველ მეფეს არ მოუწყვეტია მთიელი მთისგან, პირიქით, მთას ამაგრებდნენ. მთაში მაცხოვრებლებს ათავისუფლებდნენ გადასახადებისგან, რადგან მთაში გლეხი იარაღასხმული ხნავდა, თესავდა და თან საზღვარს იცავდა.

მინდა გითხრათ, რომ მთის კანონი, რომელიც დღეს მიიღეს, გაცილებით უკეთესია იმ კანონთან შედარებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ, დაახლოებით, 20 წლის წინათ.

ეს კანონი დღეს რეალურად ამკვიდრებს ყოფით, იურიდიულ, საცოფაცხოვრებო და სხვა საკითხებს, რომლებიც მთის მაცხოვრებლებისთვის არის აუცილებელი.

წეღან გზა ახსენეთ.

დიახ, გზა აუცილებელი კომპონენტია მთაში ურთიერთობისთვის, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გზა უნდა მიებას განათლებას, ჯანდაცვას და თუ ოჯახებს, რომლებიც საზღვართან დგანან, ხელფასსაც გადაუხდის სახელმწიფო, ხოლო მთის მაცხოვრებლის მიერ შექმნილ პროდუქციას სახელმწიფო თვითონ შეისყიდის, ადამიანს მთაში დარჩენა და იქ ცხოვრება არ გაუჭირდება.

მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეს მთაში კვერცხს, ხორცს, ბოსტნეულს ქალაქიდან ნუ ჩავუტანთ, მანვე შექმნას ადგილზე და იქვე გაყიდოს.

როცა დღევანდელი ხელისუფლება ამაზე ფიქრობს, ეს ძალიან კარგია, თუმცა ჩვენი ადრინდელი კანონიც ითვალისწინებდა ამას.

გაინტერესებთ, ვინ იყო მაშინდელ პარლამენტში ამ პუნქტის წინააღმდეგი? – ნაციონალური ჯგუფი, ე. წ. „რეფორმატორები“, ადამიანები, რომლებიც დღეს ეროვნულ მუხტს და მსგავს რამეებს მხოლოდ სიტყვის მასალად იყენებენ. სინამდვილეში ესენი არიან ანტიქართული მოძრაობის დამფუძნებლები.

იმის მაგივრად, რომ მთა გაეძლიერებინათ, ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებში გვერდით ამოსდგომოდენ ხალხს, დადიან საზღვარგარეთ და აბეზღებენ ყოფილ და ახლანდელ ხელისუფლებას, მათ შექმნეს მაბეზღრების კლანური ჯგუფი.

– „ნაცმოძრაობამ“ ერთმნიშვნელოვნად უარყო სოფე-

ლი, მთა, თავისთავად. რა მიზანს ისახავდნენ, თქვენი აზრით, ხალხისგან დაცლილ ამ ტერიტორიებს რას უპირებდნენ?

– ნაციონალებმა, ვანო მერაბიშვილის ხელდასმით, მიიღეს დავალება, მთელი საქართველოს პერიმეტრის 3 კმ-იანი ზოლის განკარგვის გარეშე დატოვების შესახებ.

ამ პერიმეტრზე ჩვენი მეზობელი და მეგობარი სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოკავკასიელები ჩვეულებრივად დასახლდებოდნენ ჩვენი იურისდიქციის გარეშე?!

კიდევაც გაჩნდა ასეთი პრეცედენტი – რამდენიმე ჩრდილო კავკასიელმა ოჯახიც ჩამოიყვანა იქ გაშალეს მეურნეობა.

ეს იყო ფარული გარიგებისთვის, ფარული ყიდვა-გაყიდვისთვის გამზადებული საქმე.

ერთი რამე მინდა ვთქვა – უფალმა და განგებამ გამოგვიგზავნა გონიერი კაცი, რომელმაც მოგვაცილა ჭირი „ნაცმოძრაობის“ სახით და დღეს, ნახეთ, როგორი დამოკიდებულება არის ხალხის ნაწილში...

არადა, სწორედ „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას ბიძინა ივანიშვილის დახმარებით სანერგე მეურნეობები შეიქმნა, დაფუძნდა საცდელი, სასათბურე მეურნეობები...

დაცლილი მთა, დაცლილი სოფლები, 3 კმ-იანი ზოლი საზღვართან, ეს ნიშნავდა საქართველოს გაყიდვა-გახსვისების წინაპირობას.

მათ, ფაქტობრივად, შექმნეს საქართველოს სოფლის დაცლის წინაპირობა კანონის შესაბამისად, ომი გააჩაღეს რუსეთთან და 150 სოფელი, ქსნის ხეობის, რაჭის მიმდებარე ტერიტორიები ჩააბარეს, ქალაქის გულში და შემოგარენში ამორფული წარმონაქმნები მივიღეთ დევნილთა დასახლებების სახით.

არავის არ ვეპირფერები, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ – რომ არ ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი, არ შეიქმნებოდა ეს კანონი. მან გააჩინა მთის კანონის ხელახლა შემუშავების პრეცედენტი.

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი, არა მხოლოდ ღირსეული ქართველი კაცია, ის არის ადამიანი, ვინც მცხეთა-მთიანეთის მხარეს, რაჭას, სვანეთს, სხვა მთის რაიონებს დაეხმარა და მისცა აღორძინების შესაძლებლობა თავისი დეპუტატობის პერიოდში.

რუსეთთან და ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობისას თუკი რამ მნიშვნელოვანი გაკეთდა ბოლო წლებში, ეს არის როშკა-არხოტის ფართოდ მოშანდაკებული 18 კმ-იანი გზა, რომელიც პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს აკავშირებს ერთმანეთთან.

ჩვენ ხომ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე ჯვარ-ხატებით დამშვენებული ეკლესია-მონასტრები გვაქვს, რომლებიც საქართველოს იურისდიქციაში არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი ქართული წარმომავლობის ისტორიული ძეგლები პლაცდარმი უნდა გახდეს ამ ტერიტორიებზე ქართულის ხელახლა აღორძინების თვალსაზრისით.

ჩვენს თვალწინ დაიკარგა სოფელი ფიჭვები, შატილის მიმდებარედ.

მაგრამ თუკი ამღას, ჯიმღასა და ახიელს კვლავ გვსურს დავუახლოვდეთ, სწორედ როშკა-არხოტის გზამ უნდა მოახერხოს ეს.

ირაკლი ტრიპოლსკი და მისი თანამებრძოლები მთის აღორძინების პერსპექტივის გაჩენის გამო დღე და ღამ არ გაჰყვირიან, ჩვენ ხომ მაინც ვიცით, რომ ეს მათი დამსახურებაა.

საქართველოს მოსახლეობამ შეიძლება არ იცის, რომ ბოლო ოთხის წლის განმავლობაში გუდაურში 28 სასტუმრო აშენდა.

სამწუხაროა, რომ ეს ხელისუფლება თავის გაკეთებულ საქმეებს პოპულარიზაციას არ უწევს და არც არავინ ლაპარაკობს მათ გაკეთებულ საქმეებზე.

გამოვიდნენ და თქვან, რა გააკეთეს. მე რაც ვიცი და ვხედავ, ვამბობ. კიდევ რამდენი რამეა გაკეთებული, რაც არ ვიცით.

მოსახლეობა უსმენს ოპოზიციას, რომელიც მთელი დღე ტელესტუდიებში ზის და გაიძახის, რომ არაფერი არ კეთდება, ქვეყანა ინგრევა და რადგან ხალხს ინფორმაცია არ აქვს, ჰგონიათ, რომ მართლა კატასტროფაში ვართ.

ბიძინა ივანიშვილმა ხე ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე დარგო.

მითხარით, რა დაშავდა ამით?!.

კაციშვილი არ ლაპარაკობს, რას აკეთებს თბილისისთვის, საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილი.

– თქვენი აზრით, რატომ არ ლაპარაკობენ, რა შეიძლება იყოს მიზეზი?

– შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვინც უნდა ილაპარაკოს, ისინი შეგნებულად სდუმან.

შეიცვალნენ უმაღლესი თანამდებობის პირები, მაგრამ შუა და დაბალი რგოლები იგივენი დარჩნენ. ეს უმაღლესი პირები, ზოგიერთნი, შიშისაგან გათანგულები არიან – ოღონდ თანამდებობები შეინარჩუნონ და პირში წყალს იგუბებენ, „ნაცმოძრაობის“ ნაძირლებისგან ბიძინა ივანიშვილის ლანძღვასაც კი მდუმარედ ისმენენ.

გაოცებული ვარ – თრუსოს ხეობა რომ წლების წინ მოსახლეობისგან დაიცალა და ახლა, ამ ხელისუფლების პირობებში, ერთი ოჯახი, როგორც პირველი მერცხალი, ისე რომ დაბრუნდა იქ, ამის აღნიშვნა და ამაზე ლაპარაკი რატომ ეზარებათ მათ, ვინც უნდა ილაპარაკოს ამაზე?

იმაზეც ოლიმპიური მდუმარეა, დუშეთის მიმდებარე სიფლების — გუდამაყრის, ფშავის, არაგვის და თიანეთის ხეობების გაზიფიცირება რომ ხდება. ამ ხეობას გაზი კომუნისტების პერიოდშიც კი არ ჰქონია.

ყაზბეგში აშენდა უძლიერესი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საქართველოს, დამატებით, 80 მგვტ ელექტროენერგიას შესძენს.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დაიწყო მთაში სოფლის კოოპერატივების შექმნა.

იცოდით, რომ ფშავში ოთხი დიდი კოოპერაციული სტრუქტურა შეიქმნა?! მაღაროსკარში, ხადის ხეობასა და გუდამაყარში ახლა მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით მთელი ხეობები დაიქსელა.

პირწავარდნილი აფერისტები – ნაციონალები ოთხი კუთხით შემოუვლიდნენ და ოთხმხრივად ხსნიდნენ შენობებს და ის, რომ „ქართული ოცნება“ აკეთებს და ხალხმა არ იცის, რას ნიშნავს, არ მესმის.

მთელი ცხოვრება ჩინოვნიკი ვიყავი, მაგრამ ვერ შევძლებდი ერთ ადგილას ორი დიდი სახლი ამეშენებინა. არადა, ასეთ რამეებს და კიდევ მეტსაც აკეთებენ ზოგიერთი პოლიტიკოსები. ისინი სულმოუთქმელი სიხარულით ლანძღავენ ბიძინა ივანიშვილს, ხელისუფლებას.

მაბეზღრებში ჩვენი კუთხის შვილს შალვა ნათელაშვილსაც ვგულისხმობ მან განაცხადა და შემდეგ მისი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამაც დაადასტურა, რომ კონგრესმენ სტივ რასელს ინფორმაციები საქართველოს შესახებ შალვა ნათელაშვილმა მიაწოდა.

დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ლეიბორისტული პარტია“ მისი წინამძღოლის შალვა ნათელაშვილის სახით ჩამოყალიბდა დამბეზღებელთა კლანად, რომლებსაც სურთ საქართველოს ნგრევა.

კარგად მახსოვს თბილისის თვითმმართველი ერთეულის არჩევნები 1998-99 წლებში, როცა რამდენიმე პოლიტიკური ძალა მოვიდა მმართველობაში. მათ შორის იყვნენ ლეიბორისტებიც და ნაციონალებიც.

10 გვ.

კობა ბუჩუკური:

თუ გაკეთებული საქმეების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებაა!

9 გვ.

ეს იყო პირველი უსინდისო პოლიტიკური გარიგება, როცა უმცირესობაში მყოფმა სააკაშვილმა მხარდაჭერა მიიღო გამარჯვებული ლეიბორისტებისგან.

ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ძალიან დიდი სიხარულით დაუთმო მაშინ შალიკო ნათელაშვილმა ადგილები სააკაშვილს?!

— აბა, რა მოხდა?

— ვფიქრობ, ამ საქმეში გარკვეული რაოდენობის თანხა ჩაერია. ასე მიმაჩნია დღემდე და ასე მიაჩნდა მაშინაც საზოგადოებას.

მერე იყო და 2007-ში ნათელაშვილი გამოთქვამდა უდიდეს სურვილს — ოღონდ ივანიშვილი დამთანხმდეს, რომ იყოს პრემიერ-მინისტრი და მე დავუდგები გვერდით საქართველოს გადასარჩენადო.

მე დღეს მესმის, რომ იგივე ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის მტარვალს, მაფიოზს ეძახის. როდის იყო გულწრფელი ნათელაშვილი, მაშინ, როცა ივანიშვილს პრემიერობას სთავაზობდა თუ ახლა, სულმოუთქმელად რომ ლანძღავს ივანიშვილს და სამარცხვინო მაბეზღრობით არის დაკავებული?!

სხვადასხვა გარიგებებით ნაშოვნი ფულით ნათელაშვილი და სააკაშვილი, იგივე ამერიკელებს და ევროპელებს საქართველოს დასასჯელად აქეზებს და უდიდეს ქველმოქმედს ცილს სწამებს...

დღეს „ნაცმოძრაობის„ მოქმედების გამპრავებელი და მათი სიბინძურეებისგან განმბანელის როლში მოგვევლინა შალიკო ნათელაშვილი.

თვითონ განსაჯეთ, ქართველ ლეიბორისტთა, იგივე მშრომელთა, ღარიბთა პარტიის ლიდერი ორ კვირაში ერთხელ ამერიკაშია და მანჰეტენზე, ალბათ, საკუთარ ბინაში კოტრიალობს.

— ბატონი ნათელაშვილი გეტყვით, რომ ცილს სწამებთ.

— არა მგონია, გაუკვირდეს. მასაც ისევე აბეზღებენ, როგორც თვითონ აბეზღებს ჩვენს მთავრობას და საქართველოს. ამაზე ხომ მისგან წასული სერიოზული პოლიტიკოსებიც ლაპარაკობენ?

იცით, რაშია საქმე?

კაცს ცოლი რომ გაგექცევა, უნდა დაფიქრდე, რატომ გაგექცა. პარტიიდან რომ იმდენი ხალხი წავა, ახალ პარტიას რომ შექმნიან, იმის მერე, ნამუსი რომ გქონდეს, სახლში უნდა წახვიდე, მაგრამ შალიკო ნათელაშვილს არ აქვს იმდენი აზროვნება, რომ შერცხვეს და გაჩერდეს. ის უკვე პოლიტიკურად გაკოტრებულია და აწი ველარაფერი უშველის.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შალიკო ნათელაშვილს რასელთან წასვლა თავისით არ გადაუწყვეტია, გარკვეული საფასურის გამო გააკეთა ეს, თორემ არ მესმის, რატომ უნდა გაგიჩნდეს ადამიანს სურვილი, წახვიდე ამერიკაში სპეციალურად ვინმეს დასაბეზღებლად?!

შალვა ნათელაშვილი დღეს ხელისბიჭად იქცა, რომელიც დადის და საქართველოს მთელ მსოფლიოში არცხვენს.

არ შეიძლება „შალიკოიზმი“ დამკვიდრდეს საქართველოში. ამიტომაც, თუ საჭირო იქნება, ნებისმიერი საინფორმაციო საშუალებით ვიტყვი ყველაფერს, რაც არის და ვინც არის სინამდვილეში ნათელაშვილი.

— ყველაფერი თქვით უკვე და კიდევ დაგრჩათ რაიმე უთქმელი?

— დიახ, როგორც იტყვიან, ხურჯინში კიდევ ბევრი რამ მაქვს და უკან არ დავიხევ, ყველაფერს მოვფენ ნათელს.

— ბატონო კობა, თქვენზეც იტყვიან, რომ შევარდნაძის ჩინოვნიკი იყავით.

— შევარდნაძემ ჩამოაყალიბა სახელმწიფო, რომელშიც შეუძლებელი იყო არ ყოფილიყვნენ კორუმპირებული ადამიანები, მსუბუქი ყოფაქცევის ხალხი, ნაძირლები და უნიჭოები, კარგებიც და ცუდებიც. ეს არის სახელმწიფოს შინაგანი მოტივაცია.

მომწონდა თუ არა შევარდნაძე, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელოვანია, რა გაკეთდა მისი მმართველობისას.

შევანდრაძემ შექმნა სახელმწიფოებრივი პოსტულატების დამკვიდრების საფუძველი.

მის სახელს უკავშირდება მსოფლიო მნიშვნელობის პროექტები — გაზსადენი, აბრეშუმის გზის პროექტი და ა. შ.

ხმამაღლა ვიტყვი — მე გახლდით არა შევარდნაძის გუბერნატორი, არა შევარდნაძის სახელმწიფო რწმუნებული, არამედ მე ვიყავი საქართველოს სახელმწიფოს რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და კონსტიტუციურად ვიყავი ანგარიშვალდებული არა მარტო პრეზიდენტის, არამედ ქვეყნის წინაშე.

— იგივეს ლაპარაკობენ სააკაშვილზეც მისი ყოფილი ჩინოვნიკები და მომხრეები.

— კი, ბატონო, ილაპარაკონ. თუკი რაიმე კარგი აქვს გაკეთებული სააკაშვილს, არავინ უკარგავს, მაგრამ, მოდით, ასე ვთქვათ, ამის საპირისპიროდ რამდენი უბედურება დაატრიალა?! მან დაამკვიდრა ქვეყანაში სახელმწიფო ტერორი, აყვავდა ელიტური კორუფცია, 28 000 პატიმრის ციხეში უმოწყალო წამება. რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

სხვათა შორის, მე ვიყავი ერთადერთი გუბერნატორი, რომელიც შევარდნაძეს ოპოზიციაში ჩაუდგა, ამიტომ ასე ცალსახად არ შეიძლება ლაპარაკი. მე დღემდე ჩვენი ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი ვარ და არასდროს დავიშურებ ცოდნას და ენერგიას მისი გაძლიერებისთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი და გიორგი კვირიკაშვილი დღეს დიდ ჭაპანს ეწევიან. ასეთი ადამიანები გადაარჩენენ საქართველოს!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ნაციონალი“ ირაკლი აბესაძე საკრებულოში კი არა ციხეში უნდა იჯდეს!

თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის იოსებ ჯუღელის სკანდალური ინტერვიუ

იოსებ ჯუღელი

ნაციონალების „ჩაფარცხულ ცოდვებს“ იხსენებს თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციასთან ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების ყოფილი უფროსი იოსებ ჯუღელი:

– ბოტანიკური ბაღის საზღვრების კორექციასთან დაკავშირებით, მთელი კვირაა ნაციონალური მოძრაობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი აქციები იმართება. პარადოქსია, რომ ორი ხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას და ბაღის ტერიტორიების გაცვლას აპროტესტებს პოლიტიკური ძალა, რომლის ხელისუფლებაში ყოფნის დროს დედაქალაქის მწვანე საფარი სანახევროდ განადგურდა და კანონით დაცული ტერიტორიები გასხვისდა. ამ ადამიანებს შევახსენებ, რომ ბიძინა ივანიშვილს ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიიდან 4 ჰექტარი ბიზნეს-ცენტრის ასაშენებლად გიგი უგულავას მერობის და ირაკლი აბესაძის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსობის დროს გადასცეს. თუ არ შეიძლებოდა და უკანონო იყო, მაშინ რატომ გადასცეს? ბოტანიკურ ბაღს რომ თავი დავანებოთ, მთელი საბურთალოს ფერდობი, სკოლების და ბაგა-ბაღების ტერიტორიები ნაციონალებმა არ გაასხვისეს? რატომ არავინ ინტერესდება, როგორ აღმოჩნდა 128-ე საჯარო სკოლის

ეზოში უზარმაზარი კორპუსი? ვინ და როგორ წაართვა ბავშვებს სკოლის ეზო და როგორ დაიწყო ამ ეზოში კორპუსის მშენებლობა? რატომ უკავშირებენ მშენებლობას დათო კირკიტაძეს და რა უფლება აქვს კანონიერებაზე ილაპარაკოს ირაკლი აბესაძემ, რომელმაც უკანონობის თანამონაწილე იყო? გენერალურ ინსპექციაში მუშაობის პერიოდში შემატყობინეს, რომ სკოლის ეზოში მშენებლობა დაიწყო. მაშინ გენერალური ინსპექციის უფროსი დავით საყვარელიძე იყო. მას ვუთხარი, რომ მთავრობის დადგენილება სკოლის ტერიტორიის გაყიდვაზე უკანონო იყო. ამიტომ უნდა გაუქმებულიყო და მიწა სკოლას დაბრუნებოდა. საყვარელიძემ დამიწერა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი მოამზადეთო. ყველაფერი მოვამზადე, დავწერე მოხსენებითი ბარათი მერის სახელზე და ეს მოხსენებითი ბარათი უგულავამ, საყვარელიძემ და აბესაძემ სად გააქრეს, დღემდე არ ვიცი. ჩემი ბრძოლის მიუხედავად, ბავშვებს სკოლის ეზო მაინც წაართვეს და კორპუსი ააშენეს. ამას უკანონობისა და კორუფციის გარდა ვერაფერს ვუწოდებ.

– **როგორც მახსოვს, სწორედ 128-ე სკოლის ამბავს „გადაგაყოლეს“..**

– სკოლა ბოლო წვეთი აღმოჩნდა, თორემ ნაციონალებთან დაპირისპირება მათი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო. მახსოვს, შპს „თბილისის შუქნიშანი“ შევამოწმე და ერთ პატარა ოპერაციაში ბიუჯეტისთვის დამალული 80 000 ლარი აღმოვუჩინე. ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული „შუქნიშანი“ მთლიანად ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებით გახლდათ დაკომპლექტებული და ბუნებრივია, ჩემი აქტიურობა არ ესიამოვნებოდათ. მე ჩემს სამსახურეობრივ მოვალეობას ვასრულებდი და არ ვინტერესდებოდი, რომელი ორგანიზაცია რომელ პოლიტიკურ ძალასთან იყო ასოცირებული. ჩემი თავიდან მოშორების მიზეზიც ეს გახდა.. სხვათა შორის, ნაციონალებთან ჩემი ერთ-ერთი დაპირისპირება ქალაქში „ბოგდანის“ ტიპის ავტობუსების შემოყვანას მოჰყვა. ირაკლი აბესაძე, რომელიც ტელეეკრანებიდან ხშირად გვესაუბრება რომელიღაც სტრუქტურის მიერ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი იყო, როცა ქალაქში უკრაინული „ბოგდანები“ შემოიყვანეს. როგორც მახსოვს, საუბარი იყო 250 ავტობუსის შესყიდვაზე. თითოეულის ღირებულება დაახლოებით 32 000 ლარს შეადგენდა. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ ხელში ჩაგვივარდა ავტობუსების მწარმოებელ ქარხანასთან დადებული ხელშეკრულების პარალელურად გაფორმებული მეორე ხელშეკრულება, რომელიც ქარხანასთან კი არა, შუამავალ კომპანიასთან იყო დადებული. ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ამის გაკეთება „ფულის გასათეთრებლად“ დაჭირდათ.

– **ვის და როგორ უნდა „გაეთეთრებინა“ ფული შუამავალი რგოლის საშუალებით?**

– ავტობუსების შესაძენად ბიუჯეტიდან მათი რეალური ღირებულების ორმაგი თანხა გამოიყო. ეს თანხა რომ ქარხნის ანგარიშზე გადაერიცხათ, ვეღარ მოხსნიდნენ, ამიტომ შუალედურ რგოლს გადაურიცხეს. ბუნებრივია, რომ შუალედურმა რგოლმა ქარხანას ავტობუსების თვითღირებულება გადაურუცხა, დანარჩენი თანხა კი, რომელიც დაახლოებით 50 მილიონ ლარს შეადგენდა, ამ მაქინაციის ავტორებს დარჩათ. როცა ვიკითხე, ვინ მოგცათ ტენდერის გარეშე შუალედური რგოლის შერჩევის უფლება თქო, ჩემზე საშინელი ზეწოლა დაიწყო, რასაც მალე ჩემი სამსახურიდან გაშვება მოჰყვა. ატესტაციაზე რომ ვერ ჩამჭრეს, გასაუბრებით გამომიშვეს, როგორც მათთვის მიუღებელი თანამშრომელი. ბუნებრივია, მერიაში აღარავინ გამაჩერებდა, რადგან ჩემი განყოფილების მიერ გამოვლენილი იქნა ნაციონალური მოძრაობის წევრების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის ფაქტები.

– **როგორც მახსოვს, მხოლოდ სამსახურიდან გამოშვებას არ დასჯერდნენ და თქვენი დევნა გააგრძელეს.**

– ნაციონალურ მოძრაობას საცეცები შორს ჰქონდა გაშლილი. ასე, რომ მათთან დაპირისპირებული ადამიანი ვერსად გაიქცეოდა და ვერც ერთ ინსტანციაში სამართალს ვერ ნახავდა. ერთი სტრუქტურის მიერ დაწყებულ საქმეს მეორე აგრძელებდა და საბოლოოდ მათთვის არასასურველ ადამიანს ბოლომდე ანადგურებდნენ. უმუშევრად დარჩენილს ოჯახი რომ მერჩინა, მცირე ბიზნესს მოვკიდე ხელი, მაგრამ აქაც მომაგნეს. კირკიტაძემ ფინანსური პოლიცია მომიგზავნა და ყალბი დასკვნების საფუძველზე, უზარმაზარი ჯარიმები დამაკისრა. იძულებული გავხდი, რომ ბანკებიდან კრედიტები ამეღო და უკანონოდ დარიცხული ჯარიმები მეხადა. არც ირაკლი აბესაძემ დამაკლო.. 1992 წელს საჩხერეში მომხდარი მიწისძვრის გამო, თბილისში მშენებლობები შეჩერებული იყო– ტექნიკა და ტრანსპორტი მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონში იყო გადასროლილი. იმ დროისთვის შეძლებული ბიზნესმენი ვიყავი და საჩხერეს საჩუქრად 5 ვაგონი ცემენტი გავუგზავნე. ამის შემდეგ, არქიტექტურის სამსახურმა 114 კვ. მეტრი ფართის შენობის აშენების უფლება მომცა. ახალი კანონის მიხედვით, ვალდებული ვიყავი, რომ მიწა, რომელზეც აღნიშნული შენობა იდგა, შემესყიდა. ამ დროს, საკრებულოსთან არსებული მიწის საკუთრების ლეგალიზაციის კომისიას ირაკლი აბესაძე ხელმძღვანელობდა.როცა ჩემი საქმე მიწის ლეგალიზაციის კომისიაზე გავიდა, აბესაძემ დაასკვნა, რომ აღნიშნული ფართი მე არ ამიშენებია და მიწის დაკანონებაზე უარი მითხრა. კომისიის თავმჯდომარემ თავისი უკანონო გადაწყვეტილებებით უზარმაზარი ზარალი მომაყენა, მაგრამ ყველაფერი იმდენად მოხერხებულად ჰქონდათ გაკეთებული, რომ სიმართლის დადგენა ძალიან გაძნელდა. საკრებულოს 124 000 ლარის ზარალს ვედავებოდი, რომელიც აბესაძის უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მომადგა, საკრებულო კი მპასუხობდა ჩვენთან რა გინდა, გადაწყვეტილება მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა მიიღოო. კი მაგრამ ეს ხომ საკრებულოსთან არსებული კომისია იყო თქო, ვეკითხები და მპასუხობენ, ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხებოდა, ყველაფერს უგულავა და აბესაძე წყვეტდნენო. ამ დროს, არაფრით არ შეიძლებოდა, რომ მერიის თანამშრომელს და მით უფრო იურიდიული სამსახურის უფროსს საკრებულოს კომისიისთვის ეხელმძღვანელა. კაცმა არ იცის, რამდენი ტერიტორია გასხვისდა ამ კომისიის უკანონო გადაწყვეტილების შედეგად, მაგრამ დღეს რომ ვინმეს გასაჩივრება მოუნდეს, ვერც მერიას უჩივლებს და ვერც საკრებულოს, რადგან ორივე უწყება ერთმანეთისკენ იშვერს ხელს. რაც შეეხება ირაკლი აბესაძეს, ის სერიოზული კანონდამრღვევია, რომლითაც პროკურატურა დიდი ხნის წინ უნდა დაინტერესებულიყო.

– **რომელიმე თქვენი ოპონენტი აუცილებლად იტყვის, რომ პირადი წყენა გალაპარაკებთ და ბრალდების დამადასტურებელი ფაქტები არა გაქვთ.**

– ჩემი ყოველი სიტყვის დამადასტურებელი დოკუმენტი მაქვს. **მე არა ერთხელ შევთავაზე ირაკლი აბესაძეს ჩემთან დებატებში დაჯდომა და არც ერთხელ არ გამომხმაურებია. ეს არის „ჟუჩიდან“ მერიაში მიყვანილი „კმარას“ აქტივისტი, რომელსაც მფარველობდა და დღესაც მფარველობს გიგი უგულავა.** ის მერიაში 2004-05 წლებში მოიყვანეს და ვითომ ატესტაციის შედეგად, გენერალურ ინსპექციაში, ანალიტიკური განყოფილების უფროსად დასვეს. უგულავას მფარველობის წყალობით, კაცმა, რომელმაც აქტის წაკითხვა არ იცოდა, სამ თვეში მერის მოადგილეობამდე მიაღწია. სხვათა შორის, სანამ გენერალურ ინსპექციაში მუშაობას დაიწყებდა, დამავალეს, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში მიმდინარე შემოწმებაზე წამეყვანა და რაღაცეები მესწავლებინა. ახლა რომ გამოდის აბესაძე და პოლიტიკური ნიშნით ხალხის სამსახურებიდან გაშვებაზე საუბრობს, ის რატომ ავიწყდება, რომ ნაციონალებმა პირდაპირ განცხადებები დააწერინეს ხალხს და უკლებლივ ყველა გაუშვეს? მე დაჭერების და ანგარიშსწორების მომხრე არ ვარ, მაგრამ ასეთი ხალხი სულ მცირე, პოლიტიკაში აღარ უნდა იყოს. ძალიან მიკვირს, რომ უგულავას მხოლოდ 5 მილიონს ედავებიან, როცა ბიუჯეტიდან ისეთი თანხებია მოხსნილი, კაცს სათვალავი აერევა. „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი ფაქტები

13 ბ3.

რამ გააბედნიერა თავდაცვის მინისტრი თინათინი, როცა არავინ იცის სამხედრო „პოდიუმზე“ აშშ-ს ტანკების „პაკაზის“ შემდეგ რას მოიმოქმედებს გაბრაზებული რუსეთი?

გვესაუბრება პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე:**

— ბატონო სოსო, დღეს საქართველო-ამერიკის ერთობლივი წვრთნა დაიწყო. ამერიკული ტანკების ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლამ რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. რა საფრთხეებია მოსალოდნელი?

— პირადად მე, დასავლეთთან, ნატოსთან, ამერიკასთან რეალური სამხედრო კავშირის მომხრე ვარ და არა ასეთი, სააღლუმო მოჩვენებითი ბუტაფორიების. მოდით, ამ წვრთნების მარგი ქმედების კოეფიციენტს სიღრმეში ჩავწვდეთ. ეს მხოლოდ ვირტუალური კავშირის დემონსტრაციაა, ვინაიდან ეს ტანკები როგორც ჩამოვიდნენ, უკანაც ისევე წავლენ. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ამ ქმედების შედეგად რუსეთისგან რეალური აგრესია რომ მივიღოთ, გეკითხებით, ამერიკული ტანკები აქ, საომრად ჩამოვლენ? — რა თქმა უნდა, არა. აბა, მაშინ რა არის ეს, მოდების ჩვენებაა? დიახ, ეს სამხედრო მოდების ჩვენებაა და მეტი არაფერი. თითქმის ნახევარი საუკუნეა თეორიულად ვსწავლობ საერთაშორისო ურთიერთობებს, რეალურ, მოჩვენებით, ვირტუალურ ხელშეკრულებებს, უბრალოდ, ვინმეს დასამშვიდებლად გაკეთებულ განცხადებებს და ა.შ. საქართველოს რეალური დაცვის მექანიზმი, ასეთი რამ, არ არსებობს. დღეს, ჩვენ, მხოლოდ არაქმედითი, არამოქმედებითი, მოჩვენებითი, ზერელე დემონსტრაციები გვაქვს. ვისმენთ განცხადებებს, რომ საქართველო ამერიკის, ევროპის, ნატოს მეგობარია. ასევე, გვესმის, რომ საქართველო ნატოსკენ წარმატებით მიიწევს. სინამდვილეში, ასეთი პოლიტიკით, რეალურად, ნატოში ვერასოდეს შევაღწევთ. 90-იანი წლების დასაწისში, ხავიერ სოლანას გენერალური მდივნობის დროს, დასავლეთმა პრიმაკოვის განცხადებები ფეხებზე დაიკიდა. მოსკოვში სოლანასა და პრიმაკოვს შორის მოლაპარაკება მთელი ღამე მიდიოდა. დილით ორივენი უძილონი გამოვიდნენ, სოლანამ თქვა: პრიმაკოვი პატრიოტია, მაგრამ თავისი ქვეყნის ამოცანები არასწორად ესმისო. ერთ კვირაში ნატოს დიდი გაფართოება მოხდა. მაშინ დასავლეთს პოლიტიკური ნება ჰქონდა, რაც დღეს აღარ აქვს. დღეს რა ხდება? ლონდონის არაბულ-ისლამური მოსახლეობის ნახევარზე მეტი რადიკალური ისლამისტური ფუნდამენტალიზმის იდეებითაა გამწვავებული და ლონდონის მერად მუსულმან მერს ირჩევენ. ან თუნდაც ერთი კვირის წინ მომხდარი ფაქტი გავიხსენოთ: ზღვაში რვა ყაჩაღმა ფრანგი პენსიონერი ცოლ-ქმარი დაატყვევა, ქმარი მოკლეს, ცოლი გვინეის ყურეში ტყვედ ჰყავდათ, საფრანგეთის სპეც.რაზმმა გაათავისუფლა, რვავე ყაჩაღი დაიჭირა და სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც წლების განმავლობაში ჭიმავს საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან შესულ რეალურ საჩივრებს, ეს საქმე დაჩქარებული წესით, ერთ კვირაში განიხილა. თურმე, ფრანგმა სამართალდამცავებმა ყაჩაღებს რამდენიმე საათით გვიან წაუყენეს ბრალდება, ამიტომ ისინი გაათავისუფლა და თანაც, საფრანგეთის მთავრობას დააკისრა თითოეული ყაჩაყისთვის 8 ათასი ევრო გადაეხადა მორალური ზიანის მიყენებისთვის. აი, ასეთ რეალობაში ვერ ვხედავ იმის პოლიტიკურ ნებას, რომ იგივე, ბრიუსელმა, ვაშინგტონმა რეალურად დაიცვას ისეთი პატარა ქვეყნები როგორიც საქართველოა და რომელსაც გულწრფელად უნდა ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი გახდეს. მაგრამ ეს ვერ ხერხდება, რადგან არსებობს ასეთი გადაულახავი ბარიერი. დასავლეთს რეალურად ძალა აქვს, მაგრამ მისი გამოყენების პოლიტიკური ნება — არა. გავავლოთ ისტორიული პარალელი. დღევანდელი სიტუაცია 1936 წლის 7 მარტს მახსენებს, როდესაც კვირა დღეს ჰიტლერმა სასტიკად, ცინიკურად დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება და რეინის დემილიტარიზებულ ზონაში ჯარი შეიყვანა. თანაც, როგორ? — მაშინ ჰიტლერს 20 ათასი გაუწვრთნელი ჯარისკაცი ჰყავდა. თავის ჯარს ბრძანება მისცა — თუ ფრანგები წინააღმდეგობას გაგიწევენ, ეგრევე უკან გამოიქეცითო. მაგრამ საფრანგეთმა რომელსაც მაშინ 500 ათასიანი უძლიერესი არმია ჰყავდა, წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა. ჰიტლერმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. იგი მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე — ევროპის — საფრანგეთისა და ინგლისის დაჩმორებულ დემოკრატიულ ხელისუფლებებთან. ამის რეალური შედეგი იყო მიუნჰენის გარიგება და მეორე მსოფლიო ომი. დღეს, ევროპა 30-იანი წლების პოლიტიკური პროსტაციის პერიოდს უბრუნდება. დავბრუნდეთ დღევანდელ რეალობაში. უკვე წინასწარ, ოფიციალურად გაცხადდა, რომ ივლისის ვარშავის სამიტზე ნატოს გაფართოება არ იგეგმება. ჩვენი თავდაცვის მინისტრი კი ბედნიერია. ცოლ-ქმარი სულ რაღაც ორი წლის წინ ერთად ტიროდნენ — თუ ნატოში არ მიგვიღებთ, საქართველო მსოფლიო რუკიდან წაიშლებაო. დღეს ბედნიერნი არიან იმიტომ, რომ თურმე, სამიტზე საქართველოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებაზე იქნება ლაპარაკიო. ე.ი. რა გამოდის? — ჩვენ ბრძოლაში კი არ დაგეხმარებით, არამედ იმაში, თქვენი არმია ისე გაძლიერდეს, რომ პოტენციური მტერი — რუსეთის არმია დაამარცხოსო. შეიძლება ეს განცხადება ქვეყანამ სერიოზულად აღიქვას? იცით, ახლა ამას რომ ვლაპარაკობ, თან, ალბათ, წნევა მიწევს. განა შეიძლება ქვეყანამ ასეთი განცხადება სერიოზულად აღიქვას?! უმრავლესობის ლიდერები ცინიზმით თვალსა და ხელს შუა გვატყუებენ. ინტერნეტში ფრანგული სერიალი „მარსელი“ გადის, სადაც ჟერარ დე პარდიე თამაშობს. აქ, კარგად ჩანს როგორ იყიდებიან პოლიტიკოსები მერის არჩევნებზე. ჩვენთან იგივე არ ხდება? ესაა სრული პოლიტიკური დეგრადაცია, პოლიტიკური ნების სრული პროსტაცია, როგორც ევროპაში, ასევე, საქართველოშიც. ესაა პრობლემა, თორემ, ჩემზე უკეთ ვინ იცნობს რუსეთს. მე იქ ვსწავლობდი, ვცხოვრობდი, დღესაც სამეცნიერო ინსტიტუტების საბჭოს წევრი ვარ, ესენი ნამყოფიც არ არიან. ვინ იცნობს ჩემზე უკეთ რუსეთის ბუნებას? რუსეთს სისხლში აქვს გამჯდარი იმპერიალისტური, მეზობლებზე ბატონობის პოლიტიკა. მაგრამ ადეკვატური პოლიტიკაა საჭირო. კი ბატონო, ნატომ მიგვიღოს წევრად, როგორებიცაა პოლონეთი, ბალტიისპირეთი. ვინ ოხერი გაიხედავს მერე რუსეთისკენ, ვინ იტყვის რუსეთთან ურთიერთობა უნდა აღვადგინოთო? მაგრამ დღეს, ნატო სინანულს გამოთქვამს მათ მიმართაც ვინც უკვე მიიღო — ცოტა ავჩქარდით, რომ ამხელა ვალდებულებები დაგვეკისრაო. ცდილობენ, როგორმე, ბალტიისპირეთი და პოლონეთი დაიცვან. ესაა დღეს ნატოს მთავარი ამოცანა. ტრამპი რომელიც შეიძლება ხვალ ამერიკის პრეზიდენტი გახდეს, უკვე პირდაპირ საუბრობს ამერიკის ნატოდან გამოსვლაზე. ტრამპის საგარეო პოლიტიკური კურსი ნატოდან გამოსვლა, ევროპელების მიტოვება და რუსეთთან თანამშრომლობის დაწყებაა. ამ დროს, ჩვენ, თითქოს, მარსზე ვცხოვრობთ და არ გვეხება რა პროცესები მიმდინარეობს ევროპაში, აშშ-ში. ამიტომაც, ჩვენი სულელური პოლიტიკა — ყველა კვერცხი ერთი კალათით ვატაროთ, დღემდე გრძელდება. არ გვღებულობს ხომ ნატო, მაინც უნდა შევეტენოთ ისე როგორც აფხაზები და ოსები ძმებად არ გვთვლიან, ჩვენ მაინც აქედან უნდა ვიძახოთ ძმები არიან, ძმები არიანო და ასე გახდებიან ძმები? ესაა პოლიტიკა?

— ბატონო სოსო, ისევ წვრთნებს დავუბრუნდეთ. რა იცვლება ამით ქართული არმიისთვის?

— მანევრების ერთადერთ შედეგად შეიძლება ლავროვის განცხადება ჩაითვალოს. ხელისუფლებამ ამას გინდ მიაქციოს ყურადღება, გინდ არა, ერთადერთი შედეგი ესაა. ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობა როგორიც იყო, ისეთივე დარჩება. იცით, რა მაინტერესებს ყველაზე მეტად? — ჩვენ გვაქვს გენერალური შტაბი ხომ. მსოფლიოში, დაწყებული ძველი ბერძნებიდან, რომაელებიდან დღემდე, გენერალური შტაბების ან ანალოგიური სამსახურების ერთადერთი მთავარი ამოცანა პოტენციურ, ვირტუალურ მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში გეგმების შედგენაა, თუ როგორ უნდა ეომათ. მაინტერესებს, ჩვენს გენერალურ შტაბს ვისთან საომარი გეგმა აქვს? ეს ლამაზ-ლამაზი ფორმები რომ აცვიათ, პრიალა პაგონებით, ამხელა ხელფასები და პრემიები რომ აქვთ, რომელ ქვეყანასთან საომარი გეგმა, ტაქტიკა აქვთ შემუშავებული? პირველი მსოფლიო ომის დროს იყო მოლტკეს გეგმა, რითაც გერმანიამ ომი დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს რაკასოვსკის გეგმა ცალკე იყო, ჟუკოვის ცალკე, ინგლისში ალექსანდერის გეგმა იყო, ასევე, ჩერჩილს ჰქონდა-თავისი გეგმა. ჩვენი გენერალური შტაბი რომელი პოტენციური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადება თეორიულად? არა, ნუ იცინით, არაა ეს სასაცილო. მეც მეცინება, ეს ხომ მწარე სიცილია. ზოგადად, ორი ვარიანტი არსებობს. ამერიკელებს ძლიერი დიპლო-

მატიური სკოლა არასოდეს ჰქონიათ, მხოლოდ კისინჯერი იყო გამონაკლისი. მაგრამ ამერიკელებს ეს არ სჭირდებოდათ იმიტომ, რომ რუსული პრინციპით მოქმედებდნენ – ძალა არის, ჭკუა საჭირო აღარაა. ამერიკას იმხელა სამხედრო, ეკონომიკური რესურსი აქვს, რომ დიდი დიპლომატია არ სჭირდება. მაგრამ ევროპაში ეს მხარე ყოველთვის ძლიერი იყო, იგივე, რიშელიეს დიპლომატია. იგი, ყოველთვის, დიპლომატიით მოქმედებდა. არც დეგოლს უწარმოებია ომი ვინმესთან, პირიქით, ალჟირში მშვიდობა დაამყარა. დეგოლმა დაჩმორებული, გაპარტახებული, მორალურად გათახსირებული ევროპა ჩაიბარა და ყველამ ვიცით რაც დატოვა ათ წელიწადში დიპლომატიით. ჩვენ, დიპლომატია საერთოდ გამოვთიშეთ. ამიტომაცაა ჩვენი მთავრობა ხელთათმანებივით რომ იცვლის საგარეო საქმეთა მინისტრებს და გაუგებრობაა რას წარმოადგენს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო. შეიძლება, მინისტრი, ბუნებით კარგი ადამიანია. ამ საქმის პროფესიონალი ვარ, მაგრამ მისი გვარიც მავიწყდება, არ ვიცი იმიტომ, რომ თვე გადის და არსად არ ჩანს. ეს რაღაცის სიმპტომი არაა?! ხუთი თვე გადის და მინისტრი განცხადებას არ აკეთებს, უბრალოდ, სახით შეიძლება დავინახოთ თუ პრემიერი სადმე წავა და გაჰყვება. ამ დროს, თქვენ კიდევ მანევრების ფასს მეკითხებით. ვიმეორებ, ამის ერთადერთი შედეგი არის ლავროვის განცხადება. ეს როგორც გინდათ ისე მიიღეთ – გინდ მუქარად, გინდ გაფრ-

თხილებად.

– ბატონო სოსო, წელან აღნიშნეთ ეს წვრთნა კი არა სამხედრო მოდების ჩვენებაა. მაგრამ ამ მოდების ჩვენებით ერთი მტკაველი ქვეყანა შეიძლება დაპირისპირების ზონად გადაიქცეს. ეს ხომ პროვოკაციაა?

– დიახ. გამოჩნდა ახალი ამერიკული ტანკი – აბრამსი და უნდა შევხედოთ მას, მაგრამ მის მონაცემებს ჩვენ, არავინ გვეუბნება, უბრალოდ, გარედან შევხედავთ როგორია. ამ ტანკს ამერიკელები დაგვიტოვებენ? – რა თქმა უნდა, არა და ისევ უკან წაიღებენ. ბრძოლის დროს ჩამოვა ამერიკული აბრამსი და ჩვენს დასაცავად იომებს? მაშინ რა ჯანდაბად გვინდა მაგის დანახვა?! გარდა ამისა, რაც არ უნდა გაძლიერდეს ჩვენი არმია, რომელ პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის თავი ექნება?! რადგან ეს სფერო ასეთ კრიზისშია, წინა პლანზე დიპლომატია უნდა წამოვიდეს, რომლის საფუძველია კონტაქტები, კომუნიკაბელურობა, მოლაპარაკებები, დალაპარაკება და არა გაბუტვა. დიპლომატიისათვის გაბუტვა ნონსესია. ცხონებული რიშელიე თავის პოლიტიკურ ანდერძში ამბობს – ნებისმიერ მოლაპარაკებას უშედეგოს, ჩაშლილსაც კი აქვს თავისი დადებითი მომენტი, რადგან უფრო ნათლად გებულობ რა უნდა მოწინააღმდეგეს, ზუსტად ცდილობ მის ტყავში ჩაჯდე და იცი, ამის შემდეგ, სად შეიძლება დაუთმო და სად არა, ხვდები სად გადის წითელი ხაზი. ამათ არანაირი კონტაქტი არ უნდათ. პუტინის ადვოკატად არ გამოვდგები, მაგრამ მან 2-3-ჯერ დაპატიჟა ჩვენი პირველი პირები. არა, ჩვენი პოზიციაა ჯერ დაგვიბრუნოს ტერიტორიები და მერე დაველაპარაკებითო. აღარაა საშველი, საით მივდივართ არ ვიცით.

– ბატონო სოსო, ბოლო დროს ხშირად ისმის განცხადებები, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დიდი არეულობისთვის ემზადება. ამის წინაპირობები აშკარად ჩანს, თუნდაც ის აგრესიული აქციები რომელთაც პირდაპირ – მოდით, დაგვარბიეთ შეიძლება ვუწოდოთ. თქვენ, რა მოლოდინი გაქვს, ამ კუთხით?

– არეულობასაც სხვა საზოგადოება ესაჭიროება და არა დღევანდელი. ასევე, ამისათვის სხვა ლიდერებიც საჭიროა. ვინაიდან ჩვენი საზოგადოება გადამრჩენის მოლოდინშია. ქუჩაში ხშირად მაჩერებენ და მეკითხებიან – ნუთუ არავინ გამოჩნდება ანუ, მესია ვინც გადაგვარჩენსო. არავის აქვს საზოგადოების, საკუთარი თავის იმედი. თავის დროზე გადამრჩენელად შევარდნაძე მოგვევლინა. იმდროინდელ პარლამენტში იყო ერთი დეპუტატი სუმბათაშვილი, რომელმაც ბატონ ედუარდს ტრიბუნიდან მიმართა – თუ მოხვედი მარჩენალად, შეგვინახეო. მერე ეს როლი სააკაშვილმა მოიერგო, ახლა, ბურჭულაძეზე ამყარებენ იმედებს. საზოგადოებას რომელიც სულ გადამრჩენელს ელოდება და რომელსაც ყოველ ახალ არჩევნებში გადამრჩენელი სჭირდება, პოლიტიკური მომავალი არ აქვს.

– ვაშაძის გამოქცევამ რამდენად შეარყია „ნაციონალების“ რიგები. მთავარი ოპოზიციური პარტიიდან ლიდერები გამორბიან. რას ნიშნავს ეს?

– ვაშაძე არის კლასიკა. ხშირად იყო ლაპარაკი – ჩიკაგო ბანდიტების ხელშიაო, მაგრამ სანამ ალ-კაპონე არ დაიჭირეს, ეგონათ ეს ჟურნალისტების ან ჰოლივუდის მოგონილი იყო. რეალურად, არავითარი მაფია არ არსებობდა. მაგრამ ალ-კაპონე რომ დაიჭირეს, მაშინ გამოჩნდა, რაც ხდებოდა. ახლა, ჩვენთანაც ამბობენ, არავინ იყიდება, „გირჩი“ არ იყიდებაო, მაგრამ ვაშაძის მაგალითი ლუსტრაცია გახდა, როდესაც არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე პარტიიდან გამოიქცა. რა ხდება? არ გამიკვირდება „გირჩი“ პარლამენტში რომ მოხვდეს. თუმცა, ამ ორგანიზაციის ერთადერთი რესურსი მათი მისამართით თქმული ორსიტყვიანი წინადადებაა – ვაჟკაცები ყოფილანო. ახლა, ვაჟკაც გირჩებს კიდევ ერთი ვაჟკაცი – ვაშაძე მიემატება. ალბათ, იტყვიან ვაშაძეც ვაჟკაცურად მოიქცაო ე. ი. „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვაჟკაცები გარბიან. იტყვიან, აი, გემი რომელიც იძირება – ნაცმოძრაობა, აქედან ვაჟკაცები გარბიანო. ვინ რა იცის ისტორიული და ტრადიციული თქმით პირველი ვინ გარბიან ჩასაძირად განწირული გემიდან. ის ადრე იყო პირატების დროს, როცა ვირთხები გარბოდნენო, ახლა გემიდან ვაჟკაცები გარბიან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ნაციონალი“ ირაკლი აბესაძე საკრებულოში კი არა ციხეში უნდა იჯდეს!

11 გვ.

რომ ვერ დაამტკიცა, ამიტომ ცდილობენ ნაციონალები და მათი უცხოელი ლობისტები უგულავა პოლიტიკურ პატიმრად წარმოაჩინონ. არაფრით არ შემიძლია, რომ მიხეილ მაჭავარიანისა და მანანა კობახიძის ძველი დებატები არ გავიხსენო. ქალბატონ მანანას ძალიან დიდ პატივს ვცემ და გული დამწყდა, რომ მაჭავარიანის სიტყვებს „ჩვენ დანგრეული და ჩამოშლილი ქვეყანა ჩავიბარეთო“, სათანადო პასუხი ვერ გასცა. კი ბატონო, ქვეყანა დანგრეული და ჩამოშლილი იყო, მაგრამ მაჭავარიანსაც და სააკაშვილსაც ამ ნგრევაში დიდი

წვლილი აქვთ შეტანილი, რადგან ერთი შევარდნაძის საგადასახადო შემოსავლების მინისტრი იყო და მეორე იუსტიციის მინისტრი. მე ამ დროსაც მაკონტროლებელი ვიყავი და მშვენივრად ვიცი, როგორ მუშაობდა მაჭავარიანის მინისტრობის დროს შემოსავლების სამინისტრო.

– იქნებ ჩვენც გაგვიმხილოთ, კონკრეტულად რომელ დარღვევებს გულისხმობთ?

– ქუთაისის საგადასახადოში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის დადგენისა და ხელფასების კუთხით დიდი შემოწმება ჩავატარეთ. აღმოჩნდა, რომ ერთი წლის განმავლობაში, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას ბიუჯეტიდან მილიონზე მეტი ლარი ჰქონდა მოხსნილი. რა თქმა უნდა, ეს თანხა ხელმძღვანელობის ჯიბეებში დაილექა. იმავე შემოწმების დროს აღმოვაჩინეთ, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები თვეობით იგვიანებდა. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში გეგმას რომ ვერ ასრულებდნენ, საგადასახადო ინსპექცია შედიოდა რომელიმე საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მაგალითად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წამოიღებდა თანხას, ჩაირიცხავდა თავის ანგარიშზე, აჩვენებდა, რომ ბიუჯეტი შესრულდა და ორ კვირაში ან უფრო გვიან უკან აბრუნებდა. ამასობაში, საწყალი პროფესორ-მასწავლებლები ხელფასებს ელოდებოდნენ. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, ყველა დარღვევაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ასეთი მუშაობის შედეგად საქართველოს ეკონომიკა ნადგურდებოდა, ამის უშუალო შემსრულებლები კი დღეს გამოდიან და დანგრეული ქვეყანა ჩავიბარეთო ამბობენ.

– ქუთაისის საგადასახადოში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ მინისტრს თუ აცნობეთ და როგორი იყო მისი რეაქცია?

– მაჭავარიანი რა თქმა უნდა, გაეცნო ამ დასკვნას. რაც შეეხება მის რეაქციას, როდესაც ზესტაფონის საგადასახადო ინსპექციის შესამოწმებლად გამიშვეს, ინსპექციის უფროსს დაავალა, რომ დოკუმენტებამდე არ მივეშვი. ასე, რომ ნაციონალებთან დებატებში ციხის კადრებზე და სასტიკ მკვლელობებზე საუბრის დროს, არც ეკონომიკური დანაშაულები უნდა დაავიწყდეთ. მე „ქართული ოცნების“ დამცველი არ გახლავართ, მაგრამ გულსატკენია, რომ ხელისუფლებას ის ხალხი დაუპირისპირდა, რომელსაც ათჯერ და ასჯერ მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი. მათი დანაშაულის დამადასტურებელი უამრავი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეს ხალხი პასუხს აგებდეს, ხელისუფლებაზე მასირებულ შეტევას ახორციელებს. თუნდაც საკრებულოს მიწის ლეგალიზაციის კომისია ავიღოთ. პირველი პირების გარდა, კომისიაში დღემდე იგივე ხალხი მუშაობს, რომელიც წლების მანძილზე უკანონობას აწერდა ხელს. პროკურატურაში და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც იგივე ხდება. ჩემთვის ახალ ხელისუფებას არაფერი გაუკეთებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმ კაცთმოძულე პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნებას ვეღარც ქვეყანა გაუძლებს და ვეღარც მოსახლეობა გადაიტანს. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება.

ნელი თორდია
571 35 36 88



იუვენალური კანონი

ელიზბარ დიაკონიძე

მოკლედ, იუვენალური იუსტიცია არის კანონი, რომლის მიღების შემდეგაც სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას შვილების ჩამორთმევის საფრთხე ემუქრება!

„საერთო გაზეთს“ ამ კანონის მიღებისთანავე დაუკავშირდა იტალიაში მოღვაწე სასულიერო პირი **ელიზბარ დიაკონიძე,** რომელიც აღშფოთებას ვერ მალავს და რომელიც თავად გახდა მოწმე ფინეთის რესპუბლიკაში ფაქტისა, როდესაც დედას შვილს იმიტომ ართმევდნენ, რომ მას შესაბამისი ტანსაცმელი და კალორიული საკვებით უზრუნველყოფის საშუალება არ ჰქონდა შვილებისთვის!

– თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ჩემს თანამოაზრეებსაც და ჩემს ოპონენტებსაც იმის შესახებ, რომ კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, არის ოჯახის დაქცევის, შერყვნის და გაცამტვერების უკანასკნელი საშუალება, რითაც საბოლოოდ მოუღებენ ბოლოს ქართულ ცნობიერებას და მის მომავალს! მივმართავ საზოგადოებას უკანასკნელად, რადგან ჩემი ახლანდელი მდგომარეობა მაიძულებს თავდადებული ვიყო ღვთისა და სიყვარულით გავაგრძელო მსახურება ახალ ეპარქიაში და ეს გახლავთ ევროპის სლავურ დიასპორათა ეგზარქატი, სადაც ეპისკოპოსის რანგში ვმსახურებ უფალს! ვიცი, ჩემი არაკეთილისმსურველები დაიწყებენ ტალახის სროლას, დაიწყეს კიდეც, მაგრამ ეს ვერ შემაჩერებს, ვთქვა ის, რაც სათქმელია და რასაც ასე აჩუმათებენ მავანნი... მოვუწოდებ ოპონენტებს, ჩემზე დიდად ნუ გაირჯებიან, რადგან თავიანთი სატირალი მეტი აქვთ, ვიდრე ჩემი უბირი თავია!

სამწუხაროა, მაგრამ ევროკავშირის მითითებით, მწარე რეალობის მომსწრენი გავხდით და 27 აპრილს, ვნების კვირეულის ოთხშაბათ დღეს. მაშინ, როცა იუდამ გასცა უფალი, ღვთისმშობლის წილხვედრი და მისი კვართის შემნახავი მართლმადიდებლური საქართველო კიდევ ერთი საშინელი რეალობით ამთავრებს დღეს, როდესაც, ფაქტობრივად, მდუმარე უნდა იყოს ყველა მორწმუნე და საკვებსაც კი არ უნდა იღებდეს! დიახ, ოთხშაბათს, ყველასგან უჩუმრად – საქართველოს პარლამენტი შეიკრიბა და 84 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ (დანარჩენები არ დაესწრნენ სხდომას) მიიღეს კანონი იუვენალური იუსტიციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ოჯახში დაჩაგრული ბავშვის გამოვლენას და მათ გასხვისებას მზრუნველ ოჯახებზე!!! ანუ, ამ კანონით, სრულიად უპრობლემოდ არის შესაძლებელი დედობის უფლების ჩამორთმევა და არასრულწლოვანი ბავშვის მიშვილება მათზე, ვისაც სახელმწიფო მიიჩნევს მიზანშეწონილად! ამ სატანიზმისგან დამცავი მექანიზმი არ არსებობს!!! სასამართლოში ვერ იჩივლებ, რადგან ევროსაბჭოს კანონით მხოლოდ ევროსასამართლო განიხილავს სარჩელს და იმასაც მხოლოდ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტს, რადგან კანონი მათი დამუშავებული და მიღებულია!!! პირადად მე ვნახე ჩემი თვალებითY გაუბედურებული დედები და გასაცოდავებული ქალები ფინეთში, რომელთაც შვილები წაართვეს „კანონსაწინააღმდეგო გამოვლინების“ გამო ბავშვის მიმართ! ეს „გამოვლინება“ კი სხვადასხვა სახის იყო, მაგალითად, ბავშვს სიცივეში „შილიფად“ ეცვა, აცდენდა სკოლას, ფეხსაცმელი არ შეეფერებოდა სეზონს, ოჯახში უყვიროდნენ, ანუ „ბავშვზე ძალადობდნენ“ და ა. შ.!!! ძალადობაში ეთვლებათ ისიც თუ ეკლესიაში არასრულწლოვან ბავშვს ზიარებაზე სიარულს აჩვევენ, ლოცვისაკენ მოუწოდებს მშობელი მაშინ, როდესაც ბავშვს თამაში უნდა კომპიუტერთან ანდა თანატოლებთან, თუნდაც არაჯანსაღი გართობით უნდა დაკავდეს და ა.შ. ბავშვის ჩამორთმევის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე, გაბრაზებულმა მეზობელმა ბოროტი მიზნით რომ დარეკოს და „დაგასმინოს“ მშობელი – ბავშვს ხმამაღლა უწყრები და მის უფლებებს ლახავ, თუნდაც კომპიუტერის გამორთვით ემუქრებიო! მაშინვე მოვლენ, გამოკითხვის გარეშე ბავშვს წაიყვანენ პოლიციის დახმარებით და გააშვილებენ მათზე, ვისაც უპირატესობას ანიჭებენ, თუნდაც ეს იყოს ჯერ კიდევ უშვილო გეი-წყვილი, ანდა ლესბოსელების ოჯახი, რომელთაც შვილად აყვანაზე განცხადება უკვე შეტანილი აქვთ შესაბამის უწყებებში!!! ამ შემზარავი ფაქტების სტატისტიკა უამრავი უბედური ბავშვითაა წარმოდგენილი, ჩემო ქართველებო და ვიმეორებ, ასეთი სახით შვილებწართმეული დედები არაერთი ვნახე იმიტომ, რომ საკითხი უფრო ღრმად შემესწავლა!!! ახლა ბავშვები როგორები ხდებიან და იზრდებიან, არ იკითხავთ? ფინეთში ეს ბავშვები ზომბებივით არიან. ისინი თავიანთი ზედამხედველების მეთვალყურეობის ქვეშ ხვდებიან ბიოლოგიურ დედებს და რომც უნდოდეთ ერთმანეთის მოფერება, არ შეიძლება, რადგან ეს შეიძლება გახდეს წინაპირობა იმისა, რომ დედაშვილი ხანგრძლივი დროის მანძილზე აღარ შეახვედრონ ერთმანეთს, რათა მათი ბუნებრივი მიზიდულობა ერთმანეთთან აღკვეთონ! უფრო მეტიც, თუკი საბავშვო ბაღის ან სკოლის პედაგოგი შენიშნავს მშობლის „მიუღებელ მოქმედებას“ არასრულწლოვანი შვილის მიმართ, დიდი ალბათობითა და ამ კანონის მეშვეობით, სრულებით შესაძლებელია, შვილი სკოლიდან ანდა საბავშვო ბაღიდანაც კი ისე წაიყვანოს სოციალურმა სამსახურმა, მშობელი საქმის კურსში არ ჩააყენოს და მიზეზიც არ განუმარტოს!!!

ეს შეგნებული, მიზანმიმართული დანაშაულია კაცობრიობის წინაშე და საქართველოს პარლამენტმა მიიღო ეს კანონი!

– საპატრიარქოს მხრიდან, კატეგორიული პოზიცია არ ყოფილა?

– და, რატომ უნდა ყოფილიყო? თითო-ოროლა მღვდლის და ეპისკოპოსის წინააღმდეგობა დიდად დასაფასებელია, მაგრამ დააკვირდით, რომ მათ უკან მდგომი საპატრიარქო საერთოდ დადუმდა! ვიდრე მკითხავდეთ, „რატომ“-ო, გეტყვით... იმიტომ, რომ ეროვნული თვითშეგნება არ აქვთ, გამორჩენის მიზნით დადუმდნენ, სიყვარულის არქონის გამო დადუმდნენ და ეროვნული თვითშეგნება, რომელიც არასოდეს არ ჰქონიათ, რაღა ამ კანონის მიღების დროს აღმოაჩნდებოდათ?

„დათა თუთაშხია“ გამახსენდა, როცა ამბობს: „ასეთი და ასეთი უნდა იყოს კაცი,

რომ წერია, ის მომწონს მარტოო...“ დღევანდელ სასულიერო პირთაგან უმრავლესი არავითარ შემთხვევაში არ ეტყვის თავის სამწყოსს, რომ სამშობლოსათვის თავგანწირვაა უმთავრესი, რადგან თავად ვერ მისცემს მაგალითს მრევლს... არც აინტერესებს, რადგან მისი მორალი არა სამშობლო და სულიერება, არამედ მატერიალური და იერარქიული უპირატესი ყოფა!!!

– უფალი მოგვიწოდებს, ნუ განიკითხავთო...

– ეს განკითხვა კი არა, მხილებაა, მხი-ლე-ბა!!! აბა, ჩაბრძანდით საბერძნეთში და მიბრძანდით იქ, სადაც ქართველები იკრიბებიან სალოცავად? ყუთი უდგათ, ყუთი იმ შესასვლელში, სადაც აღსარებაზე მიდიან და სადაც ერთგვარი ვალდებულებაა 5 ევრო გადაიხადო აღსარებაში!!! ანუ 5 ევროს იხდის ქართველი მორწმუნე იმა-

ში, რომ იყიდოს ცოდვისგან დაცლა მოძღვართან და ეს ნორმალურია? უამრავ ფაქტს მოგიყვანთ, როდესაც ისედაც შეჭირვებული ემიგრანტებისგან ზოგიერთი მოძღვარი ბინის ქირის ანდა ავტომობილის შეძენის თანხის აგროვებას ავალდებულებს მასთან დაახლოებულ „ძლიერ მორწმუნე“ რამდენიმე ადამიანს და ეს გაუბედურებული ემიგრანტებიც, იმიტომ, რომ მამაო ჰყავდეთ, უკანასკნელ კაპიკებს იღებენ ჯიბიდან, მისი მოთხოვნილებები რომ დააკმაყოფილონ! ახლა, თქვენ გგონიათ, უცხოეთში მოღვაწე მღვდლები ამას საკუთარი ნებით სჩადიან? არა, არა და არა! ისინი იძულებულები არიან, ასე მოიქცნენ, რათა მათი უცხოეთში გამგზავნი „მაღალი იერარქიები“ „გამოკვებონ“ ქრთამით, თორემ მალევე გაიწვევენ უკან და მათ ადგილზე მოიყვანენ მას, ვინც უსიტყვოდ დაემორჩილება იმ წესს, რომელიც, მართალია, არსად წერია, მაგრამ დიდი ხანია, სრულდება, როგორც ნორმა!!!

აბა, მითხარით, ასეთ ვითარებაში და ასეთ რეალობაში მყოფი საპატრიარქო რაიმე ანტიეროვნული კანონის გამპროტესტებელია?!! მათთვის ხომ უპირატესია არა მრევლი, არამედ მოძღვრის პრობლემა, რომ მოძღვარს შია, მოძღვარს საწვავი არ აქვს, მოძღვარს ბინის ქირა აქვს გადასახდელი, მოძღვარი სიცივეშია, მოძღვარი უხელფასოა და ა.შ.? აბა, დააკვირდით, ვინ და რომელი ფენის წარმომადგენლები დაიარებიან ხშირად „მაღალ იერარქიებთან“? უპოვარი, გლახა და ყველასგან მიტოვებული გინახავთ ოდესმე მათ მიღებებზე? ვერ დამისახელებთ ასეთ შემთხვევას და ამიტომაც ვამბობ, ისევ ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა და დაუპირისპირდეს ამ კანონს, თორემ სხვა გზა არ არსებობს, არაააა!!!

გამოცხადებაში წერია – მეორედ მოსვლის წინ დედას შვილი დაავიწყდებაო! აი, სწორედ ამ კანონთა შემოღებით იწყება ამ წინასწარმატყველების ახდენა...

– გაზვიადებული ხომ არ გგონიათ ის, რასაც გვიამბობთ? საქართველოში ვერ გაშლის ფრთებს ეს კანონი, ამაში ეჭვი გეპარებათ?

– ველოდებოდი ამ შეკითხვას, ვე-ლო-დე-ბოდი! კარგით, რადგან ეჭვი შეგაქვთ, მაშინ მე მზად ვარ, გადმოგცეთ რამდენიმე ათეული ქალბატონის ტელეფონის ნომრები და თავად გექნებათ საშუალება, გადაამოწმოთ ჩემი ნაამბობი, რას უშვებიან ოჯახებს, სადაც შეიმჩნევა მართლმადიდებლური, ანდა სხვა კონფესიათა სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდა!

(გაგრძელება იქნება)

ირინე გოგოსაშვილი
55 254 335

ქვეყანას ცხვრის ქურქში გახვეული მგლები შემოესივნენ!



ახლახან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სუს-ის რეორგანიზაციის იდეით წარსდგა საზოგადოების წინაშე. ვერ გეტყვით, რა განათლება აქვს ამ ხალხს მიღებული, მაგრამ მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება პროფესიონალიზმს არ ნიშნავს. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი ფაქიზი თემაა. ჩვენზე დიდმა და განვითარებულმა ქვეყნებმა უშიშროების სამსახურების შექმნას ათწლეულები მოანდომეს, სადაც პროფესიონალები მონაწილეობდნენ და არა არასამთავრობოები.

თუმცა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა რომ ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს, საიდუმლოს აღარავისთვის არ წარმოადგენს. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რომელთა შესახებაც ისედაც კარგად უწყიოს ჩვენმა საზოგადოებამ. ამის მიუხედავად, მათ აფეტიშებენ ჩვენი ჩინოვნიკები თუ მედიასაშუალებები. ნეტავ რატომ? სავარაუდოდ, საქმე გვაქვს პრინციპთან „ხელი ხელს ბანს“.

ესეც არ იყოს, ამ არასამთავრობო ორგანიზაზაციების წევრთა უმრავლესობა ხომ ყოფილი „ნაციონალები“ არიან?

ქვეყანას ცხვრის ქურქში გახვეული მგლები შემოესივნენ!

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, როდესაც თუნდაც ბოტანიკური ბაღის დაცვის პრობლემებზე გამართულ საპროტესტო აქციებზე „ნაცმოძრაობის“ წევრები ვიხილე! ნუთუ ასეთი მოკლე მახსოვრობა გვაქვს, რომ დაგვავიწყდეს, ვინ გაანახევრა ვაკის პარკის ტერიტორია, ვინ გასცა ნებართვა ვაკის პარკის და დაკუს ტბის ასახვევში მშენებლობების უფლება. ვისი მმართველობის დროს გაიჩეხა ყოფილი კიკვიძის ბაღი, სადაც პოლიციის შენობა დადგეს. რამდენი სკვერი შეეწირა პოლიციის შენობებს, დაგვავიწყდა?

სპორტის აკადემია, რომელიც გაყიდვას ბეწვზე გადაურჩა, მართლაც დიდ საქმეს აკეთებდა, სადაც სხვადასხვა ფაკულტეტებთან ერთად იყო სპორტული მედიცინისაც. იქვე, აკადემიის შემოგარენში, გვახსოვს, თითქმის მთელი სპორტული ქალაქი არსებობდა, თავისი სტადიონებითა და დარბაზებით. მართალია, ზოგიერთი მათგანი შეკეთება-შერემონტებას საჭიროებდა, მაგრამ პირსისხლიანმა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გაანადგურა. იგივე ბედი ეწია ისანში მდებარე არმიის სპორტული კლუბის სტადიონს, ხელოვნურსაფარიან მოედანთან ერთად. გააჩანაგეს 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზა...

„დინამოს“ ჩოგბურთის კორტები მხოლოდ სპორტული არენა არ გახლდათ. იქაური გამწვანება თბილისის ფილტვებად ითვლებოდა. ვაკე-საბურთალოს გადასახვევზე არსებულ ველოტრეკს, რომელიც ევროპაში თავისი უნიკალური საფარით ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ არენად ითვლებოდა, განსაკუთრებული ისტორია ჰქონდა. მისი მშენებლობა პირდაპირ უკავშირდებოდა ჩვენს სახელოვან ველომბრბოლელ ომარ ფხაკაძეს. ცხონებულმა, საკუთარი კეთილდღეობის, პირადი გამორჩენის ნაცვლად იმჟამინდელ ხელისუფალს ველოტრეკის აშენება სთხოვა. სიცოცხლის ბოლომდე თავს დასტრიალებდა საკუთარ პირმშოს. თუმცა, „ნაცმოძრაობას“ ისტორია და ტრადიციები ნაკლებად აინტერესებდა, ამ უნიკალურ ველოტრეკს უზნაძის ქუჩაზე არსებული საუკუნიის ისტორიის მქონე ველოტრეკიც მიაყოლეს და დღეს თბილისი ველოტრეკის გარეშეა დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ხუშტურებით დედაქალაქში ველოსიპედის ძეგლი გვაქვს.

აღარაფერს ვამბობთ სასტუმრო „ივერიაზე“, რომელსაც, ფასადთან ერთად, სახელიც შეუცვალეს. აღარაფერს ვამბობთ, ასევე, დავით აღმაშენებლის ძეგლზე, რომელიც, ფაქტობრივად, ქალაქგარეთ გადაიტანეს. თაბუკაშვილის ქუჩაზე დანგრეულ სახლზე. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. სამწუხაროდ, ისედაც გრძელი სია გამოვიდა.

საინტერესოა, თუ რატომ არ ვთხოვთ პასუხს, ვინც გასცა ნებართვა, გაენადგურებინათ, გაეჩანაგებინათ თბილისის იერი, ისტორიული თუ უნიკალური შენობა-ნაგებობები. „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის დანაშაულებებზე დღეს რატომღაც აღარ საუბრობენ. ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულში, ისინი თავხედურად დღეს ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ და სხვებს ადანაშაულებენ! მეტი ცინიზმი, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

ალბათ, დროა, თუ დაგვიანებული არა, საზოგადოებამ მოსთხოვოს საქართველოს სამართალდამცველებს, გამოიძიონ „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივი მოღვაწეობა, თორემ მათი ყელყელობა, ჩვენს დროს ყველაფერი კარგად იყოო, უბრალოდ, ხალხის დაცინვა და აბუჩად აგდებაა. დარწმუნებული ვართ, რომ „ნაცმოძრაობის„ ქმედებების გამოძიების დაწყებისთანავე, აქაური არასამთავრობოთა უმრავლესობა მათ დასაცავად კნავილს დაიწყებს, რადგან, გრანტების გარდა, დღემდე ნაცების ბაგიდან იკვებებიან. მათი მთავარი მიზანი კი საქართველოს სახელმწიფოს დანგრევა-დანაწევრიანება წარმოადგენს. ამისთვის არიან ისინი ჩვენში მოვლენილ-ჩანერგილები.

გია ბურდული
551 71 27 07

მორიგი ნარკოტრაგედია „ზექართულ ბომონდსა“ და „ზექართულ ელიტაში“

„ზექართულ ბომონდს“ და „ზექართულ ელიტას“ მორიგი ნარკოტრაგედია დაატყდა თავს. ჯერ მამულიჩას „მხილება“ არა აქვთ მონელებული და ახლა ნანუკა ჟორჟოლიანის „ლიჩნი ლიუბიმჩიკის“, როსტოს, თავისუფლების მზეს ემუქრება ჩასვენება. როსტოც, მამულიჩას დარად, დიდი რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების „ტარებისთვის“ „დაასტუკეს“ და მერე რა რომ როსტოს „წამალთან“ მამულიჩას „წამალი“ რაოდენობით ზღვაში წვეთია, მაგრამ როსტოც ისეთივე უცოდველია, როგორც მამულიჩა იყო.

„ბომონდი“ შფოთავს, ნერვიულობს – „ნანუკას შოუ“ გადარჩა, ნანუკასთვის როსტო ყოფილია, მაგრამ „დაობლება“ ემუქრება „ჩემი ცოლის დაქალებს“, „საწყალი“ ლაშა კურტანიძე-კურტანა დროზე თუ არ გაათავისუფლეს, „სვეცკაობის“ მოყვარული „მოსვეცკო“ ელემენტები, ტელევიზორებთან ვეღარ „ისვეცკებენ“ და ეს იქნება დასასრულის დასაწყისი, ტრაგედია და თუ გნებავთ ტერაქტიც!

როსტოს და კურტანას როცა აკავებდნენ არც შიშით და არც დოზით, მამულიჩას დარად ფეხები ერთმანეთში არ გადახლართვიათ და ამიტომ „ბომონდს“ და „ელიტას“ არ მიეცა შანსი დაეკნავლა – ეს როსტო (ან ეს კურტანა) არ არის!! ამჯერად საქმე სხვაგვარადაა – ორი „ვარსკვლავის“ ჩასვენებას სხვა „ვარსკვლავები“ გაგებით მოეკიდნენ და არც პლაკატები გაუშლიათ წარწერით – მე დღეს როსტო ვარ! მე დღეს კურტანა ვარ!

ჯერ იყო და მარიხუანის დეკრიმინალიზაცია გვინდაო, – კიოდა ბომონდი, ელიტა, ვარსკვლავები და მოვარსკვლავებო ელემენტები. მერე „ვანიდან“ გამოვარდნილი ეშმაკის მაშხალა ლამის რომ შემოეუპატიურა ერს ხელში, რატომღაც ჩაჩუმდა „სასტავი“. მერე მამულიჩა გაუშვეს და ერმაც და ბერმაც დაივიწყა ეს „დიდი მომღერლის“ „პირშო“. არავინ იცის „კუდიგორის გზიდან“ გადაუხვია თუ არა „ვარსკვლავის ვარსკვლავმა“ და მომხმარებელი და გამსაღებელი როგორ „გამოსწორდა“, არც ვისაც ხელეწიფება იმათ ახსოვთ მამულიჩა და მისი „ბარიგობა“, მაგრამ რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს „მამულიჩას“ გამო ლამის ტიტველი რომ დარჩა „ელიტა“ როსტოს და კურტანას გამო არავინ იხევს ტანსაცმელს. ასეა ცხოვრება მოწყობილი, მამულიჩას „ჩემი ლელა“ ჰყავდა და ლაშას ეტყობა არავინ ჰყავს „ჩემი“ (ან ლაშას „ჩემი“ ცნობადი სახე არაა), როსტოს „ჩემი“ კი უკვე ყოფილია და აბა ვინ ამოიგდებს ბეჭს ამ ორი „უდანაშაულო“ კაცისთვის? არავინ! ერთადერთი ვინც ორიოდ სიტყვა „შეაწია“ როსტოს და კურტანას ირაკლი კოდუას ცოლყოფილი ნანუკა ჟორჟოლიანი აღმოჩნდა, ის წერს: -დააკავეს თუ არა როსტო და კურტანა?

– კი. (სამწუხაროდ)

– ჰქონდათ თუ არა ის და იმდენი ნარკოტიკული საშუალებები რასაც მედია წერს?

– არა!!!! ჰეროინი არა, მეტადონი არა, სუბოტექსი არა. ქონდათ ე. წ. კლუბური ნარკოტიკები, MDM, ექტაზი. რაც რაღაცეებს შეიცავს კიდევ... რაც შეეხება რაოდენობას. ბევრია, ვიღაცისთვის ძალიან და ვინც იცის, რომ ფესტივალების დრო დგება არაა ბევრი. (გამგები გაიგებს) თორემ ვიღაცისთვის სუბოტექსი და ექსტაზია იგივე. კარგი ლაინაფები გგონიათ არყის „მადლით“ უხარია ქალაქს?.

– არანაირ რეალიზაციაზე საუბარი არ არის. ბრალშიც კი, მაგრამ მედია რისი მედიაა არ გააბუქოს :) განსკუთრებით მედიის ის ნაწილი, რომელიც ტყუილის გასავრცელებლად შეიქმნა მხოლოდ.

– მათ ბრალად ედებათ, ნარკოტიკების შეძენა-შენახვა. თავისი ეყოფათ ბიჭებს. ნუღარ უმატებთ. !!!

– არის თუ არა ეს ცუდი? – აბა გამოიცანით?

– ძალიან ცუდია. კანონის წინაშე, რომ ყველა ერთია მე ყველაზე კარგად მესმის. ეს ასე იყო მაშინაც, როცა ვიღაცეებისთვის „მაღალჩინოსნის“ მეუღლე ვიყავი და ოჯახის წევრი მარიხუანის მოწევისთვისაც კი დამისაჯეს. ძალიან ცუდია ხელშეუხებელი ადამიანი და კარგ ტიპს ყოველთვის ურჩევნია ასეთი არ იყოს. მათ იკითხონ ვისაც ხელს ვერ ან არ კიდებენ. ჩვენთვის კანონი ყოველთვის კანონი იყო.

– წინა ცხოვრება რომ იყოს ანუ, დღევანდელი ხელისუფლება ოპოზიციაში და ჩემს ადგილას იყვნენ დაიწყებდნენ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, დაკავშირებას, ზღაპრების მოგონებას. იქ სადაც წულუკიანი ოქრიკას ამართლებდა პოლიტიკისთვის ყველაფერი მოსულა, მაგრამ მე სპექტაკლებს ვერ დავდგამ და ტყუილს არ ვიტყვი. რაც იყო გითხარით. ვერაფერს ამის უკან ვერ ვხედავ.

– აბა, როგორ მიყვარს ორივე ეს რაში გადარდებთ. სენტიმენტებიც და სიბრაზეც ჩემია და მე მოვუვლი. ჩემს საუკეთესო ორი მეგობარი, რომლებიც პირველად დააკავეს ცხოვრებაში, ციხისთვის რომ არ მემეტება ესეც არ უნდა გაგიკვირდეთ.

– უბრალოდ, ქვეყანაში სადაც რეალიზატორები და მკვლელები შეიწყალეს იმედს ვიტოვებ, რომ ორი „ქლაბერი“ ბიჭი ციხეში დიდხანს არავის უნდა“, – წერს ჟორჟოლიანი.

ანუ, კოდუას ცოლყოფილისთვის თურმე სამწუხარო ყოფილა დიდი რაოდენობით ნარკოტიკების გადაზიდვისთვის ორი პირის დაკავების ფაქტი. და ამას ამბობს ის „ჟურნალისტი“ რომელიც წლების განმავლობაში „აპრავებდა“ ჯერ მისი „კაცი“, შემდეგ უკვე გაქმარებული „კაცი“ მტკიცებულებების გარეშე რომ აკავებდა ადამიანებს, რომელთაც მინიმალური რაოდენობის ნარკოტიკს ჩაუდებდა და მაქსიმალური სასჯელით ამწესებდა გისოსებს მიღმა. ნანუკა ჟორჟოლიანი თავისი „მხარდაჭერით“ ადასტურებს რომ თურმე „კლუბურ ცხოვრებაში“ „ყველაფერი მოსულა“ და დიდი ამბავი თუ ბიჭებმა „კლუბური ცხოვრებისათვის“ მინიმალურად ცოტა ნარკოტიკი შემოიტანეს! ის რაც კანონისთვის დიდი დოზაა კლუბისთვის „ერთი ზახოდიაო“ გვიმტკიცებს ის ქალი, რომლის მამაც და ძმაც, როგორც ამბობენ „ნარკოტიკთან, ტკბილი და მურაბა“ ურთიერთობაში იყვნენ! მისი ქმარყოფილი, რომ ნარკოტიკების რეალიზაციის „მამამთავარი“ იყო ისიც ცნობილი ფაქტია, მას ხელქვეითებიც კი ამხელდნენ და მის უწყებას“სოდ“-ს დამსახურებულად ასე შიფრავდნენ“ სუბუტექსის ოფიციალურ დისტრიბუტორები“. ერეკლე კოდუაც „ეტანებოდა“ ნარკოტიკს მისი მოადგილეებიც. ერთ-ერთი დ. ჟ. „კაიფში“ გაიპარა (ისე არ იქნებოდა ურიგო, დანარჩენი კოლეგებიც მიყოლოდნენ). . . გულწრფელად მიკვირს, როსტო ნუთუ არავინ გააფრთხილა, ნანუკასთან და ერეკლესთან „მეგობრობის ჭაობი“ მოულოდნელათ ჩაითრევდა და თავის დაღწევას ვეღარ შეძლებდა. აშკარად „ცუდ წრეში“ მოხვდა. არადა, ნანუკამ ღრმად ჟურნალმა „რეიტინგმა“ სტატია გამოაქვეყნა. ირაკლი კოდუამ არჩევნების შემდეგ საქართველო დატოვა და ახლა ჩეხეთში იმყოფება. მას ხშირად სტუმრობენ ნანუკაც და როსტოც. ერთი ასეთი ვიზიტის დროს ირაკლის ბინიდან როსტოს 2 ათასი ევრო უნებართვოდ აუღია და კაზინოში წაუგია, ირაკლის არაფერი შეუმჩნევია. აზარტში შესულ წყალბურთელს ეს ყველაფერი არ უკმარებია და კიდევ, ისევ უნებართვოდ, ამჟამად 20 ათასი ევრო აუღია. ოჯახთან დაახლოებული პირი ირწმუნება, რომ ირაკლი ძალიან გაბრაზებულა და როსტო მაგრად უცემია. ამ ყველაფერს ნანუკა ჟორჟოლიანი უარყოფს და აცხადებს, რომ ეს ჭორებია, რომლებიც ვიღაც ბოროტმა ადამიანმა მოიგონა. მისივე მტკიცებით, როსტო შესაძლოა რუსეთში წავიდეს და თუ გადაიფიქრა შოუშიც აუცილებლად ვიხილავთ“.

ეს ისე, „ლირიკისთვის“, რეალობა კი ასე დაიწყო: თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, საიდანაც გავიგეთ, რომ: „ლევან როსტოშვილი დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ჰეროინი, ბუპრენორფინის, მეტამფეტამინი და მეტადონი ამოიღეს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს“. შემდეგ სეკვესტრში მოჰყვა რამდენიმე ნარკოტიკული საშუალება და შსს-მ გაავრცელა განცხადება: „გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს”.

მუხლი, რომლითაც გამოძიებაა დაწყებული 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას გულისხმობს. არაა გამორიცხული როსტო

და კურტანაც ისევე გაათავისუფლონ როგორც მამულიჩა გაათავისუფლეს, საქართველოში ხომ დასჯასაც აქვს ორი მხარე – ქართული სამართალი ცნობადებზე ცრემლებად იღვრება, არაცნობადებს კი ცეცხლითა და მახვილით უსწორდება.

ახლა კი მთავარი: გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ამოღებულ იქნა როსტოს და კურტანას პირადი ჩხრეკის შედეგად რეალურად ეკუთვნოდა ირაკლი კოდუას.

ჩემი წყარო იმასაც ამბობს, რომ ამ ბიჭების დაკავებაც კოდუას „შემოქმედების ნაყოფია“, რომ ამით კოდუამ როსტოზე იძია შური და არა მხოლოდ ქურდობის გამო. ერეკლე კოდუა დიდი ხანია როსტოს და მის საძმოს გამსაღებლად იყენებს, თუმცა ამჯერად ფულს შურისძიებამ სძლია და ეს შურისძიება მხოლოდ ქურდობის ფაქტს არ გამოუწვევია. რა არ აპატია ერეკლე კოდუამ როსტოს ამას ალბათ თავად ნანული ჟორჟოლიანი იტყვის...

„კვიცი გვარზე ხტის“ ეს გამოთქმა გამახსენდა იმავე წამს როგორც კი როსტოზე შურისძიების შესახებ მომიყვნენ ამბავს. საქმე ისაა, რომ ერეკლე კოდუას დედაც ზუსტად ასე უსწორდებოდა „მტრებს“. მეტი სიცხადისათვის ერთ ისტორიას გავიხსნებ: ჩემს გარდა ლაურა ღაჭავას დაქალი მ. გ. ძალიან ბევრ ადამიანს უყვებოდა ამ ამბავს და საჭიროების შემთხვევაში ჩემი ნათქვამის დადასტურება ბევრს შეუძლია, ისტორია ასეთია: მ. გ. -ს შვილი „პრიკუპში“ მოჰყვა, როცა „პესკებზე“ რესტორან „მეგრელების“ ხელში ჩაგდება უნდოდა ლაურა ღაჭავას, რათქმაუნდა მიზერულ თანხად. როცა მოლაპარაკებას ვერ მიაღწიეს საქმეში „დიდი“ერეკლე ჩაერთო და რესტორნის მეპატრონის ვაჟი „ფაქტით“დააკავეს. საუბედუროდ იმ მომენტში „ეჭვმიტანილს“ ღაჭავას ბავშვობის მეგობარი და კლასელის შვილი სტუმრობდა. მ. გ. საქართველოში არ იმყოფებოდა, სასწრაფოდ ჩამოვიდა და ლაურას დახმარებისთვის მიმართა. ღაჭავამ ჯერ ორი ავტომანქანა, თითქოს ვანო მერაბიშვილს „უჭირდა“, შსსსთვის აყიდინა, შემდეგ 50 ათასი საპროცესოსთვის გადაახდევინა და 2 წელი რეალური სასჯელის მოხდას მაინც არ ააცდინა. გაუჭირდა მეგობარს მატერიალურად, ვალებს გასტუმრება უნდოდა და ისევ მიმართა ღაჭავას დახმარებისთვის. „გულისხმიერმა“ მეგობარმა მას „განადგურებული“ნარკოტიკის რეალიზაცია შესთავაზა. კედელთან მიყენებულ ქალს სხვა გზა აღარც დაუტოვეს. ეს ის პერიოდია როცა „კუდი“და „სოდი“ ერთმანეთზე ნადირობდნენ. ლაურას მეგობარი ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე „კუდმა“ დააკავა. ლაურას დაქირავებული და ნდობით აღჭურვილი ადვოკატი ხშირად სტუმრობდა მ. გ. -ს და „ატერორებდა“ თუ რამის თქმას გაბედავდა მის შვილებსაც დაიჭერდნენ და ისიც ვერ გავიდოდა ციხიდან ცოცხალი. მან ლაურა არ „ჩაუშვა“ სამწუხაროდ ვერც ცოცხალი გავიდა ციხიდან. ამბობენ ლაურა „დაეხმარაო“. ეს ამბავი კი არაერთ პატიმარს აქვს მოსმენილი პირადად მ. გ. -საგან. რა დამთხვევაა კოდუას კუთვნილი თანხიდან როსტოს ჯერ 2000 ევრო წაუგია მერე 20000 ევრო და თავად კოდუა კი საკუთარი გამსაღებლის ჩამშვებად რომ „წამოჩიტულა“ ესეც საგულისხმო ფაქტია!...

ქეთევან ზარნაძე

599 52 60 30

რა დაგეგმეს კგბ-ს ეფრეიტორმა და ჭიათურელმა კომკავშირელმა?

ვაშაძეში ჩასახლებული სააკაშვილი ვაშაძის ხელით „ვარდების რევოლუცია-2“-ის მოწყობას აპირებს?

თამამად შეიძლება ითქვას, გიორგი ვაშაძის ხმაურიანი და დემონსტრაციული წამოსვლა „ნაცმოძრაობიდან“ არც შიდა პარტიულ დაპირისპირებას და უთანხმოებას უკავშირდება, არც „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკოსის მოსყიდვას და გადაბირებას, არც ვაშაძის მოჭარბებული პოლიტიკური ამბიციების უეცარ აფეთქებას — ვაშაძის დემარში ეს არის მიხეილ სააკაშვილის და ზურაბ ადეიშვილის მიერ დაგეგმილი მორიგი ავანტურა, რომელიც თავიდან ბოლომდე მათ მიერ დაწერილი სცენარით იმართება.

გიორგი ვაშაძე — ეს არის 2003 წლის პერიოდის მიხეილ სააკაშვილის რეინკარნაციის მცდელობა, იმდროინდელი სააკაშვილის ასლი, სააკაშვილის ორეული ახალი „რევოლუციური“ იდეებით და მისწრაფებებით, რომელიც სააკაშვილმა საკუთარი ნებით შემოაგდო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი დავალებების და ინსტრუქციების შესასრულებლად.

ვაშაძე „ნაცმოძრაობიდან“ კი წამოვიდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვაშაძე სააკაშვილისგან გამოიქცა.

პირიქით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილი მთელ „სანაცეთში“ ყველაზე მეტ იმედებს ვაშაძეზე ამყარებს და ფსონს სწორედ მასზე და იმ ახალგაზრდულ გუნდზე დებს, რომელმაც უკვე აღიარა ვასაძე თავის ლიდერად და წინამძღოლად.

გიორგი ვაშაძე ბევრი რაღაცით ჰგავს სააკაშვილს და ამ მსგავსებას სააკაშვილი კარგად ხედავს.

სწორედ ამიტომაც ამოირჩია მან ვაშაძე თავის ფავორიტად და ფალავნად.

როგორც ჩანს, სააკაშვილის თვალში საბოლოოდ დაკარგა ხიბლი „ნაციონალების“ უფროსმა თაობამ, რომელიც უკვე გაცვდა, დაიშტამპა, დაიღალა და ხალხს საკმაოდ მოაბეზრა თავი ერთი და იგივე ფრაზეოლოგიით, ერთი და იგივე სინტაქსით, ერთი და იგივე შინაარსის მონოტონური განცხადებებით.

„ნაცმოძრაობა“ ხშირად კი იძახის ნიშნისმოგებით — „ქართული ოცნება“ არ მუშაობსო, მაგრამ, სინამდვილეში, სწორედ „ნაცმოძრაობა“ არ მუშაობს. ის ძალიან ჰგავს ორმოში ჩავარდნილ მანქანას, რომლის მოტორი მთელი ძალით კი ღმუის, ბორბლებსაც მთელი ძალით ატრიალებს, მაგრამ მანქანის ორმოდან ამოყვანას ვერა და ვერ ახერხებს.

რა თქმა უნდა, სააკაშვილი ხვდება, რომ ვერც დავით ბაქრაძე, თავისი ჯოკონდას ღიმილით, ვერც გიგა ბოკერია, თავისი კნეინა თამროთი, ვერც ნიკა მელია, ვერც ხათუნა გოგორიშვილი, ვერც მიშა მაჭავარიანი და ვერც სხვა „ნაცისტური“ დიდკაცობა ბიძინა ივანიშვილის დამმარცხებლები არ არიან, რადგან ამისთვის მათ არც ძალა ეყოფათ, არც ავტორიტეტი, არც თავგანწირვის და თავდადების სურვილი.

„ნაციონალების“ ძველი შემადგენლობა, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, თითქმის ოცი წელი იყო ხელისუფლებაში, ოცი წელი კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ამომრჩეველმა შენს მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგოს.

ვაშაძეს არ დაუმალავს, რომ თავისი გადაწყვეტილების

შესახებ სააკაშვილი საქმის კურსში ჩააყენა, თუმცა იმაზე არ უსაუბრია, რა საიდუმლო გეგმა შეიმუშავეს მან და სააკაშვილმა.

მას არ უსაუბრია ამის შესახებ, მაგრამ ეს გეგმა რომ არსებობს, ნათლად ჩანს იმ ინტერვიუებიდან, რომლებიც ვაშაძემ „ნაცმოძრაობიდან“ წასვლის შემდეგ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს მისცა.

უაღრესად საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციებს შეიცავს აგრეთვე ის განცხადებები, რომლებიც ვაშაძის გუნდის წევრებმა გააკეთეს.

ერთ-ერთმა მათგანმა, ლევან ხაბეიშვილმა, პირდაპირ განაცხადა, რომ ვაშაძეს და მის გუნდს ათიათასობით ახალგაზრდა გაჰყვება.

ხაბეიშვილის თქმით, ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებსაც „ნაცმოძრაობის“ ახლანდელმა ლიდერებმა „ნაცმოძრაობის“ კარები დაუკეტეს და ახალი, მძლავრი, საპროტესტო პროცესების დაწყების და ორგანიზების საშუალება არ მისცეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

როგორც ჩანს, გიორგი ვაშაძემ დაარწმუნა მიხეილ სააკაშვილი, რომ ვაშაძეა ის ლიდერი, რომელსაც შეუძლია ერთი სულისკვეთებით შეკრას ეს ათიათასობით გულანთებული ახალგაზრდა და კოლონები ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისკენ დაძრას ივანიშვილის დასამხობად.

მიხეილ სააკაშვილი გიორგი ვაშაძის ხელით „ვარდების რევოლუცია-2“-ს აშზადებს?

თუ ეს ასეა, მაშინ ბაქრაძე-მაჭავარიანისნაირი „ბებრების“ „კამანდა“ ამ საქმისთვის ვერ ივარგებს, ვაშაძემ კი შეიძლება გაქაჩოს!

ათიათასი ახალგაზრდის გამოყვანას შეძლებს ვაშაძე თუ ათასის, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, თუმდა ოდესის გუბერნატორის ანგარიშით, ამ ექსპერიმენტის ჩატარება მაინც ღირს.

როგორც ამბობენ, სააკაშვილის პროექტია პაატა ბურჭულაძეც, რომელიც კარგად კი მღერის, მაგრამ ცუდად ლაპარაკობს და პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ქარიზმაც საერთოდ არ გააჩნია.

სააკაშვილის პროქტად მიიჩნევა „გირჩის“ დაფუძნებაც, რომლის ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ლაპარაკით კი ლაპარაკობს, მაგრამ ისეთნაირად, გეგონება, საკუთარ თავს ელაპარაკებაო.

ასე რომ, სააკაშვილის ამ ორმა პროექტმა დიდად ვერ გაამართლა, თუმცა შეიძლება მესამე უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი გამოდგეს.

ასეა თუ ისეა, ვაშაძეში ჩასახლებული სააკაშვილი ოქტომბრის ახალ რევოლუციას გეგმავს ოდესიდან, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ამ რევოლუციას განხორციელება არ უწერია, რადგან არავინ იცის, გადამწყვეტ მომენტში რას მოიმოქმედებს და საითკენ გადაუხვევს თვით ვაშაძე, მეტსახელად „ჭიათურელი კომკავშირელი“.

გიორგი გამეზარდაშვილი

ნინო სოსელია:

მარეგულირებელი კომისია „ტექნომაქსის“ მიმართ მიზანდასახულ დევნას ახორციელებს

სატელეკომუნიკაციო მომსახურების პროდუქციის მომხმარებლისთვის უმთავრესი მიმზიდველი გარემოება მისი ხარისხი და ფასი რომაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მაღალი ხარისხი და აბონენტთა უმეტესი ნაწილისთვის მისაღები ფასი კი ბაზარზე მოქმედი კომპანიების თანაბარუფლებიანი, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მიიღწევა და არა რომელიმე ერთი ან რამდენიმე მოთამაშისთვის ხელოვნურად შექმნილ „სასათბურე“ ვითარებაში.

ამ ანბანურ ჭეშმარიტებებზე ლაპარაკი არც გვექნებოდა, რომ არა ერთი კონკრეტული ბოლოდროინდელი პრეცედენტი, რომელსაც ეროვნულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ახლადგამოჩენილი კომპანია შპს „ტექნომაქსი“ გადააწყდა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მხრიდან.

იგი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიაა და ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც საქართველოში ტელემაუწყებლობის ტრანზიტს ახორციელებს და ინტერნეტის მეშვეობით აბონენტებს უცხოურ სატელევიზიო არხებს აწვდის. ეს, ფაქტობრივად, ისეთივე სახეობის პროდუქტია, რომელსაც მომხმარებელი საკაბელო ტელევიზიებით იღებს. მსგავსი მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების პროდუქტისგან მას განსხვავებული ფასი თუ გამოარჩევს.

კომპანია „ტექნომაქსმა“ ავტორიზაცია კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დადგენილი წესით გაიარა და, შესაბამისად, მაუწყებლობის ტრანზიტის უფლება მიიღო. ისიც უნდა ითქვას, რომ იმის გარდა, რომ მომხმარებლისთვის ამ სერვისის მიწოდების მარეგულირებელი კომისიისგან უფლების მიღების გარდა საჭიროა ასევე იმ ტელეარხების მფლობელი კომპანიების ნებართვა, რომელთა მაუწყებლობის ტრანზიტი ხორციელდება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თუ რა პირობით მიიღებს კომპანია ამის უფლებას, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაში არ შედის. მაგალითისთვის უბრალოდ შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი არხების გავრცელების უფლება „ტექნომაქსს“ საქართველოს ყველა ტელეარხმა უსასყიდლოდ მიანიჭა. რაც შეეხება უცხოურ ტელეარხებს, მათი მფლობელი კომპანიებისგან „ტექნომაქსმა“ რამდენიმე პაკეტი შეიძინა. სათანადო დოკუმენტაცია, ცხადია, „ტექნომაქსმა“ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში წარადგინა, საქმიანობასაც შეუდგა, თუმცა მერე პრობლემები შეექმნა.

„ტექნომაქსის“ ადვოკატის ნინო სოსელიას თქმით, კომისიას ანალოგიური საქმიანობის განმხორციელებელმა „სილქ-TV“-მ და რამდენიმე სხვა კომპანიამ მიმართა, რომელთა განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ტელეარხების ტრანზიტის ექსკლუზიურ უფლებას ისინი ფლობდნენ და პრეტენზია გამოთქვეს, რომ თავისი საქმიანობით „ტექნომაქსი“ მათ უფლებებს არღვევდა, ვინაიდან ამის ნებართვის მისაღებად მათთვის არ მიუმართავს.

ამ შემთხვევაში საგულისხმო ის არის, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას არ შეუმოწმებია სინამდვილეში მართლა ფლობდნენ თუ არა „ტექნომაქსის“ მომჩივანი კომპანიები ასეთ ექსკლუზიურ უფლებას იმ მარტივი მიზეზით, რომ მსგავსი დოკუმენტაცია, როგორც ჩანს... ბუნებაში არ არსებობს – არის მხოლოდ მარტივი ელექტრონული მიმოწერა, რომლის შექმნა ნებისმიერ დაინტერესებულ სუბიექტს თავისუფლად შეუძლია. ამდენად, მას არანაირი იურიდიული ძალა არა აქვს.

ამის მიუხედავად, მომჩივანთა განცხადების საფუძველზე კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ „ტექნომაქსის„ მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო. იქ ჩათვალეს, რომ „ტექნომაქსის“ მიერ წარდგენილი სავსებით სრულფასოვანი იურიდიული დოკუმენტაცია არასაკმარისია, ამდენად, მას უცხოური ტელეარხების ტრანზიტის უფლება არა აქვს, მაუწყებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტაც დაავალა და გაფრთხილებაც მისცა. ბუნებრივია, აღნიშნული გადაწყვეტილება „ტექნომაქსმა“ სასამართლოში გაასაჩივრა და ისიც მოითხოვა, რომ ვიდრე მხარეთა დავაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ დადგებოდა, მისთვის გაფრთხილება და მაუწყებლობის შეჩერების დადგენილება შეეჩერებინა. **„ტექნომაქსის“ ეს მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა და მარეგულირებელი კომისიის აღნიშნული აქტი შეაჩერა.**

ქალბატონ სოსელიას თქმით, სწორედ აქ გვაქვს საქმე ძალიან მნიშვნელოვან სამართალდარღვევასთან, რომელიც მარეგულირებელმა კომისიამ ჩაიდინა: მას „ტექნომაქსის“ დაჯარიმების უფლება შეჩერებული აქტის პირობებში არ ჰქონდა, რადგან ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონიერების სრული დაცვით იქნა მიღებული. ამის მიუხედავად, მარეგულირებელმა კომისიამ, სრულიად გაურკვეველი თვითდაჯერებულობით, რატომღაც გადაწყვიტა, რომ მისი უფლებამოსილება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობაზე მაღლა დგას, არადა, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. მან განაგრძო „ტექნომაქსის“ ადმინისტრაციული საქმის წარმოება და 5 ათასი ლარით დააჯარიმა, თანაც კიდევ ერთხელ მოსთხოვა მაუწყებლობის შეჩერება. სავსებით გასაგებია, რომ „ტექნომაქსმა“ ეს გადაწყვეტილებაც სასამართლოში გაასაჩივრა და ასევე მისი შეჩერება მოითხოვა.

– საქმის ლოგიკიდან გამომდინარე, ჩვენ სავსებით საფუძვლიანად იმედი გვაქვს, რომ სასამართლო ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და შეაჩერებს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უკანონო გადაწყვეტილებას, თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და ვერდიქტს დაველოდოთ, – თქვა ბოლოს „ტექნომაქსის“ ადვოკატმა ნინო სოსელიამ. – თუმცა ისიცაა, რომ „ტექნომაქსის“ მიმართ მარეგულირებელი კომისია თანმიმდევრულ, მიზანდასახულ დევნას ახორციელებს, რის მიზეზი პირადად ჩემთვის სრულიად გაურკვეველია.

ოთარ ტურაბელიძე

დიდი სამამულო

9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

2011 წელს, საქართველოს ე. წ. დამოუკიდებლობის შემდგომ ისტორიაში, ოფიციოზის მხრიდან პირველად იყო მცდელობა, რომ საზოგადოებისთვის თავსმოეხვია აზრი, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე არა 9 მაისს გვეზეიმა, როგორც აქამდე ვზეიმობდით, არამედ 8 მაისს, როგორც ამას დანარჩენი "ცივილიზებული მსოფლიო" აღნიშნავს...

არა და არა, შინაურ-გარეულო ისტორიის გამყალბებელო ბატონებო და ქალბატონებო! საბჭოთა კავშირში არასოდეს უზეიმიათ ე. წ. მეორე მსოფლიო ომის დასრულება, რადგანაც, რაც "განათლებული და დემოკრატიული" დასავლეთისთვის ბანალურად, უჯიგროდ ჟღერადი "მეორე მსოფლიო ომია", ჩვენთვის, "გაუნათლებელი და ბნელი" პოსტსაბჭოელებისთვის", რომლებმაც სტალინის გენიალური სარდლობით ლომის წილი დავიდეთ ფაშიზმის განადგურებაში, ის ომი იყო, არის და იქნება დიდი სამამულო ომი! და სწორედ დიდ სამამულო ომში (როგორც სტალინმა უწოდა ამ ომს) გამარჯვებას ვზეიმობდით 9 მაისს და მომავალშიც ასევე ვიზეიმებთ!

გასათვალისწინებელია ისიც, თუ მოკავშირეთაგან ვინ რა „ფასი გადაიხადა" ამ გამარჯვებისთვის, - აშშ-მა დაახლოებით 250 ათასი ჯარისკაცი, ხოლო ინგლისმა ამაზე ოდნავ მეტი. სსრკ-მა კი, უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე მიიტანა გამარჯვების სამსხვერპლოზე. თუნდაც ამ აშკარად "სასაცილო სხვაობის" გამო, არა თუ ეკუთვნოდა საბჭოეთს გამარჯვების თარიღის ცალკე დაწესება-აღნიშვნა, არამედ მოვალეც კი იყო გენერალისიმუსი, ამითაც გაესვა ხაზი და განსაკუთრებული პატივი მიეგო დაღუპულთა ხსოვნისთვის!

თუმცა, საერთოდ რაზეა და ვის თანაბარ დამსახურებაზეა ლაპარაკი, როდესაც პატარა საქართველომაც კი რაოდენობრივად ბევრად მეტი, 400 ათასამდე ვაჟკაცი, შესწირა ფაშიზმზე გამარჯვებას, ვიდრე აშშ-ინგლისმა.

საბჭოეთის მოკავშირეებმა მეორე ფრონტის გახსნა მხოლოდ მაშინ იკადრეს, როდესაც გერმანიის დამარცხება მათ გარეშეც გარდაუვალი გახდა, რათა ომის შემდგომ ევროპაში "ტორტის გაყოფის" დროს მსუყე ნაჭერი მათაც დაეთრიათ...

აშშ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღესაც ჯიუტად ცდილობს, რომ ფაშიზმზე გამარჯვების ლომის წილი ისტორიის გაყალბებით მიიწეროს - ჰოლივუდში გადაღებული ფილმებიც იმას უმტკიცებენ მსოფლიოს, რომ თითქოს ჰიტლერული გერმანია მხოლოდ "რიგით რაიანებს" დაემარცხებინოთ და წითელი არმია ლამის არაფერ შუაში იყო.

არადა, იმ დროს, როდესაც მოსკოვსა თუ სტალინგრადთან, კურსკში ომის ბედი წყდებოდა, ნიუ-იორკის ბარ-რესტორნებში ისე უბერავდნენ ამერიკელი ჯაზმენები, რომ ომისა არაფერი ეტყობოდათ.

ის ყბადაღებული "ლენდლიზიც", რითაც სსრკ-ს ეხმარებოდნენ, პირველ რიგში საკუთარი ეკონომიკის დახმარება იყო. ეკონომიკის, რომელმაც ე. წ. დიდი დეპრესიის შემდეგ პირველად სწორედ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო აღმასვლა და ომის შემდგომ ნანგრევებადქცეული ევროპის აღდგენაში "დახმარებით" ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, შავი დედალივით გაკეთდნენ, მდიდრდებოდნენ და მდიდრდებოდნენ...

ინგლისი? - იშვიათი გამონაკლისის გარდა (საუთჰემპტონი), ნაკლებად ეფექტურ ავიადაბომბვებს თუ არ ჩავთვლით, მაინცდამაინც მძიმედ არც ბრიტანეთი დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, 1945 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის სამეფო ავიაციამ მძინარე ლაიფციგი მიწასთან გაასწორა, რასაც ათი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების სიცოცხლე შეეწირა, ანუ მაშინ, როდესაც მესამე რეიხი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და, აქედან გამომდინარე, ასეთი ბარბაროსობის არანაირი სტრატეგიულ-ტაქტიკური აუცილებლობა არ იყო.

ამას დავუმატოთ უკვე პრაქტიკულად დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების მიერ ჩადენილი ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი და მერე ილაპარაკონ შინაურმა თუ გარეულმა "ჰუმანისტმა" ისტორიის გამყალბებლებმა სტალინის სისხლისმსმელობაზე.

– ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამაპაპები კომუნისტების ომში; გაემარჯვა ჰიტლერს, ახლა ბავარიულ ლუდს დავლევდით; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფეხი არ დაუდგამთ და ა.შ. - მსგავსი სერიოზულ-არასერიოზული სისულელეები, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის, დღეს უკვე ოდიოზური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავებში იშვა და მათივე ბაგეებიდან ხმიანდებოდა.

მიშნაცებმა, უბრალოდ, გააგრძელეს ეს ხაზი და ლაპარაკიდან საქმეებზე გადავიდნენ. საქმეებზე, რომელთაგან პირველი ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების ვანდალური აქტი იყო. მემორიალის, რომლის გახსნისას თავის დროზე პატარა სასწაული მოხდა - ათობით ჰაერში გაშვებული მტრედიდან ერთ-ერთმა "ირაო დაარტყა" და მემორიალის ავტორს, გენიალურ მერაბ ბერძენიშვილს მხარზე დააჯდა (!!!), რაც ღვთის სასიკეთო მინიშნება იყო უთუოდ.

ამ მემორიალის აფეთქებისას ორი ადამიანის - დედისა და უცოდველი ბავშვის - სიკვდილიც ღვთის მინიშნება იყო, რაც ყურად არ იღო მიშნაცების მანქურთმა ხელისუფლებამ და შემდეგი "ლიბერასტული" ნაბიჯი გადადგა - შუაღამისას მზაკვრულად მიაყენეს ამწეები სტალინის მონუმენტს გორში და ფაშიზმის განადგურების უპირველესი მსოფლიო შემოქმედის ძეგლი უკვალოდ გააქრეს...

აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რომ 9 მაისის 8 მაისით შეცვლაც მოინდომეს ამ ხლისტებმა?

* * *

არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც იმ უსასტიკეს ომში ახლობელი არ დაეკარგოს. ამ მხრივ არც ჩვენი ოჯახია გამონაკლისი და ახლა, რაც მამაჩემისგან მსმენია, იმას გიამბობთ...

1934 წელს მამაჩემის ბიძა თბილისის უნივერსიტეტში სრულიად მშვიდობიან, გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ამ დროს დაწყებულა პირადად სტალინის ინიციატივით კავშირის მასშტაბით "ვისოკი, კრასივი" ბიჭების "დავერბოვკება" მაშინ ჯერ კიდევ ახლადფეხადგმულ საბჭოთა ავიაციაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი "ვისოკი, კრასივი" 22 წლის ჭაბუკი გივი ჯორკოშვილიც აღმოჩნდა. მამაჩემის ბიძაც იმ არმიას შეუერთდა, რომელსაც შემდეგ "სტალინსკიე სოკოლებს" ეძახდნენ...

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი "ოტეც სოლდატაც" ჰყავდა - უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცი, რომელსაც მთელი მაშინდელი უნივერსიტეტიც და მთელი თბილისიც სიყვარულით ძია მოსეს ეძახდა და ამ სიყვარულის დასტურად ძია მოსეს 80 წლის იუბილე უნივერსიტეტის რექტორატმა მოგვიანებით საგანგებოდ აღნიშნა!

ჩემი დიდ-პაპა, ვისაც მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ სევდიანი ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა.

გივის ავიაპოლკი მოსკოვთან ახლოს, დაბა კლიაზმაში იყო დისლოცირებული, საიდანაც არაერთხელ გაჰყოლია მისი ავიაგამანადგურებლების ესკადრილია მძიმე ბომბდამშენებს დამცავ ესკორტად ბერლინის ღამეული დაბომბვებისას. დაბრუნებისას გივის წესად ჰქონია, უვნებლად დაბრუნება იქვე, კლიაზმაში მცხოვრები ულამაზესი ნინა სოსეიკინას სახლის თავზე უმაღლესი პილოტაჟის ტრიუკებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის.

ერთ-ერთი ასეთი "ტრიუკაჩობისას" შემთხვევით მისი გამანადგურებლის ფრთა მაღალ ალვის ხეს წამოსდებია, მანქანა მსუბუქად დაზიანებულა, გივი კი "მძიმედ" დაუსჯიათ - ხელფასიდან დაუქვითეს თვითმფრინავის რემონტის საფასური. ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა...

1944 წლის თებერვალში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრენილა 31-ე ქარხანაში და, სანამ მის თვითმფრინავს გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღე ქიზიყი მოუვლია, მოუნახულებია დიდი ხნის უნახავი ნათესავები თუ მეგობრები.

ძია მოსემ საკუთარ შვილს, თბილისში დაბრუნებულ გივის, დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ მაინც შეჰბედა და გლეხურად, ქიზიყურად უთხრა - შვილო, ე, ომი საცაა გათავდება, მაგათ უშენოდაც მაუგრეხენ კისერსა, აქ ერთი ცალხელა კაცია, ფულ თუ მისცემ, "პერედავოი აკოპიდან" ამაიყავს ხალხი. შენ აქა ხარ, მოდი ცოტა ფულ მივცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა...

– მაგას რას ამბობ მამიი (აღარ დაამთავრებინა თურმე გივიმ მამას სათქმელი), შენს გაზრდილს ეგ როგორ გამიბედე. მე იქ ჩემი ამხანაგები მელოდებიან, პარტიას, სტალინს აქვს ჩემი იმედიო და ის ორიოდე დღე, რაც მის გამგზავრებამდე იყო დარჩენილი, შვილს მამისთვის ხმა აღარ გაუცია და ასე, როგორც ქიზიყში იტყვიან, მამასთან, "უმძრახათ", წასულა ფრონტზე.

1944 წლის 4 ნოემბერს გივი ჯორკოშვილს ვიღაც გენერალი უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე. მისი თვითმფრინავი კი დივერსიის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ქიზიყელი "ღიმილის ბიჭის" ნეშტი კლიაზმის სასაფლაოზე განისვენებს.

მისგან სახსოვრად ძია მოსეს სამხედრო ქამარი, ხოლო მამაჩემს ლამაზი ბებუთი დარჩა და კიდევ დეპეშები, რომელთაც გივის დაღუპვის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში აგზავნიდა გივის ფრონტული სიყვარული, ულამაზესი ნინა სოსეიკინა გივის ჩვეული „ჰოჩერკით" - ჟივ, ზდოროვ, ცელიუ გივი"...

9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ წლისთავს გილოცავთ, უწინარესად, ომის ვეტერანებო, და შემდეგ სხვებსაც, ვისაც გჯერათ, რომ ის ომი დიახაც ჩვენი, დიდი სამამულო ომი იყო!..

დავით მხეიძე

მსოფლიო ბანკის ხიდზე

„ჩვენ. ჩვენი ბუნებით, ისტორიული ხალხი ვართ, რომლებიც წინ აღვუდექით საიდუმლო საზოგადოებას, საიდუმლო ორდენებს და დახურულ შეხვედრებს.

მთელ მსოფლიოს ეშუქრება მონოლითური, შეუბრალებელი შეთანხმება, რომელიც საიდუმლო საშუალებებით აფართოებს

ჯონ კენედი

თავისი გავლენის სფეროებს... და თავისუფლების მაგივრად შიშს თესავს.

ამ სისტემამ ადამიანთა დიდძალ მატერიალურ რესურსებს მოუყარა თავი, ააშენა მყარი, მაღალეფექტური მანქანა, რომელიც აბორციელებს სამხედრო, დიპლომატიურ, დაზვერვით, ეკონომიკურ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ოპერაციებს...

მე გთხოვთ დახმარებას ერთ მთავარ საქმეში – ამერიკელი ხალხის ინფორმირებულობასა და გაფრთხილებაში. მე მჯერა, ვიქნებით ისეთი, როგორიც დავიბადეთ – თავისუფალნი და არა გამყიდველები და ვინმეზე დამოკიდებულნი“.

ეს გახლავთ **ჯონ კენედის** უკანასკნელი გამოსვლის სიტყვები, რომლის შედეგადაც ის სიცოცხლეს გამოსალმეს.

ყველაფერი კი დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ჯერ მე-18 ს. გადავხედოთ. 1700-იან წლებში ამერიკა რევოლუციამ მოიცვა. ამერიკელი კოლონისტები გამოყოფას ითხოვდნენ მონარქიისგან გასათავისუფლებლად. პრინციპში, რევოლუციის მიზეზი ბევრი რამ გახდა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მთავარი გახლდათ ის, რომ ინგლისის მეფე გეორგ III დამოუკიდებელი სავალუტო პროცენტები აკრძალა, რასაც ამერიკელი კოლონისტები იყენებდნენ. შედეგად, საჭირო გახდა თანხის გადახურდავება ამერიკის ცენტრალურ ბანკში, რაც კოლონიას სესხის კაბალურ მდგომარეობაში აგდებდა.

1783 წელს ამერიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და დაიწყო ბრძოლა ფედერალურ ბანკთან და სავალუტო ბირჟასთან.

რას წარმოადგენს ცენტრალური ბანკი?

ეს ინსტიტუტია, რომელიც გამოსცემს ვალუტას მთელი ქვეყნისთვის.

მისი ფუნქცია ორ ნაწილად იყოფა: ის აკონტროლებს დადგენილ საკრედიტო პროცენტებს და ინფლაციას.

ის გასცემს სესხს პროცენტებით, შემდეგ ამცირებს ფულად მასას, რითაც მართავს ვალუტის გამოცემის სიმყარეს.

თუკი ცენტრალურმა ბანკმა გამოსცა 1 დოლარი, გასცა ის სესხად პროცენტით, გამოდის, რომ ამ დოლარს ემატება პროცენტი, რომელიც უნდა დაუბრუნდეს მფლობელს ასევე დოლარის ვალუტაში. რამდენადაც ცენტრალური ბანკი სახელმწიფო ფულადი ერთეულის გამოშვების მონოპოლიას ფლობს, და ის თოთოეულ დოლარზე ითხოვს სესხის პროცენტს. საიდან უნდა გაჩნდეს ფული სესხის დასაფარად? ისევ და ისევ ცენტრალური ბანკიდან! ეს ნიშნავს, რომ ცენტრალურმა ბანკმა მუდმივად უნდა გამოსცეს ახალი ფულადი ერთეულები, რომ გადაფაროს გაცემული სესხები და ეს კიდევ უფრო ზრდის სესხების რაოდენობას. ახალი ფული ისევ ითხოვს სასესხო პროცენტს. ამ სისტემის შედეგი არის მონობა, ვერც ადამიანები და ვერც ქვეყნები ვერ ახერხებენ თავის დახსნას ვალებისგან.

ასეთ მდგომარეობაშია საქართველო საერთაშორისო სავალუტო ბანკის შემოსვლის დღიდან... მაგრამ მივყვეთ მოვლენებს.

მე-20 ს-ის დასაწყისში აშშ-ში შეძლეს შეექნათ რამდენიმე ფინანსური სისტემა ცენტრალური ბანკის საწყისებზე, რაშიც მოტყუებით ჩართეს ბანკირები. იმ ხანებში საბანკო სისტემების მთავარი კლანის მეთაურები როკფელერები, მორგანები, ვარბურგები და როტშილდები გახლდნენ.

მათ შეძლეს და მოახერხეს კანონის მანიპულირება და შექმნეს კიდევ ერთი ცენტრალური ბანკი.

მათ იცოდნენ, რომ ხელისუფლება და ხალხი ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი ამ ინსტიტუტის მიმართ და სჭირდებოდათ პრეცედენტი, გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ აზრზე.

ჯონ მორგანმა, რომელიც ფინანსურ ხელმწიფედ ითვლებოდა, გამოიყენმა თავისი გავლენები და გაავრცელა ხმები, რომ ერთ-ერთი ცნობილი ნიუიორკული ბანკი გაბანკროტების ზღვარზე იყო. მოსახლეობამ თავიანთი ფულის დაკარგვის შიშით მასიურად დაიწყეს ბანკებიდან თანხების გამოტანა. ბანკები იძულებულნი გახდნენ, ფული უკან დაებრუნებინათ.

1907 წელს კონგრესში კომისია შეიკრიბა, რომელიც კრიზისის შედეგებს იკვლევდა. კომისიის თავმჯდომარედ სენატორი **ნელსონ ოლდრიჯი** დაინიშნა. ის პირად კავშირებში იყო საბანკო კარტელებთან და შემდეგ თავადაც გახდა როკფელერების ოჯახის წევრი ქორწინების საფუძველზე.

კომისიამ რეკომენდაცია გასცა შექმნილიყო ცენტრალური ბანკი, ფინანსურ პანიკას რომ გაქცეოდნენ. ეს იყო პირველი სერიოზული ბიძგი იქითკენ, რომ

პირველი ფედერალური ბანკი

საერთაშორისო ბანკირებს მოეხერხებინათ თავიანთი გეგმების შესრულება.

1910 წელს დახურული შეხვედრა გაიმართა მორგანის მიერ ნაყიდ კუნძულ ჯეკილზე (JEKYLL). იქვე შეიქმნა კანონ-პროექტი, რომელიც იქცა საკანონმდებლო აქტად ფედერალური რეზერვებისთვის.

შეხვედრა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ, ნიღბებით ისხდნენ და საკუთარ სახელებსა და გვარებსაც არ ამჟღავნებდნენ.

კანონ-პროექტი თავიანთ პროტეჟეს სენატორ ნელსონ ოლდრიჯს გადასცეს კონგრესისთვის წარსადგენად.

1913 წელს, ბანკირების მხარდაჭერით, პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი გახდა.

შობამდე ორი დღით ადრე, როცა კონგრესმენთა უმრავლესობა ოჯახებთან ერთად აპირებდა დღესასწაულს შეხვედროდა, შედგა ხმის მიცემის პროცედურა ფედერალური რეზერვების ლეგიტიმაციის თაობაზე.

ვუდრო ვილსონმა კანონს ხელი მოაწერა. ერთი წლის შემდეგ კი იგივე ვილსონმა სინანულით აღიარა: „ჩვენი ძალაუფლება ხელში უვარდება რამდენიმე ადამიანს, რომლებიც პატიოსანი რომ ყოფილიყვნენ, იმოქმედებდნენ ხალხის ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ აღტყინებულნი არიან საკუთარი ბიზნესინტერესებით და მეტი ფულის მოზიდვით, რაც მოქმედების ბუნების მიხედვით ანადგურებს ეკონომიკურ თავისუფლებას.

ჩვენ ცივილიზებულ სამყაროში ყველაზე უუფლებო, უკონტროლო ხელისუფლების ქვეშ მოვექეცით. ეს არ არის ხალხის ნებით არჩეული ძალაუფლება, ეს არის ერთი პატარა ჯგუფის მიერ დასმული მმართველობა“.

1914-19 წ.წ. ფედერალურმა ბანკმა გაზარდა ფულადი მასა თითქმის 100 %-ით და შედეგად მიიღო უზარმაზარი მოგება წვრილი ბანკებისგან.

1920 წელს მოითხოვეს ინკასაცია, ბანკებმა დაიწყეს სესხების დაფარვა. 1907 წლის მოვლენები კვლავ განმეორდა.

თითქმის 5 400 კონკურენტი



ვუდრო ვილსონი

ბანკი ფედერალური ბანკის ამ ოპერაციით გაბანკროტდა.

ეს იყო კიდევ ერთი საფეხური საერთაშორისო ბანკირების მონოპოლიზაციისკენ.

1921-28 წლებში ფედერალურმა ბანკმა კვლავ გაზარდა ფულადი მასა, აქციათა ბაზარზე ახლა კრედიტიც გამოჩნდა ე. წ. საბანკო მარჟა. თუ ფასიანი აქციების 10 % გადაეცემოდა მარჟას, 90 % ბროკერს უნდა დარჩენოდა. ცოტა ხანში სამარჟო გადასახადზე მოთხოვნა გაიზარდა, რამაც ბანკების ადრინდელი სქემით გაკოტრება გამოიწვია. 16 000 ბანკმა საშინელი კრახი განიცადა. ისინი საერთაშორისო ბანკს სთხოვდნენ, გროშებად შეესყიდათ არა მხოლოდ მათი ბანკები, არამედ მათ მფლობელობაში არსებული მსხვილი კომპანიები.

არის ფული, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფო და არის სტრუქტურა, რომელიც მის ფასს აწესებს. ამ სტრუქტურას შეუძლია მუხლებზე დააჩოქოს სახელმწიფო და მისი ეკონომიკა.

როგორც თქვა **ამშელ როტშილდმა** – მომეცით მე ფულის გამოშვების კონტროლის შესაძლებლობა და ვინც უნდა, იმან წეროს კანონებიო.

ფედერალური რეზერვი ეს არის კორპორაცია. ის მუშაობს საკუთარი კანონებით და არ მიეკუთვნება აშშ-ს ხელისუფლებას. ის ასესხებს ხელისუფლების ფულს პროცენტებით და ცენტრალური ბანკის მაქინაციების პირდაპირ კოპირებას აწარმოებს, რისგან გათავისუფლებასაც არაერთხელ ითხოვდა ამერიკის მოსახლეობა გაფიცვებითა და რევოლუციებით.

ბანკების გარდა ადამიანთა მართვის საშუალება ომებია. 1913 წლიდან ფედერალური რეზერვის შექმნის პერიოდიდან პროვოცირებული იქნა რამდენიმე პატარა და დიდი ომი. მათ შორის, I მსოფლიო, II მსოფლიო და ვიეტნამის ომები.

1914 წელს დაიწყო ომი გერმანიასა და ინგლისს შორის.

ამერიკელ ხალხს არ სურდა ამ ომში ჩარევა.

პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. მაგრამ კულისებში აშშ-ის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა, რომ ამ ომში ჩართულიყო.

სახელმწიფო მდივანი **უილიამ ჯენინგსი** ამბობდა: მსხვილი ბანკები სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი მსოფლიო ომით, რადგან ეს იძლეოდა დიდი მოგების საშუალებასო.

საინტერესოა, ვიცოდეთ, რომ საერთაშორისო ბანკირებისთვის ომი, ეს არის ყველაზე შემოსავლიანი საშუალება, რამდენადაც ეს აიძულებს სახელმწიფოებს ცენტრალური ბანკებიდან მეტი თანხა აიღონ. გაიხსენეთ, მეგობ-



Джон Рокфеллер в разные годы своей жизни

რებო, 2008 წელს პროვოცირებული ომი, რომლის შემდეგაც დიდძალი თანხები გამოიგზავნა ხელისუფლების დასახმარებლად და ომის შედეგების სალიკვიდაციოდ...

I მსოფლიო ომს 3 250 000 ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა.

ჯონ როკფელერმა კი ამ ომიდან 200 მლნ დოლარის მოგება ნახა.

1941 წელს 7 ივნისს იაპონიამ იერიში მიიტანა ამერიკულ ფლოტზე, რაც გახდა ომის მიზეზი. შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეს იყო უბრალო პროვოკაცია.

რუზველტი, რომლის ბაბუა ფედერალური რეზერვების საბჭოს წევრი გახლდათ, ყველანაირად ცდილობდა, გამოეწვია იაპონიის აგრესია – მან შეწყვიტა ნავთობის მიწოდება ამერიკიდან იაპონიისკენ, გაყინა ყველა იაპონური აქტივები აშშ-ში, განაცხადა, რომ აღმოუჩენდა სამხედრო დახმარებას დიდ ბრიტანეთს.

ამერიკის მოსახლეობის 85%-ს ომში ჩართვა არ სურდა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ მილიონი ამერიკელი ჩაეწერა მოხალისედ.

თავის სამხედრო ძლიერებას გერმანია ორ ორგანიზაციას უნდა უმადლოდეს. ერთი მათგანი I.G.FARBEN-ი 84 % გერმანულ ასაფეთქებელ საშუალებებს აწარმოებდა, ასევე ციკლონ B-ს, რომლითაც მილიონობით ადამიანი განადგურდა საკონცენტრაციო ბანაკებში. I.G.FARBEN-ის ერთ-ერთ საიდუმლო პარტნიორად ჯონ როკფელერის ამერიკული „სტანდარტ-ოილ-კომპანი“ ითვლება.

ნაცისტური ავიაციის მიერ ლონდონის დაბომბვა სწორედ „სტანდარტ-ოილ-კომპანის“ ხელშეწყობით მოხდა.

გერმანული ფაშიზმის მხარდამჭერი მეორე მსხვილი ორგანიზაცია „იუნიონ ბანკინგი“ არა მხოლოდ აფინანსებდა ჰიტლერის მოსვლას ხელისუფლებაში, არამედ ის ეხმარებოდა მას ომის გაჩაღებაში. შემდგომში აღმოჩნდა კიდევაც ჰიტლერის ანგარიშებზე დიდძალი თანხები.

„იუნიონ ბანკინგი“ უნდა დაესაჯათ საბანკო კანონების დარღვევისთვის, მაგრამ ვინ იყო იმ პერიოდში კომპანიის დირექტორი და ვიცე-პრეზიდენტი? – ეს გახლდათ **პრეზიდენტ ბუში, ჯორჯ ბუშის** ბაბუა, **ბუში-უფროსის** მამა.

კიდევ მეტი, 1964-ში ამერიკის მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამისადმი ოფიციალურად გამოცხადებულ ომამდე ინციდენტი მოხდა. ვიეტნამის წყალქვეშა ნავებმა იერიში მიიტანეს აშშ-ზე დანკინსის ყურეში. ეს გახდა საომარი მოქმედებების დაწყების მიზეზი. თუმცა ამერიკელებისადმი იერიშის ფაქტი არ დადასტურდა. ეს იყო ასევე პროვოცირებული უთანხმოება ომის გამოსაწვევად.

აშშ-ის ყოფილმა სამხედრო მინისტრმა **რობერტ მაკნამარამ** წლების შემდეგ თქვა კიდევაც, რომ დანკინსის ინციდენტი შეცდომა იყო. ომში ჩართულმა გავლენიანმა პირებმაც აღიარეს შემდეგ, რომ ისინი მოტყუებით ჩართეს ამ კონფლიქტში.

ომთან ერთად დაიწყო ბიზნესიც.

1966 წლის ოქტომბერში **ლინდონ ჯონსონმა** ხელი მოაწერა რუსეთთან ვაჭრობის შეზღუდვას, უკვე ცხადი იყო, ჩრდილოეთ ვიეტნამში საბრძოლო ტექნიკის 80 % რუსეთიდან შემოდიოდა.

დევიდ როკფელერი რუსული ქარხნების ფინანსური შემოსავლებით დაინტერესდა...

ვიეტნამის ომი იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამ ომში გამარჯვება არ ყოფილა ამერიკის მიზანი. ეს ომი გახლდათ მოგების საშუალება 58 000 ამერიკელისა და 3 000 000 ვიეტნამელის სიცოცხლის ხარჯზე.

თვით ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასევე ძნელია მოიძებნოს მიზეზები ერაყისა და ავღანეთის ომებისა, 11 სექტემბრის ტრაგედიისა, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი ომის დასაწყისი უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს ომი უკვე დაწყებულია – ომი თითოეული ჩვენგანის წინააღმდეგ.

იდეოლოგიური კამპანია, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება აწარმოებს მოსახლეობის ტვინების გამორეცხვის მეთოდით, დუმს იმაზე, რომ ნებისმიერი ამერიკელის სახლი ორდერის გარეშე შეუძლია გაჩხრიკოს ფედერალურმა სამსახურმა, დაგაპატიმრონ ბრალის წაყენების გარეშე და მოგისაჯონ სასჯელის ნებისმიერი ვადა ადვოკატის გარეშე, გაწამონ საპატიმროებში და გამოგაცხადონ გიჟად ანტერორისტად.

ზუსტად იგივე მეთოდებით იჭრებოდნენ ჩვენს ბინებში ნაციონალები, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ ადამიანებს ვითომდა კანონის საფუძველზე.

„აგრესია ემუქრება... ყველას, მათ შორის ბავშვებს, ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩვენი ქვეყნის სადაცავად“, – სააკაშვილი? – არა. ჯორჯ ბუში? – არა, **ადოლფ ჰიტლერმა** თქვა ეს გესტაპოს შექმნის მიზეზებზე საუბრისას.

ფრანკლინ დელანო რუზველტი

მე მგონი, ხედავთ ტირანებთან ანალოგიებს...

* * *

რაც დრო გადის, მით უფრო მცირდება განათლების დონე მსოფლიოში, ეს ტენდენცია თვალშისაცემი გახდა მას შემდეგ, რაც ე. წ. სახალხო სკოლები დაარსდა.

დააკვირდით იმ სკოლებს, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს. სწავლების დონე უფრო და უფრო დაბლა ეცემა. მისთვის არაა საჭირო, განათლებული თაობები, არ მოსწონთ, როცა ადამიანი ბევრს ფიქრობს, ამიტომაცაა, რომ მთელ მსოფლიოში გასართობი ინდუსტრია ჰყვავის და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებზე მეტი დრო და თანხა გასართობ შოუ-პროგრამებს ეთმობა.

მსოფლიოში უკვე 3% კითხულობს წიგნებს, 15 % გაზეთებს და ყველანაირ ცოდნას იღებენ წყეული ყუთებიდან, საიდანაც სიცრუე ნიაღვარივით მოედინება.

* * *

არა მგონია, ქართველი ჟურნალისტების უმრავლესობამ იცოდეს ამის შესახებ, რომ 2005 წელს კანადას, მექსიკასა და აშშ-ს შორის ხალხისგან საიდუმლოდ შეთანხმება შედგა. შეთანხმება ითვალისწინებდა კანადის, მექსიკასა და აშშ-ს გაერთიანებას საზღვრების გარეშე. გაერთიანებას ეწოდა ჩრდილო-ამერიკული კავშირი.

პრეზიდენტ ბუში და ჯორჯ ბუში (უფროსი)

ბუშის ადმინისტრაციამ საზღვრების გახსნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამერიკელი ხალხისა და კონგრესის თანხმობის გარეშე მიიღო.

ეს არ გახლდათ სავაჭრო შეთანხმება, ეს იყო ამ ქვეყნების დამოუკიდებლობაზე უარის თქმა, რაც წინაპირობა გახდა ახალი ვალუტის – ამერას გაჩენის!

ჩრდილო ამერიკული კავშირი ანალოგია ევროკავშირის, აფრიკის და მოსალოდნელი აზიის ქვეყნების კავშირისა. მათ უკან ერთი და იგივე ხალხი დგას. საჭირო შემთხვევაშია, შეიძლება, შეიქმნას სამხრეთ ამერიკული, აფრიკული და აზიური კავშირების გაერთიანება ერთ კავშირად...

კითხვაზე, რაში სჭირდებათ ომები, სისხლისღვრა, საწვავის ახალი წყაროების ხელში ჩაგდება და ა.შ. როცა ისედაც უდიდესი სიმდიდრის მფლობელნი არიან? როკფელერის ოჯახის წევრმა ასეთი პასუხი გასცა: სხვაზე რას ფიქრობთ. საკუთარ ოჯახზე იფიქრეთ, ნუ გაინტერესებთ ხალხი, ქვეყანა. სულ მალე შევქმნით იდენტიფიკაციის ჩიპებს, ყველანაირი თანხა მიბმული იქნება ამ ჩიპზე, ვინც პროტესტს გამოთქვამს, გამოვურთავთ ჩიპს და მას უსარგებლო არსებად ვაქცევთ“.

ჩიპები უკვე არის დამონტაჟებული ახალგამოშვებულ ამერიკულ პასპორტებზე, რომელიც ამერიკის მოქალაქეებს ეძლევათ.

ბოლო ეტაპი ჩიპის ინპლანტაციაა, რაზეც, „საერთო გაზეთი“ წლების წინ წერდა.

როგორც ამერიკელი სპეციალისტები ირწმუნებიან, ჩიპის საშუალებით თითოეული ადამიანის მანიპულირება შეიძლება, საჭიროების მიხედვით, პლანეტის ნებისმიერ ადგილას.

მაგრამ მანამდე, სანამ ამ გეგმის განხორციელებას შეუდგებოდნენ, ჯორჯიის შტატში აღმართულ სკულპტურაზე მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე 10 არაჩვეულებრივი გზავნილი ამოტვიფრა უჩინარმა ხელმა.

ერთ-ერთი სენტენცია ასე ჟღერს: დედამიწაზე არ უნდა ცხოვრობდეს 500 მილიონ ადამიანზე მეტი. დანარჩენის ადგილი დედამიწაზე არაა.

არავინ იცის, ვინ ააგო ეს მონუმენტი. ცნობა ამის შესახებ განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულია, მაგრამ მკვლევართა დიდი ნაწილი არ გამორიცხავს, რომ მშენებლობა დააფინანსა მსოფლიო საფინანსო ელიტის წარმომადგენლებმა, რათა ეს არაჩვეულებრივი გზანვილი ყოფილიყო როგორც ათი მცნება ახალი მსოფლიო წესრიგისთვის.

მომზადებულია https://www.youtube.com/watch?v=yvmhdBmEplw-ის მასალების მიხედვით

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
(გაგრძელება იქნება)

რომან გვასალიას ხსოვნას

რომან გვასალიას პიროვნებას თუ ვინმე მიესადაგება ლიტერატურულ პერსონაჟთაგან ოდნავად, უწინარესად, ჯეკ ლონდონის „მექსიკელის“ გმირია, რომელიც რევოლუციის გადასარჩენად გადის რინგზე. მანამდე უბრალო სავარჯიშო ბალიშის მაგივრობას უწევს მოკრივეებს. მას ურტყამენ გამეტებით, მიეჩვევა თავის ოსტატურად დაცვას, რადგან თვითონ მუშტის შებრუნების უფლება არა აქვს. ჰოდა, როცა რევოლუციის იარაღის შესაძენი ფულისთვის გავა რინგზე, მომაკვდინებელი ნოკაუტით მოუგებს ორთაბრძოლას აქამდე ყოყლოჩინა ბღენძს, ხელის დაკარების უფლებაწართმეულს რომ ალილავებდა და ალილავებდა სადისტური ნეტარებით.

არსობრივად ემსგავსება რომან გვასალია „მექსიკელის“ პერსონაჟს-თქო, ვახსენეთ ზემორე და ეს ნათესაობა, უწინარესად, მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვაა, ამ შემთხვევაში, კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების ქომაგობა, შინ თუ გარეთ.

საბჭოური სამართალდამცავი ორგანოების მუშაკი თავადვე ჩამოშორდება ეპოლეტებს, ჩინ-მედლებს, პრივილიგიებს და მარჩენალ მამაპაპისეულ მიწას და მთელი არსებით გადაეშვება ერის სილიერ მდუღარებაში.

ყველაფერი მისი და მისი ოჯახის თვალწინ ჩაივლის, საყოველთაო ეროვნული აღზევება, ისტორიული რეფერენდუმი, ერის კონსოლიდაცია მიმინოსავით ჟღალი დროშის გარშემო, დაბოლოს, სულგაყიდული ხალხის მოღალატეობით განცდილი დღემდე

მოურჩენელი მარცხი; ხელოვნურად ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი, ეროვნული დაუმორჩილებლობა.

სულ ეროვნული თანხმობის აუცილებლობას, სულ ეროვნული კონსოლიდაციისკენ და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მოუწოდებდა დიდ-პატარას, მართალ-ბრალეულს ბატონი რომან გვასალია, მეტის დახანებას არ გვაპატიებს მომავალიო, აი, ამ სიტყვების არგუმენტაციით. ამისკენ აგეზიანებდა იგი თავის სულისდგმა მემკვიდრეს, მის აურაცხელ საძმოს...

და აი, ახლა, თითქოსდა ამ სულის მოთქმის ჟამს, სრულიად მოულოდნელად თავს დაატყდებათ ტრაგედია გვასალიებს. ბატონი რომანი, ყანაში შეუსვენებლად რომ მუშაობდა, სიმღერით რომ იქარვებდა ჭირ-ვარამს; ნათამადარი ხარისთავების და ბეჭების ყორე რომ ედგა ეზოში, სამარშინიანი ნაბიჯებით, ამიერიდან, ძველებურად არ მიეახლება ჭიშკართან მობრძანებულ სტუმარს. შვილის თავგადასვლებით მოსართებულმა მიკროინფარქტმა, რომელსაც სულმუდამ მალავდა ახლობლებში, მის გაუბზარავ, ფოლადივით გულს, ბოლოს და ბოლოს, ლიბო გამოაცალა.

მიდგნენ და მოდგნენ. თითქოს გამოსტაცეს აშკარა სიკვდილს ფარული სისხლდენით ზეზეურად ჩამოღვენთილი კაცი. მალე კერიასაც მოუბრუნდება ჩვეული ღიმილით გაბრწყინებული რომან გვასალია, გაიხარებს შვილიშვილების ჟრიამულით. მოინახულებს მარჩენალ მიწებს. ეამება, დროულად რომ მოუხნავთ უმისობისას. გასხლულ ვენახს, ნაპატრონებ ხეხილს მოავლებს კმაყოფილ მზერას. სიამაყით შეიცნობს ვაჟიშვილის თანადროული მარჯვენას ამ ნაჯაფარში. ნარდის თამაშითაც იჯერებს გულს მეზობლებთან, ნათესავებთან და კვლავაც თავისი ეზო-კარის მოსახილველად გასული მითვლემს ბუნების წიაღში ყველასგან უჩუმრად, მიძილდიდდება, მიმარადისდება.

და ამინ სუფევა თქვენი, ბატონო რომან, მართალო კაცო მტერთან და მოყვარესთან, ერისკაცების ღირსეულო მასპინძელო და ქომაგო ნიადაგ; თავადაც ერის დაუბინდველ ხსომიერებაში დაბინადრებულო აწ და მარადის!

იღუმენია ანა (მუსელიანი), მეუფე გრიგოლი, მამა კირიონი (დარასელია), მამა ილია (ლომაია), ოთარ ფაცაცია, ფრიდონ თოდუა, გიორგი გაჩეჩილაძე, გურამ აბსანძე, ვალიკო აბსანძე, ბონდო ჯიქია, დემურ გადელია, ბაკურ გულუა, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ვახტანგ ცხადაია, ირინა ტალიაშვილი, მურმან ზაქარაია, დავით ზაქარაია, კობა არაბული, გიორგი სიჭინავა, ჯემალ შონია, დავით ქობალია, ზაურ ჩქვანავა, ზაზა ჩქვანავა, ზაურ მოლაშხია, ბორის კალაბდია, ირაკლი კალანდია, ტარიელ გელანტია, ლოთი ქობალია, სოსო ლაგვილავა, ედემ კვირტია, ვალერი გაბელია, გურამ წულაია, ლევან მებონია, გია ხუბუა, ნუგზარ სართანია, ლევან ქეცბაია, ელგუჯა თავბერიძე, როსტომ ჩხეიძე, ელგუჯა მარღია, ზაურ კვარაცხელია, ზურაბ ცხონდია, ზეინაბ სარია, მამუკა ციმინტია, გელა მამფორია, კოტე გურგულიანი, გია ჯიჭონაია, ვახტანგ მიშველია, ანგულ მიქავა, ბეჟან ნადარაია, დავით პაჭკორია, ლევან ფანჩვიძე, ზაურ ნაჭყებია, სოსო სიგუა, ალეკო გაბელაია, შუკო ჯიქია, ვახტანგ ხარჩილავა, გური ოტობაია.

კაცი „მიწისქვეშა წიგნების სივრციდან“

გარდაიცვალა შესანიშნავი პოეტი და მწიგნობარი, პუბლიცისტი და მოღვაწე, რომელიც განუწყვეტლად ფიქრობდა ქვეყნისა და მწერლობის ბედზე...

იგი იყო მწერალთა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საინიციატივო ჯგუფის წევრი...

მას გული ატკინა აკადემიის მოქმედების შეჩერებამ და კვლავ გადაინაცვლა „მიწისქვეშა წიგნების სივრცეში“, როგორც თვითონ ამბობდა იუმორით...

ჩვენ ერთად მოვამზადეთ პროფესიონალ მწერალთა დაცვის ფონდის პროექტი, რომელიც დაამტკიცა იუსტიციის სამინისტრომ და ახლა პარლამენტში განიხილება მისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭების საკითხი...

ავთო მოუთმენლად ელოდებოდა იმ დღეს, როდესაც მწერლებს დაუბრუნდებოდა წართმეული შენობები და ქუჩიდან გადაინაცვლებდნენ ისტორიულ სახლში, საიდანაც ისინი ნაცების ფაშისტურმა რეჟიმმა განდევნა და სადაც დღემდე სააკაშვილ-რურუას დასმული „ბორდია“ განთავსებული.

იგი წუხდა მწერალთა ბიბლიოთეკაზე, ისტორიულ რელიკვიებზე, რომლებიც ამ „ბორდმა“ გაანადგურა მწერალთა სარაჯიშვილისეულ სახლში.

ავთო ჩხაიძის ლექსები ერთგვარი „საიურპრიზი“ იყო მკითხველისთვის — ჭეშმარიტი, ნათელი პოეზია... ტერენტი გრანელისებური მანერა, მისტიკა, ლამაზი ფრაზის ოსტატობა, მისთვის ბუნებრივი და მკითხველისთვის უცნობი, გაუმხელელი სამყარო აღმოჩნდა....

იგი იყო უბრალო, სადა, კეთილშობილი პიროვნება. შინაგანი იუმორით გაბრწყინებული თვალებით შემოგხედავდა და შემოგთავაზებდა წიგნებს ბორდიურებზე გაწყობილი მისი ბუკინისტური სალაროდან, რომელიც მწერლებისა და გამვლელების ერთგვარი სამკითხველო ბიბლიოთეკაც იყო პუშკინის სკვერში.

ის სინანულით აღიქვამდა ქართველი მწერლის ბედისწერას, რომელმაც ისინი ქუჩაში საკუთარი წიგნებით მოვაჭრედ აქცია და მწერლურ მისიას ააცდინა. უმწერლო ერი კი სიბრძნედაკარგულ ერად აქცია...

ჩვენ დიდ სინანულს გამოვხატავთ მისი გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ყველა მის ახლობელს და მეგობარს, რომელიც მას არცთუ ცოტა ჰყავდა.

იგი მართლაც დააკლდა ქალაქს და ჭეშმარიტ მწერლურ ელიტას, რომელმაც, შესაძლოა, მის სიცოცხლეში არც კი იცოდა მისი ფასი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

კობა არაბული,
ვახტანგ ხარჩილავა,
ვაჟა ხორნაული,
ზურაბ თორია

„ლაგვცოვეთ მარტო მე ლა ჩემი წუთისოფელი"

წესი იყო ასეთი გაზეთ „კომუნისტში": ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის ფლაგმანი აუცილებლად უნდა გამოხმაურებოდა თავის ფურცლებზე რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენას, ხოლო გამოხმაურების ავტორი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ჰოდა, ვინ შეედრებოდა ირაკლი აბაშიძეს?.. ყველა სიკეთესთან ერთად მისგან შორს იყო ჭოჭმანი, უარი. დავურეკავდით, ვთხოვდით... რამდენ ხანში გინდათო, გვეტყოდა.

დღის ბოლოსთვის თუ იქნება, ბატონო ირაკლი, მოვალთ და წამოვიღებთ...

დაიჯერებთ? ერთ-ორ საათში თვითონ ამოგვიტანდა რედაქციაში. ლიფტს არ ელოდებოდა, ორ-ორ კიბეზე აბიჯებდა, შემხვედრებს გულიანად ესალმებოდა და ასე მოჰქონდა ჩვენთან თავისი ნაწერი. დიახ, ეს ირაკლი აბაშიძე იყო, დიდი პოეტი, დიდი საზოგადო მოღვაწე — უბრალოებით, კაცთმოყვარეობით გამორჩეული.

...ბედნიერება იყო ჩემთვის,. რომ იგი უმცროს მეგობრად მთვლიდა. რამდენჯერმე სახლშიც ვეწვიე — ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე (დღეს რომ მისი სახელობისაა). დაბადების 75 წლისთავიც სახლში მივულოცე...

თავის სამუშაო ოთახში ვსაუბრობთ. ნება-ნება მარცვლავს კრიალოსანს. წამოდგა, წამოიმართა, ოთახის კუთხეში, კარადის თავზე დაწყობილი ვაშლებიდან რამდენიმე ამოარჩია, მომაწოდა, თვითონაც ჩაკბიჩა.

— გავისველოთ პირი... ჩემი ეზოს ვაშლია, წყნეთური, გაუთლელად უკეტესია... მე დავკრიფე...

— დასავლეთში თუ გაქვთ ეზოგარემო, ბატონო ირაკლი?

— ხონში? არა, იქ აღარავინ მყავს. თორმეტი და-ძმიდან ორიღა დავრჩით, ყველაზე სუსტები რომ ვიყავით ბავშვობაში... დედაჩემის ორდენი ხომ არ გინდა გაჩვენო? ვინახავ. (მაგიდის უჯრა გამოსწია.) ა, შეხედე, „მატერინსკაია სლავა", პირველად რომ გაიცა ასეთი ორდენები, მაშინ მიიღო დედამ... ახლა მამის ხანჯალს განახებ... შთამომავლობით დამრჩა (ეძებს). ნახე, როგორია... განათლებული კაცი იყო მამაჩემი, მერე, ბედი ხომ იცი — 1907 წელს თვალისჩინი დაკარგა საცოდავმა. გონებაში წამომიტივტივდა: „თუ იმერეთში სინათლით სავსე გინახავთ ჩვენი პატარა თემი და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ? — მშობელი მამა ის იყო ჩემი".

ვსაუბრობთ და იკვეთება ირაკლი აბაშიძის პიროვნება — ერთიანი, სრულქმნილი, „მაღალი, უხვი, მდაბალი..." თანამედროვე ქართულ პოეზიაში, ალბათ, ძნელად თუ იპოვის მკითხველი მეორე პოეტს, ამდენი ლექსი რომ მიეძღვნას გარდაცვლილი მეგობრებისთვის.

— როგორ არის, ბატონო ირაკლი? „მე ვცოცხლობ ახლა თქვენს ლანდებში, თქვენს აჩრდილებში..."

— ხო... წავიდა ხალხი... ახალგაზრდობაში მკვდარი რომ დამესიზმრებოდა, შეშინებული ვიღვიძებდი, ახლა მესიზმრებიან ჩემი მეგობრები, მაგრამ რიღასი უნდა მეშინოდეს... „დავდივარ, როგორც პოეტური მემკვიდრეობა..." რა ხნის გავხდი, ხედავ? როგორი საქმეა, დავით კლდიაშვილსა და ვასილ ბარნოვს გავუსწარი...

„ო, ენავ, ჩემო", ანუ უფრო სწორად „ხმა კატამონთან", თქვენც იცით, მართლაც ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილებაა დღევანდელი ქართული პოეზიისა, ხოლო, საერთოდ, „პალესტინის ციკლმა" კიდევ უფრო აამაღლა პოეტი ირაკლი აბაშიძე... ახალი კუთხით დავინახეთ მისი ნიჭი და პოეტური თვალსაწიერი.

* * *

ირაკლი აბაშიძის საზოგადო მოღვაწეობა ერისკაცობის მძიმე და საპატიო გვირგვინს უტოლდება! ეს უდავოა. საბჭოთა მწერლობის პირველ ყრილობაზე იგი — ახალგაზრდა პოეტი იჯდა, ხოლო 50 წლისადმი მიძღვნილ ასაიუბილეო პლენუმზე, დაბრძენებული სოციალისტური შრომის გმირი. დროის ეს მონაკვეთი კი აღსავსე იყო ქართული მწერლობის, ქართული კულტურის სამსახურით. აქ მარტო 1966 წელს, რუსთაველის 800 წლისთავის იუბილის აღნიშვნა იკმარებდა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მის მხრებზე გადაიარა მსოფლიოს გააცნო ირაკლი აბაშიძემ რუსთაველის მშობელი ქვეყანა.

— ბატონო ირაკლი, თქვენ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მთავარი რედაქტორი ბრძანდებით. რა ხდება თქვენთან?

— მიხარია, რომ მკითხველი სულ მალე მიიღებს ენციკლოპედიის მერვე ტომს. ენციკლოპედიის გამოცემა რომ დიდი ეროვნული საქმეა, კარგად მოგეხსენებათ და მიხარია, რომ ამ საქმეში წილი მიდევს, თორმეტივე ტომს რომ გამოვცემ, მერე, ალბათ, მეკუთვნის დასვენება.

დაამთავრა კიდეც, დააგვირგვინა კიდეც ქართული ენციკლოპედიის გამოცემა და ავად მოსაგონარ ზამთარში, გაუბედურებული საქართველოს ავადსახსენებელ უსიამო დღეებში დაემშვიდობა იგი საყვარელ სამშობლოს...

გულნატკენი წავიდა...

რას არ უგონებდნენ, რას არ აგონებდნენ ტელეფონში ახალი „ერისკაცნი" ქვეყნისთვის დამაშვრალ პიროვნებას. ასეთ საქართველოში სიცოცხლე აღარც ღირდა.

და მისი ბოლო ნაღვლიანი ამონათქვამი ეგ იყო:

დაგვტოვეთ მარტო! მე დღეს ხმაც და სიმიც დამაცვდა,
იმ საზღვრის ხაზთან დღეს მეც შევჩერდი,
დაგვტოვეთ მარტო — ერთი სიტყვაც მაქვს ქვეყანასთან,
დაგვტოვეთ მარტო ახლა მე და ეს მზისქვეშეთი.
მე ცამდე სავსე ათას დრამით, ათას ქარიშხლით,
ყველა ქარიშხლის, ყველა დრამის სუნთქვით მცნობელი...
ერთი რამ სიტყვაც, ერთი დამრჩა მე ანგარიში —
დაგვტოვეთ მერტო მე და ჩემი წუთისოფელი.

ვილენ მარდალეიშვილი

„საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

— შეიძლება თუ არა არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის პერიოდში იმუშაოს?

— შეიძლება. თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

* * *

— შეიძლება თუ არა თავდებობა გამოყენებულ იქნას სამომავლო ვალდებულებებისათვის?

— შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის.

* * *

— სარჩელი მაქვს სასამართლოში შეტანილი განქორწინების შესახებ. ჩემი მეუღლე დაიღუპა უბედური შემთხვევის გამო. როგორ მოხდება სასამართლოში საქმის განხილვა?

— სასამართლოში საქმის განხილვა აღარ მოხდება.

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 353- ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

რჩევა: აუცილებლად წარადგინეთ სასამართლოში მეუღლის გარდაცვალების მოწმობა.

* * *

— არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?

დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484– მუხლის 1– ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე–2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე–3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

მხარი დაუჭირე შენი ქვეყნის ძლიერებას – შეიძინე მხოლოდ ქართული პროდუქცია!

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“
სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com